


ԹԱՐՅՈՒ



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՐԱԳԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԿԱՐԱԳԱՎԱՐՈՒԹՅԱՆ

№ 1 (44)

2020



Նայութեա
գյանա բանաս յակրենեան

Շոյրորյ
մնելո...

Կեռուրեան մոցայքս:
Շմմիմեսո,
Տերտո,
Հզարո,
Տոծրժնետա Տոծրժնե
մոցու –
ոցոտ,
Թիշացոտ, –
Ժըլո...
Եռմ, –
մնելո արու մարտզա:
Հայսնու,
Տալնու,
Շա...
Հարուս?..
ադամունագ պողնա արուս:
Շոյրորյ,
մնելո...

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

შურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა

ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი

ერეკლე II-ის გამზირი №6

III სართული

მობ: 555 46 44 29

მწერალთა ასოციაცია

„ლიტერატურული კახეთი“

მობ: 558 48 24 80

„ოლეს“ რედაქციაში შემოსული მასალა
არ რეცენზირდება და ავტორს არ უბრუნდება

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით

E-mail: akakidau@mail.ru

შურნალ „ოლეს“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.

შურნალი „ოლე“ გამოიცემა თელავის მუნიცი-
პალიტეტის მერიის (მერი ბატონი შოთა ნა-
რეკლაშვილი), თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს (თავმჯდომარე არჩილ თხლაშვილი)
მხარდაჭერით.

შიდაარსი

სალომერი საუბრები თელავი

2. მეცვედრა გურამ დოჩანაშვილთან

ურნალი „ოლე“ – 15

5. რობე ჭიათვაძე. უამი შურნალ „ოლეს“
ყრმობისა

6. ნანა რჩეულიშვილი. კახეთის

ლიტერატურული უურნალი იუბილარია

6. მანანა გოგიშვილი. მზეგრძელობა „ოლეს“

მხატვრული ლიტერატურა

7. ვარნა რაინა. კატრენები

33. როლანდ გიორგაძე. დისო, დისო...
რომანი

44. ლანა განველი. ღვთისმშობლის აღმართი.
მოთხოვის

49. ნუნუ ქამუკაშვილი. გურამ
რჩეულიშვილი. ლექსი

50. თინათინ თელაველი. ლექსები

დოკუმენტური პროგა

52. არსენ ბერთლანი. „შაშვის წერილები“,
კოლეგის ფანჯარა, ფიქრის ყვავილებო!

ინტერვიუ

54. ნუნუ გალაძე. „ბედნიერი ვარ იმით,
რომ ქართულ პოეზიას ბევრი დამფასებელი
გაუჩინდა იტალიაში“.

ცერილები

59. ნელი ზუროვაშვილი. ნახატებში
ამეტყველებული მშვენიერება

ნიმუშები

62. ნუნუ ქამუკაშვილი. ეთერ
ხომიზურაშვილის წიგნი „წინაპარნი“

გარეკანის პირველ გვერდზე
ლევან როსტომაშვილის ნახატი

დაიბეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანი“

1



ოლე, №1, 2020




სალონი საუბრები თელავში

22 თებერვალს თელავის თეატრის მცირე დარბაზში, სალონური საუბრების ფარგლებში, მწერალ გურამ დოჩანაშვილთან გაიმართა შეხვედრა.

დამსწრე საზოგადოებამ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მწერლის შეხედულებები მოისმინა, გურამ დოჩანაშვილმა აუდიტორიის კითხვებსაც უპასუხა.

შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, აზროვნების აკადემიის და კომპანიის „თელავის ლვინის გარანი“ ორგანიზებით ჩატარდა.



მისასალმებელი სიტყვა

სახელოვან მცენარე – გურამ დოჩანაშვილს...

ბატონი, გურამ, მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით, დიდი პატივის-ცემით, სიყვარულითა და გულმხურვალედ, მოგესალმებით ქართული დისიტენტური და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ, გამოჩენილ მოღვაწესა და სახელოვან ქართველ მწერალს, რომელმაც მზე-ჩაუსვლელი, შემოქმედებითი, შედევრები აჩუქეთ ქართველ ხალხს, ქართველ მკითხველს...

ჩვენთვის უდიდესი პატივია, რომ ესტუმრეთ დიდი ერკვლეს სატახტო ქალაქება და თელაველ საზოგადოებას, რომელთაც გამორჩეულად უყვარხართ, – დღევანდელი დღეც, ხომ, ამის ნათელი დასტურია.

მე, ახლა, არ შევუდგები თქვენი, საამაყო შემოქმედების განხილვას, რადგან მთელმა საქართველომ კარგად იცის, – თქვენი უბრნებინვალესი წიგნებითა და საინტერესო სატელევიზიო გადაცემებით, დღესაც, ხომ, აქ გამომსვლელებმა, საკმაოდ, კარგად,

გულითადად გამოხატეს... ერთი სურვილი მაქას, – ვისარგებლო ამ, ისტორიული შეხვედრით და გთხოვოთ „ოლესთვის“, რომელიც, გეცოდინებათ, რომ ორგზის, 2005-2008 წლებში, რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული, ერთ-ერთი, ყველაზე, აკადემიური, მაღალი დონის უურნალია და დაგვიწეროთ ამ უურნალის ფორმატის შესაბამისი ნოველა, ან ჩანახატი, რაც დიდი პატივი და საჩუქარი იქნება ჩვენთვის, თელაველთათვის და, სრულიად, კახეთისათვის.

მოკლედ, – სხვა, რა გითხრათ?.. დიდხანს გევლოთ მზიანი გულით და ღმერთმა გიკურთხოთ მადლიანი კალამი და... ფრთიანი სიტყვით, კვლავ, ბევრჯერ, გაგეხარებინოთ თქვენი ღვთიური ნიჭის, შემოქმედების მცოდნე, შემფასებელი და დამფასებელი ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი.



3




გურაშ დოჩანაშვილს

ლექს კუძღნი დიდებულ მწერალს

დღე გვაჩუქე ლამაზი, –
თქვენი, – შემოქმედებით,
ამიტომაც, ყოველთვის,
გვწამხართ, გვეიმედებით.
განა, მარტო, ეს დღეა? –
ლამაზია – ყველა დღე,
ჩააქსოვე სიბრძნე და...
გვაგონებ ძველ ელადელს.
სიყვარული, სიკეთე –
ღირსება და ვალია,
მწერალი, ხომ, სამშობლოს:
სულის, გულის თვალია,
თავფარავნელ ჭაბუქსაც

სიყვარული შვენოდა...
რა იცოდნენ, ფიროსმანს,
რომ დიდება ელოდა...
შენს ნაკალმარს მივყვებით
და რთველი გვაქვს, – ქებული,
ამ რთველს ლოცავს: მზე, მთვარე,
ვარსკვლავების კრებული.
მთებიც, – გაღმა-გამოღმა,
ჩურჩულებენ შენს ქებას...
გსურს მამულის წინსვლა და...
გაიმარჯვოს, – ეგება...
დღე გვაჩუქე ლამაზი,
თქვენი – შემოქმედებით,
ამიტომაც, ყოველთვის
ყველას – გვეიმედები...

ცენტ ქამუკაშვილი





თელავის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო გილოცავთ 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს! ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და წარმატებას გისურვებთ.

ქალის როლი, ყოველთვის, დიდი იყო ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. საქართველო გამოირჩევა საჯარო მმართველობაში ქალის როლის აღიარების ისტორით, კულტურითა და ტრადიციებით. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისშიც კი, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მონაბილეობა იმვიათობა იყო, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, უკვე, ჰყავდა პოლიტიკური პარტიისა და დამფუძნებელი კრების წევრი ქალები. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს მოაწერა ხელი სამმა ქალმა — ელისაბედ ბოლქვაძემ, ანა სოლოლაშვილმა და ელეონორა მახვილაძემ.

თელავის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქალთა ჩართულობის გაზრდა, მუნიციპალური პროექტების დაგეგმვასა და აღსრულების პროცესში, სწორედ, ამიტომ, მუნიციპალიტეტში არსებული სერვისები მიმართულია – გაზარდოს, წაახლისოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაბილეობა.

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო 2018 წლის 23 მარტს, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №41 დადგნილების საფუძველზე, შეიქმნა მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო სათათბირო ორგანო – გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო განიხილავს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს ადგილზე, დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე – არჩილ თხლაშიძე
თავმჯდომარის მოადგილე – ელენე ღარიბაშვილი
მდივანი – ნელი აბერისრიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია:
ტელ: 599 56 02 83
www.telavi.gov.ge
თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო.



ჩამი ჟურნალ „ოღეს“ ყრმობისა

(სიტყვა წარმოთქმული „ოღეს“ 15 ნოემბრის აღსანიშნავ საღამოზე)

მწერალთა ასკურაცია ლიტერატურული კახეთის გამოცემა ჟურნალი „ოღე“ თხუთმეტი წლის გახდა და ყრმობის ასაქში შევიდა. „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟასა ენოდების ყრმა“ – განმარტავს სულხან-საბა თრბელიანი. ამ მშვენიერი „ყრმის“ დაბადებასა და გამოზრდაში უდიდესი წვლილი მიუძლვით ჟურნალის მთავარ რედაქტორს აკაკი დაუშვილსა და მის თანარედაქტორებს – ფარნაოზ რაინაულსა (ფარნა რაინას) და ნურუ ძამუაშვილს, რომელმაც ეს ლიტერატურული ჟურნალი წლის წინათ დაარსეს და მათვე დაანათლეს სახელი „ოღე“. ჟურნალის სახელნოდებისათვის დამფუძნებლებს მოუშველებათ „სიტყვის პაპა“ – საბა თრბელიანი და „მუხლადი, ბედაური, მაძლარი“ სიტყვით გაჯერებული პოეტური შედევრი გორგი ლეონიძისა – „ოღე“. და მართლაც, ჩვენო მშვენიერო ჟურნალო, „სხვა რომელი დაგიძახებს მცირე სახელს – ოღე!“

მეც, როგორც მკითხველი, ჩემებურად მივესალბუნები „ოღეს“ და პერიოდულად მივმართავ: თუ რამე გაგიჭირდა, „მე აგიყვან ხელში როგორც ნაპოვნ ბატყანს მწყემსი... რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა“; ამიტომ გამხნევდი: „ნურც გტკივა და ნურცა გცივა“, ვინაიდან შენთანაა ქართული მწერლობა და მადლიერი მკითხველი.

ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ჟურნალსა და მის რედაქციას არ ჰქონია მთლად დალენებული ყოფა: რედაქციის მცირე სენაკი – ზამთარ – ცივი, ზაფხულ – ცხელი, მასში შეყუული სამიოდე თანამშრომელი, მნირი ხელფასი, ფინანსური შეჭირვება... და მაინც ჟურნალმა გაუძლია ამ სიდუხჭირეს და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი ცხოვრება. „ოღემ“ შემოკრიბა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესანიშნავი კოპორტა; ამასთანავე მისი ხელდასხმით დაფრთიანდა არაერთი ახალბედა შემოქმედი. ამიტომაცაა, რომ მის ფურცლებზე ნიადაგ მჩქეფარებს „ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული“ (მუხრან მაჭავარიანი).

მით უფრო ფასეულია „ოღეს“ ეს ეროვნული შემართება, ვინაიდან ე.ნ. „ცნობადმა სახეებმა“ დღეს სიტყვა „ეროვნულის“ ძირითადი მნიშვნელობა დააკნინეს და მხოლოდ საყოფაცხოვრებო საგნებს მიაკერეს: ეროვნული ხაჭაპური, ეროვნული დისკოთეკა, ეროვნული კაფი... ის კი არა, „სამშობლოს“ ცნება საერთოდ განდევნეს თანამედროვე

ქართული სიტყვიერებიდან. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ილია ჭავჭავაძის აღმფუოთება სიტყვა „მამულის“ ყოვლადმპყრობელი მნიშვნელობის დაკანინების გამო, საზოგადო სახელი „მამული“ მხოლოდ თავის კერძო მაშულის მნიშვნელობამდე რომ დააქვეითეს. საბედნიეროდ, ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით, მისი მეოხებითა და ღვაწლით „აგრე გაუცატიურებულმა სიტყვამ... კვლავ დაიჭირა თავისი კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ და თავისი სხივოსანი შუქი მოჰყვინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას“ (ილია).

დღეს ასეთივე გასაჭირო ადგია ცნება „სამშობლოს“. ამიტომაც უნდა დავარისხოთ განგაშის ზარები, კვლავ ჩევენს წინაპრებს მოვუხმოთ და შევისისხლხორცოთ რაფიელ ერისთავის უკვდავი სიტყვები: „როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა!“

ვისურვებ, რომ ეს პოსტულატი ამოიქარგოს ქართულ დროშაზე და ამოიტვითეროს საქართველოს გერბზე.

ქართული სიტყვისა და ქართული კულტურის მსახურონ! დღევანდელი ფორუმის მონაწილენო! დამსწრე საზოგადოება!

უპრიანია, რომ სწორედ ჟურნალ „ოღეს“ თაოსნობით შეერებილთ მოგილოცოთ მართლაც ეროვნული მნიშვნელობის მოვლენა: ამ სამიოდე წლის წინათ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი; სულ ახლასანს კი გოგებაშვილის საზოგადოების მრავალნლიანი შეუპოვარი გარჯის მეოხებით საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა საფუძვლები იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლაში დასაბრუნებლად, იმ „დედა ენისა“, რომელმაც „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში“ (გიორგი გოგოლაშვილი).

გიხარიდენ! იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ბრუნდება სკოლაში!

აი, ამ მართლაც ჭეშმარიტი ეროვნული მუხტის ფონზე კიდევ ერთხელ მივულოცავ ჟურნალ „ოღეს“ თხუთმეტწლოვანი ყრმობის ასაქს და ვუსურვებ კვლავაც დიდხანს მდგარიყოს ქართული მწერლობისა და კულტურის ფორპოსტზე.

როინ ჭიკაძე



კახეთის ლიტერატურული უურნალი იუბილარია!

„ოლე“ რომ 15 წლისაა, ეს ნიშნავს, რომ თხუთმეტი წელია ის დარაჯობს კახეთის ლიტერატურულ ცხოვრებას.

რომ 15 წელია მის ჩრდილში სულს ითქვამს თანამედროვე ქართული პოეზია, პროზა, ლიტერატურულ-ერიტიკული აზროვნება, რეგიონის კულტურული ცხოვრების ქრონიკები.

პირადად ჩემთვის „ოლე“ ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გვიფაქიზებს სულს, გვიხვენავს ლიტერატურულ გემოვნებას, გვახედებს ერთმანეთის გულებში და გვაძულებს ვიყოთ უფრო უკეთესები.

გაცუფრთხილდეთ „ოლეს“

ნანა რჩეულიშვილი

ფილოლოგის დოქტორი,
პროფესორი

6



გზებრძილობა „ოლეს“

მადლიერების მეტი რა გვეთქმის ჟურნალ „ოლეს“ ერთგულ მკითხველებს.

15 წელი ჟურნალისათვის იგივეა, რაც ნაკადულია დიდი მდინარისათვის.

თქვენ, „ოლეს“ ძვირფასო მესვეურნო და მფარველნო, ამაყად უნდა დადიოდეთ სამეფო ქალაქ თელავსა და ქვეყანაში; მომავლისათვის იმდენად დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებთ, რომ ბრძენ წინაპართა წინაშე პირნათელნი ხართ. ვისურვებდი, მთელი საუკუნე თაობებში, ხელიდან ხელში გადადიოდეს ჩვენი ლამაზი, გულიანი „ოლე“ და მას გაუმრავლდეს მკითხველი.

ქართველი მწერლი, გველებაპთან მებრძოლი მეომარია; მართალიცაა, სულით რომ არ დავმჭლევდეთ, ის იპრევის ქართული სიტყვის ხიბლისა და გენის გადასარჩენად.

დიდ ვაუსა დავესესხები:

„როცა გულს ცეცხლი მედება,

გონება მსჯელობს საღადა,

მაშინ ვარ თავისუფალი,

თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.“

სწორედ, ჟურნალის ავტორთა გულიდან ამონახეთქი სათქმელი – სატკივარი გვხიბლავს მკითხელებს და გვაფიქრებს.

„ოლე“ თავისუფალი ჟურნალია საინტერესო

რუბრიკებით, მას რუდუნებით ემსახურებიან და ამშვენებენ თავიანთი შემოქმედებით ქართული სიტყვის გონიერი მეხოტებენი.

საამაყოა, სრულიად საქართველოსა და ილიას კახეთის საკუთარი დახვეწილი ჟურნალი აქვს სადაც ნათლად ჩანს, რომ ნიჭიერი ქართული გენი არ გადაშენებულა, კიდევ გადადის სისხლიდან სისხლში და მრავლდება ჩვენი ლიტერატურის პოეზიისა და პროზის საგანძურო, რაც ერის სიცოცხლის წყაროა.


ხე ნაყოფით იცნობა, გემოვნებიანი მკითხველი შეიგრძნობს „ოლეს“ ნაყოფს – ლამაზ, ძარღვიან ქართულ სიტყვას. ამოქმედებული სიტყვა ღმერთია, ღვთისმსახურება კი ერის მსახურებაა.

ლირსეულად გეტარებინოთ ეს ლამაზი უღელი ჩვენთან ერთად საქართველოს, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

წმინდა იღია მართლის „თანამდევი სული“ პფარავდეს 15 წლიან ჟურნალ „ოლეს“ და მის შემოქმედებით კოლექტივს.

განანა გოგიშვილი

ჟურნალის ერთგული მკითხველი
პედაგოგი





ყველა,
ერზე და ხალხზე
მაფიქრალი
მაჩვენეთ – ერთი...
1. XII. 2019

ნოტები... *

ამ პლანეტაზე –
ყველას
გულში,
ბინას იკეთებს, –
ღმერთმა დალოცა
უვარდესი სულის
ნობელი...
იმვა – სიქველედ,
იმვა – შვებად, –
ყველა სიკეთედ,
სიყვარულად და...
მზის სხივებად
ლამის
მდრობელი...
5. XII. 2016

* შვედი, – ალფრედ ბერნპარდ ნობელი (1833 – 1896) მსოფლიოში უდიდესი ქველმოქმედი, – ნობელის პრემიის დამაარსებელია 1901 წლიდან. პრემიის რაოდენობა დაწესდა 1 მილიონ 300 000 ლირარი, ამჟარდ, – 8 მილიონი შვედური კრონა, ანუ – 990000 დოლარი.
1901 წლიდან, 2003 წლამდე, მსოფლიოს 57 ქვეყნიდან, 900-მდე ნობელის პრემიის ლაურეატია; ყველაზე მეტია ამერიკიდან – 305, დიდი ბრიტანეთიდან – 104, გერმანიდან – 89, საფრანგეთიდან – 53, შვეციდან – 30, შევეგარიდან – 22, იაპონიდან – 19, ნიდერლანდებიდან – 18, იტალიდან – 16, დანიდან – 14, ავსტრიიდან – 13, ისრაელიდან – 10, კანადადან – 9, ბელგიიდან – 9, ნორვეგიიდან – 8, ავსტრალიიდან – 8, ჩინეთიდან – 7, პოლონეთიდან – 7, რუსეთიდან – 7, ესპანეთიდან – 6, ირლანდიიდან – 5, არგენტინიდან – 4, ინდოეთიდან – 4, ევგვიპტიდან – 4, უნგრეთიდან – 4, მექსიკიდან – 3, ფინეთიდან – 3, პორტუგალიიდან, ჩილედან, გვატემალადან, ლიბერტინიდან, საბერძნეთიდან, აღმოსვლეთი ტიმირიძან – 2, კოლუმბიდან, პერუდან, კოსტა-რიკადან, სენტ-ლუისიდან, ტრინიდადიდან და ტობაგოდან, ლუქსემბურგიდან, ისლანდიდან, რეხეთიდან, სლოვაკეთიდან, განადან, კორინთიდან, პაკისტანიდან, ირლანდიიდან, პალესტინიდან, იემენიდან, სამხრეთ კორეადან, ბანგლადეშიდან, იანმარიდან, ვეგტამიდან – 1, საქართველოდან (სამწუხაროდ) – 0.

თასის გული გაფრთხილება!!!... *

არ მინდა:
ამ აზრს
და...
ამ განცდას
ფიქრი ავყარო, –
მინდა: გულები
მივძრა-მოვძრა –
სიმართლის
ჩენით...
არ მოეგება, –
თუკი,
გონიერე –
დღეის სამყარო,
შორს აღარ არის:
აღსასრული, –
პლანეტის, –
ჩვენი...
17. XII. 2019

* მთელი დედამიწა ზეძალის იარაღის საწყობად იქცა და... არაენ იცის, ვისთვის და... როდის აალდება კაცობრიობის საბეჭისწეროდ...

პოეზია...

პოეზია: ნაყოფი –
ცა-ზვრის, –
წერტილიც
არ-რით,
სუფევდეს ბუნდად...
მოქსოვო უნდა –
ლვთიური
აზრი,
თილისმით სიტყვის
მოქსოვო უნდა...
20. I. 2020

უზინარეს,
უპირველეს,
უფრო,
უადრეს...

ჩვენს პლანეტაზე
სულის ტაძარს:
ნუ ვშლით,
ნუ ვანგრევთ,
დავწვათ –
შუღლი და

სიძულვილი,
ვლოცოთ –
მზის ნალო...
უუნინარეს,
უპირველეს,
უფრო,
უადრეს:
თუ, – რამეს, ვსწავლობთ,
სიყვარული
უნდა –
ვისწავლოთ...
9. XI. 2019

ის არის –

ლმერთის სიყვარული
და... რნმენავ –
ლმერთის...

ავს და კარგს,
ზოგი:
ვერ-რით არჩევს,
ვერ წონის,
ვერ თვლის...
მაშინლა ხვდება,
რასაც თესავს,
რომ იმის, –
პოლოს...

ის არის:
ლმერთის სიყვარული
და... რნმენაც –
ლმერთის,
რომ... სიკეთისთვის
უნდა გაჩინდე –
ამ ქვეყნად, –
მხოლოდ...
31. V. 2019

ეპოქალური – ჰალათერი...

ეპოქა დადგა:
გლობალური,
მზაკვრული,
მგლური...
ათასი ფიქრის,
განცდის,
დარღის –
ვეღარ
ვასლავთ მთებს...
მწერლობა როა:
ერის – სული
და...
ერის – გული,
ამ –



სულის,
გულის
მოკვლა უნდათ:
მტრებს და...
ჯალათებს...
29. XII. 2019

როგორ –
აროდეს!!!..*
რაა პლანეტის, –
ამ – ცა-მიწის
ხვალის მიზანი?..
ომებით,
რაიც გავმუსრეთ,
დაე, კმაროდეს!..
ათასჯერ ფრთხილად! –
ვამბობ,
ახლა, –
როგორც – მისანი...
ათასჯერ ფრთხილად! –
დასაბამით,
როგორც – აროდეს!!!..
21. VII. 2019

* სტოპოლმის მსოფლიო პრობლემების ინსტიტუტის დოკუმენტით, 2018 წელს, მთელ მსოფლიოში, იარაღის ნარმოებისა და იარაღის შექნაზე დაიბარჯა 1 ტრილიონ 322 მილიარდი დოლარი. 2,6 პროცენტით მეტი, ვიდრე – 2017 წელს.
დედმიწის ყოველ მცხოვრებზე მოდის 239 დოლარი.

მრავს...
მწამს: სიდიადე, –
სიგრცით,
სიმკვეთრით,
სხივით –
წყვდიადი
ცუურ ნატორი...
მწამს ძალა –
ლექსის:
სიბრძნის,
სიკეთის,
და...
სიყვარულის
ტრიუმფატორი...
27. IX. 2019

მინდა, რომ –
ვნახო...
მინდა ინვიმო,
სიბრძნის
წვიმავ, შენ, –
ვიყოთ მზისდარნი,

არა – მონები...
და...
მინდა ვნახო:
ლექსის
წინაშე* –
მუხლმოდრეკილი
ფარაონები...
16. VIII. 2019

*ქეშმარიტი პოეზია, რომ ლეთიური და მარადოული მაღლია, განა, ამ – მაღლმოსილებაზე საუკუნენიც არ ღალადებენ?..

თუ...
მისნური ჭვრეტით
უნდა მოელოს

ბოლო –
მზის ქვეშ,
შუღლს და
ვანდალიზმს,
ხვალ
რაც იქნება,
მე, წინასწარ,
მიკიდებს –
ალებს...
თუ, –
არ მოეგო
დროზე,
გონზე,
მოდგმა ადამის,
ამ პლანეტაზე
ნაცარიღა
დარჩება, –
მალე...
5. VIII. 2019

ძალიან ზევრი და...

ძალიან წოჭა...

დღეს, –
ბენვზე გადის –
საქართველო, –
ერი და... ბერი...
და... ვერ ვგრძნობთ, –
წუთუ?!
უამს – სასრულის?!..
რაოდენს ვცოდავთ?!..
ჩალას და
ბუღას
წერს, უგულოდ, –
ძალიან ბევრი,
ჭეშმარიტებით
გულთა შემძვრელს –
ძალიან ცოტა...
20. XII. 2019

ნუთუ?!

ნუთუ, – დავკარგე –
გონების მზე,
ზღვა დარდი
მახლავს,

ნუთუ, – ამ ცის ქვეშ,

გონი არ აქვს:

ზემდეგს და...

ქვემდეგს...

გთხოვ, მომიტევო,

ჩემო ხალხო,

თუ, ვფიქრობ, –

ახლა:

უპატრონოა საქართველო, –

ილიას

შემდეგ...

3. XII. 2019

მაინჯ...

სხივდება –

ეგზომ,

მიწა და...

ცა – მით,

ხან კი,

გულს მიწვავს –

ალის ხანჯლებიც...

მაინც, –

სიცოცხლის –

ყოველი

ხამით,

სიყვარულისთვის

დავიხარჯები...

30. I. 2020

სიყვარული...

ჩვენს სიცოცხლეში, –

ზოგჯერ,

დრო და...

ბედი ერევა, –

გვიგზავნის:

მზეს და...

მზით მოხატულ

ციდან – აისებს...

სიყვარულს შვენის,

როგორც –

დიდი:

ბედნიერება, –

სამხნე,

სიმტკიცე,

სილალე და...

სიდარბაისლე...

16. I. 2020



რომ არ მიყვარდე...

ჩვენ, ზოგჯერ, –
არსით,
ვმალავთ გრძნობას,
ვმალავთ რაობას,
მზის საუფლოში
ჩვენს გამოცდას
ლამობს მსახვრელიც...
რომ არ მიყვარდე,
ვიქნებოდი –
არარაობა,
ეს განცდა არის
სიღიადის
გამომსახველი...
25. VII. 2019

დასართამიდან...

ცხოვრება, ბევრმა,
თარსად დაბინდა,
ვეღარ გვეღირსა –
დარი, –
სადარი...
სიმართლეს ვეძებთ, –
დასაბამიდან,
მაგრამ...
ვერ ვნახეთ, –
მაინც,
სად არი?!..
5. IX. 2019

რაჭომ?!

სიცოცხლისთვის და.....

სიკეთისთვის
მზის მადლენ თუ, ვითვლით,
საბედისწერო ჟამი, –
მაშინ,
რაისთვის მოდგა?!..
ჩვენ –
დედამიწა
ზენამ მოგვცა
სიყვარულისთვის,
მაშ,
რატომ მოვსპოთ –
ერთმანეთი
ადამის მოდგმამ?!..
29. X. 2019

პანთეონი...

ზოგს სურდა –
სალხის ჯვარცმით

ელოთა, –
დროში –
ცხოვრების
ქართა ცვლილების...
პანთეონია –
მიწის
ზემოთაც,
ოღონდაც, –
სულით
გარდაცვლილების...
23. X. 2019

რაჭომ??!!..

ჩვენი ცხოვრება
ყინვა-სუსტება
როდემდე ფიფქოს?!..
ნაკვალი –
ჩვენი,
რატომ ჰგავდეს:
უდაბურს?!..
უკვალს?!..
სამყარო –
ჩვენი,
სოკრატემდე
მივიდა, – თითქოს,
და...
ახლა... ისევ...
ახლა... ისევ...
ვპრუნდებით
უკან??!!..
7. V. 2019

ზესიღიადე...

ძალმომრეობით,
ბლენძვით,
ხვეჭით –
გვესმება რეტი,
სიმართლის ტყვით –
ბოლოს,
მაინც,
იმსხვევა მინა...
განა არსებობს
სიღიადე –
უფრორე მეტი?! –
ვინც –
ხალხით ცოცხლობს
და... ხალხისავის
სხივდება, ვინაც?..
15. X. 2019

მე, ოუ –

მკითხავენ...
რატომ ვლამდებით
და... რატომ გვკლავს
დარღის იარა?..
რატომ ვერ ვერიფეთ
უუბრძნესთა –
სიბრძნის
თალარი?..
მე, ოუ –
მკითხავენ, –
უწინარეს,
მტერზე კი არა,
საკუთარ თავზე
გამარჯვება არის –
მთავარი...
5. V. 2018

ვერ მივუტევენ, –

რა ვქნა?!

ასი ტკივილი
მიღის, მაგრამ...
კვლავ, ასი –
სხვა ქრის...
ათჯერ,
ათასჯერ,
რომ ამკუნონ,
ამჭრან და...
ამქნან,
მე –
ჩემ მტერს:
ბევრჯერ,
მივუტევე სიავე –
მზაკვრის,
ვერ მივუტევებ –
მამულის მტერს,
იოტსაც, –
რა ვქნა?!.
10. V. 2019

მე ვენაზვალე...

ვისაც –
სიკვდილი
სძულდა...
და... არ რით
ჰგავდა –
ქსერქსეს...
მე ვენაცვალე:
გულს და...
გულზე
გამობმულ –
ლექსებს...
20. IV. 2019

როდემდე?!

არ გვეშველება:
იოტიც, –
ვიდრე,
მზედ არ შევიცვლით –
სულს და...
იერსო...
მე ვეკითხები –
პლანეტის
მკვიდრებს:
ჯვარზე
როდემდე ვაცვათ
იქსო?!.
23. I. 2020

მართლის ზეიმით ვხარობ...

ბედს –
ქედს არ ვუხრი, –
მკიცანს,
პლანეტას სძრავდეს
ხმა, რომ:
მართლის ტკივილი
მტკივა,
მართლის ზეიმით
ვხარობ...
18. VII. 2019

ჭოჭოხეორი...

არსებობს თუ, რამ,
სუყველაფერს –
მიჯნა აქვს
ზღვრული,
მოძრაობს აზრიც, –
ვითარ,
დროის წისქვილის
ქვაო...
მაგრამ... უფლება:
უკონტროლო,
უსაზღვრო,
სრული,
ნიშნავს ჯოჯოხეთს,
ზარის რისხება,
ზაფვრას და...
ქაოსა...
15. VI. 2019

ჟიკეო...

სიკეთე მიყვარს, –
სიკეთით, რომ
სიკეთეს ვიმკი,
მე –

უსიკეთოდ,
არასოდეს,
არსად ვიწყები...
მოსარკულ ცაზე
მზე, რომ იწყებს
სიკეთით კისკისს,
მიყვარს – ღმერთივით,
მიყვარს – ეგზომ, –
თავდავიწყებით...
28. V. 2019

ხომ, ვხედავთ?..

ხომ, ვხედავთ? –
ახლა,
ქურდს და მძარცველს
არ ეწვის –
ქუდი?!..
ავი,
აესული,
სიავისთვის,
ჯილდოსაც
ელის...
პატიოსნებას მოქადაგობს:
მხვეჭელი,
ქურდი,
მშვიდობით გვმოძლვრავს:
მოძალადე,
მოშულლე,
მკვლელი...
26. V. 2019

სახელი – მწერლის...

მომავლის შედეგს, –
რატომლაც,
ვერ ვთვლით?!.
რამდენი ვიცით? –
თავს
ჯდაბნით იქცევს?!.
სახელი –
მწერლის, –
სადარი –
ღმერთის,
ჰაერის ბუშტად
არ უნდა იქცეს...
15. V. 2019

სიღიადე...

ვინ –
აზრს და საქმეს,
მიმო,
ნაღმა-უკულმა
იცვლის,
უსუსურებას,
უძლურებას

იყენებს –
ფონად...
სულის –
სიმაღლე,
სიდადე,
რა არის?..
იცი?..
არ იყო შენი –
ბრძა სურვილთა:
მორჩილი...
მონა...
4. V. 2019

სანამ?!

სანამ – ვიკივლოთ?!.
სანამ – ვიწივლოთ?!.
ხომ, ხედავთ? –
ეშმა
როგორ ქირქილებს?!.
სანამ – იწილო?!.
სანამ – ბიწილო?!.
სანამ – ვებრძოლოთ
ქარის წისქვილებს?!.
6. V. 2019

რაჭომ გიკვირთ?!

დღეს, –
სიმართლე,
სადახლე, რომ
გახდა ბაზრის,
შემოგვიგდეს:
კაზინო და
ნარკოტიკები...
გაქრა – სიბრძნე,
გაქრა – ჭკუა,
გაქრა – აზრი,
რომ ვერებით და...
ვიღუპებით,
რატომ გიკვირთ?!.
29. IV. 2019

ასკურ, ათასკურ –

სიკვდილი გვიჭობს...
სურთ –
ავსულთ,
მზის ქეიშ,
მზესული გლიკვონ,
ნარგვტაცონ ბალიც, –
სამოთხის
მკვიდრებს...
ასჯერ,





ათასჯერ –
სიკვდილი გვიჯობს,
ზნედაცემული სიცოცხლე
ვიდრე...
7. VIII. 2019

სიმართლე

თუ სწამს...

დაუპრუნდება ავსულს –
სხვისთვის, რაც სურს,
ის ვნება,
ბოროტი სახეს –
მზის ღიმიღით,
ამაოდ ფუფნის...
სიმართლე თუ, სწამს,
სინდისი და...
თუ, სწამს –
ლირსება,
სიტყვაც და
საქმეც
დადოს უნდა
სასწორზე უფლის...
6. VI. 2018

XXI ...

უკეთ ჩანს, –
უფრო –
დროც და მეტლეც,
ვითარ – ყვავილი:
ტყემლის,
შინდისი...
საუკუნეა –
XXI, –
ეკრანზე არის –
ყველას
სინდისი...
11. VI. 2019

მწამს...

მწამს, –
სულით ხიბლავ,
როცა – ლონდრესაც,
რა დიადია –
ნამიც კი, –
თითო...
გაასამართლებ:
თავსაც, როდესაც,
და... სასჯელს –
შენვე მიუსვი, –
თვითონ...
9. V. 2019

მაჩვენეო ერთი!..

რატომ გვიწყრება –
ბედიც და
ღმერთიც?!..
ტკივილ-დარდი, რომ
მეფურად
დადის...
ხელისუფლება
მაჩვენეთ –
ერთი,
ვისაც აქვს:
ქვეყნის
და... ხალხის
დარდი...
31. VII. 2019

ადამის მოდგმა –

სანამ, ჩუქლში
გაფარვენვლერით...
ვინ, რატომ ჩემობს:
სხვათა მამულს,
ფუძეს,
სხვათა ჭერს?!..
ვინ,
ვინ ასხივდა,
ვინ ამზევდა
სხვათა ცინცვლებით?!..
დავფიქრდეთ ღვთიურ, –
პლანეტაზე –
ყველა,
ათასჯერ,
ადამის მოდგმა
სანამ,
ცეცხლში
გადავცვივდებით...
30. IX. 2019

ვინორი რისხვად...

ზღაპრი არა ვარ,
მაგრამ... ზოგჯერ,
მის ეკლეპს
ვისხამ,
თეთრის და
შავის გასარჩევად,
არ ვხმარობ –
ჭოგრიტს...
თავი
სიზმარში მგონია და...
ვინთები
რისხვად,
როცა –

მამულის სიყვარულზე

იცინის –
ზოგი...

პარადოქსი...

ვით შეძლებ –
მსგავსი მზაკვრის
ატანას?! –
რომ აქვს:
სხვა სული,
სხვა ზნე,
სხვა ტანი...
სიტყვით,
რომ... ვითომ...
ეპრძეის –
სატანას
და... მსახურია –
საქმით
სატანის...
2. VI. 2019

არასოდეს...

ქედმაღლობა –
მეფე:;
სიავის და
ბინდისი...
და... უკუნი
რომ არა,
ვით – მარკეს,*
რა
დამლოდა?!..
სანამ, – თავში
აზრი მაქვს,
სანამ, – გულში –
სინდისი,
არასოდეს,
არავის,
არ დავხედავ –
მაღლიდან...
7. X. 2016

* „სხვას, მალლიდან, მხოლოდ, მაშინ უნდა
დახედო, როცა, წაქცეულია და წამოყენე-
ბა გინდა“...

გაბრიელ გარსია მარკესი

იცევ –

ფული ფა...

ფული...
ფულია: მელა,
დათვიც და...
ლომიც,



ფულია: სადაც –
ქვას ადნობს
იქ, ცა...
ფულია: ახლა,
მოთავე –
ომის,
ფული:
სატანის სიმბოლოდ
იქცა...

მადლი –
განგების...
გაუგებრობამ
დაღუპა –
ყველა,
მიყვარს მზე, –
სიბრძნის,
ცოდნის,
გაგების...
4. VI. 2019

ველარ გასრულდა –
მიწის ძარცვით,
დარდის თარეში,
უფრო მოზვავდა –
მტერი, მაგრამ...
არ გვყავს ილია...
19. VIII. 2019

*საქართველოს დღეს, უფრო, ბევრი, გა-
მოცდილი და ფულიანი მტრები ჰყავს, მა-
გრამ არ ჰყავს ილია ჭავჭავაძე“...

სიტყვა მკურნალი...

ხომ არის –
ზოგჯერ, –
სინანულით,
სიცოცხლეს ვიქრობთ,
გვწვავს –
გასხლეტილი,
ხისჭი სიტყვა
და...
თავში ვირტყამთ...
სასწაულია –
სიტყვის ძალა, –
მე
ასე ვფიქრობ,
ხან, – მკურნალია,
ხან, – სიკვდილი, –
უბრალო სიტყვა...
25. V. 2018

ათასჯერ უფრო...

სხივდები –
მზისებრ,
თავზე, თუ –
უფლობ,
და... არ ჩაქრები,
ვითარ –
ეული...
სულის სიკვდილი
მძიმეა, –
უფრო,
ათასჯერ უფრო,
ვიდრე –
სხეულის...
5. X. 2019

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ №33, 2019 6.

13

რაჭომლაწ, –
გვიფირს...*

გულისთვის –
გულით,
ცოტა გვცალია,
მზის აბრეშუმიც
გვგონია –
ჭინჭი...
კიცხვა და...
თათხვა
გიყვარს, – ძალიან...
აღიარება –
რატომლაც, –
გვიჭირს...

1. V. 2019

სიკოწლით –

ლირით...
სიცოცხლე ხოა –
უმზესი,
წამი,
მაგრამ... დრო –
როდის,
ვის,
საით,
ისვრის?!..
ვიცოცხლო, თუნდაც,
სულ, ერთი –
წამით,
მაგრამ... წამითაც,
სიცოცხლის
ლირით...
26. I. 2020

შური...

შურით –
სატანის
იდებენ ალთა,
სურთ –
მზით ნაქარგი
სიკეთე
ფლითონ...
ღმერთი, რომ იყო, –
წინაშე თვალთა,
გხედავენ,
მაგრამ...
არა ხარ, –
ვითომ...
12. VII. 2018

*ძალიან იშვიათად, ეპოქალური მისით,
იპატებიან: ზეგონების, ზეშთაგონების,
ზეცნობიერების, ზეჭვრეტისა და სულის
უვრცესს პორზონტის ადამიანები, მა-
გრამ... მათ – არც დამნახავი ჰყავთ, არც –
შემფასებელი და არც – დამფასებელი.
ამ, მიწიერი ღმერთების დანახვას: ილას
გონი, ილას გული და ილას თვალები
უნდა...

როგორ –

სიკოწლე...

ერეკლე, ვითარ,
თუმც, – არ გყრი
ფარ-ხმალს,
მზეს, ჩვენთვის –
თითქოს,
სხივი აქვს
მერთალი,
როგორც – სიცოცხლე,
გვჭირდება, –
ახლა:
ილიას გული,
გონი და...
თვალი...
16. IV. 2018

მიყვარს...

ვინ არის –
ბრძენი...
ვინ – ვითომ,
ელავს?!..
ვიცოდეთ უნდა

არ გვყავს

ილია...*

ამ სამოთხეში, –
მარიამის –
წილხვედრ არეში,
წუთიც და
წამიც
წამებით და...
ჯვარცმით ილია...

ოლე, №1, 2020





ლმერთო!..

ლმერთო –
გული მაქვს
ისე კრიალა,
სიყვარულს
სიბრძნის –
დედა მინვდიდა,
ვითარ – მზე,
მაღლა,
ციდან კი არა,
მე ამოვსხივდი –
დედამიწიდან...
12. X. 2019

ხომ, არის?!

სიცოცხლის, რაიც, –
გზა-ბილიკი –
ვიარეთ,
მოვვლეთ,
ბევრი რამ გვახსოვს,
ხოლო, ბევრმაც –
იქროლა
ქარად...
დაუჯერებელს დავიჯერებთ,
ხომ, არის –
ხოლმე?!..
დასაჯერებელ სიმართლეს კი –
არა და...
არა...
12. X. 2019

უნდა ესმოდეს...

უნდა ესმოდეს:
ზემდეგს და...
ქვემდეგს,
რაზე მოკვენესის
დროის
ბულბული?..
ითქვა, რომ:
ხუთჯერ ათი წლის
შემდეგ,
აღარ იქნება –
ჩვენი
ბულბული?*
26. XII. 2019

*გაეროს ექსპერტთა დასკვნით, 50 წლის
შემდეგ, მცირე ქვეყნები, მათ შორის –
საქართველო, როგორც სახელმწიფო,
აღარ იქნება?!

ხელისუფალი...

სულით მზიანს და...
გულით მზიანს
შველის უფალიც, –
ხალხის იარას
იღებს ვინაც –
თავის იარად...
როცა დატოვებს –
საბრძანებელს
ხელისუფალი,
ცრემლებით
უნდა აცილებდნენ,
ფურთხით კი არა?..
15. X. 2012

მე, აჟა

მგონია...

მზეფიქრი,
მზეგანცდა,
მოსხივდა,
მოდიდდა...
ვზევდები,
ვმზევდები
და... ლექსად
ვენთები...
მე, ასე,
მგონია:
ვესტმოში,*
ოდიდან,
რომ...
მზემიწიერი
ცხოვრობდნენ –
ლმერთები...
10. I. 2020

თქვით, –

რალა უნდა გამიკვირდეს?!

ალად ალმოხდათ –
ვარამისგან,
ვარდებს:
ვაიმე...
მწუხრით იცვლიდა
მზით ნახატი
ზეცაც

იერსო...

თქვით, –
რალა უნდა
გამიკვირდეს –
როსმე,
რაიმე?! –
ნაზარეთიდან გააძევეს,
როცა –
იქსო?!!..
7. I. 2020

აა მიყვარს,

აა მწამს...

ვუყურებ ჯვარცმას,
როცა ვხსნი –
ნამწამს,
ნამი-წამ, ლამის,
გაჩერდეს –
გული...
არ მინდა,
არ მსურს,
არ მიყვარს,
არ მწამს:
ამ პლანეტაზე
სიცოცხლე –
მგლური...
5. I. 2020

აა ვიწი...

შევიბრებაა –
სატანური,
სიავის ჩენის, –
ხალხის –
სიყვარულს
და...

სიკეთეს –
უთხრეს
უარი...
დღეს, –
მედროვეთა
ბალჩად იქცა –
მამული ჩემი...
და... დრო,
არ ვიცი,
გადარჩენის,
კიდევ,
თუ, არი?!.
15. XII. 2019

სადა გაქვს გონი?!

გვაქვს მაგალითი, –
ხალხზე ზრუნვის –
მაჰათმა განდის...*



სადა გვაქვს
გონი? –
რუსთაველის
სულის მზეს
რომ ვშლით?!.
ყოფნა-არყოფნის
ბეწვე, როცა –
ქვეყანა გადის,
ტახტ-სკამბისთვის
და... ფულისთვის
გავმართეთ –
ომი...
12. XII. 2019

*მოპანდას კარამჩანდი (1869 – 1948) ონდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი („მოპანდი“ მეტსახელია და ნიშნავს დიად სული). მაპათმა ფუძქმდებელია განდიზმის. მან მთელი, თავისი სიცოცხლე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღობას შესწირა. მისი თავდადება, პატრიოტიზმი, სამართლიანობა, XX და XXI საუკუნეები, სამაგალითოა ჩვენი პლანეტის ბევრი ქვეყნისა და ხალხებისთვის...

შენ ხარ –

საწყისიკ.

შენ ხარ –

ჟადარულიკ...

სიცოცხლეს –
ფიქრი
შენზე მიმოსცრის,
არ ეკარება
გულს და...
თვალს – რული...
ჩემი ლაშვარდის,
ჩემი სიცოცხლის
შენ ხარ –
საწყისიც...
შენ ხარ –
სასრულიც...
1. XII. 2019

სიურქლეზე

უზენაესი...

დასაბამიდან, –
ვინ –
ომით და...
ხვეჭით იარა,
ამად –
ზე ავწევ:
ფიქრის კოცონს, –
გულზე ალესილს...

მზეგული ხედება –
უფლისაენ,
ფული კი არა,
სიქველე გახლავთ:
სიცოცხლეზეც,
უზენაესი...
27. XI. 2019

კატერინი...

კატრენს
თუ, ვძერნავთ, –
ორფეოსის
გრძნეული ენით,
სიბრძნით:
საოცრით,
სიელვარით,
ცაც კი – დარულა...
აი, – ეს არის:
პოეზის –
ლამაზი ძღვენი, –
ლაუვარდად,
ლამპრად,
ლაკონურად,
ლაპიდარულად...

ძველად და...

ახლა...

დღეს, – სატკივარი,
იმდენია, მილეოზე,
ვერ ვთვლით, –
პლანეტა,
ლამის,
ჯოჯოხეთის –
ქცეულა სახლად...
უძველეს დროში –
ჰეროსტრატე
ხომ, იყო –
ერთი?..
მაგრამ...
რამდენი ჰეროსტრატე
ბოგინობს ახლა?!..
23. XII. 2019

არ გვახსოვა...

დაგადგით კოსმოსს
გონების
თვალი,
შორს გაჭრა გვინდა
ამ მიწის მკვიდრებს...
მაგრამ...
არ გვახსოვა –
სიცოცხლის

ვალი,
სიავით ვზეობთ,
სიკეთით – ვიდრე...
2. XII. 2019

დემოკრატია და...

თავისუფლება...

დრო დადგა, –
ახლა,
ვით, სპექტაკლი,
ფარსი და...
თარსი...
იდავონ წლობით, –
ხომ, აქვს
დემოსის –
დავის უფლება?..
თუმც, –
დღეს სიტყვებმა
შეიცვალეს:
აზრიც და...
არსიც, –
ჯოჯოხეთს ნიშნავს –
კრატიაც და...
თავისუფლებაც...
10. XII. 2019

რას მოვესნარით?!

გაუკულმართდა:
აზრიც,
საქმეც,
და... ყოფნაც, –
ერთობ...
სიბრძნეც,
სიმართლეც,
სიყვარულიც
ფასია – ჯირკის...
რას მოვესნარით?!.
რა დრო დადგა?!. –
უფალო,
ღმერთო!!!..
საპრეზიდენტო
ტახტი გახდა:
არენა – ცირკის?!.
18. VIII. 2008

მონატერა...

ისევ, –
იმ, წარსულს,
იმ, განცდას –
ვლოცავ,
იმ, ძველ სილადეს –



როგორ ვირწმუნო?!

ვაჩერების და...

ვაოხვრინეთ

უცხო ქვებს – ყანა...

და...

ვზიდავთ ცოდვებს, –

ვათრევთ:

ტანჯვით,

ჯვარცმით,

წვალებით...

როგორ ვირწმუნო?!

ამ, ჩემს ხალხს და...

ამ, ჩემს ქვეყანას:

არა აქვს – გონი?!

არც – ყურები?!

და... არც –

თვალები?!

21. X. 2019

ათასკერ... უფრო...

რაც, დედამიწა –

მზის გარშემო, –

კოსმოსში ბრუნდა,

თეთრი – თეთრია,

შავი – შავი,

სატანის

ჭუპრო,

ვინც – დამნაშავეს

ხელს აფარებს,

ვიცოდეთ უნდა,

დამნაშავეა, –

განა ერთხელ?!

ათასკერ, –

უფრო...

12. X. 2019

დემოკრატია და

თავისუფლება...

ხვეჭაც და...

ქრთამიც –

ქვეყანას, რომ

შემოგრანტვია,



სისულელეზეც
ავკრძალოთო –
ძალის უფლება...
აღვირახსნილი
როდი არის –
დემოკრატია?!..
აღვირახსნილი
როდი არის –
თავისუფლება?!..
26. XI. 2019

ხაროს?!

ცხოველზე –
მხოლოდ,
მაშინ ვართ:
მეტი,
როდესაც –
სხვისი სიკეთით
ვხარობთ...
1. XII. 2019

სათამაშოა, –

ჩემი – მამული...

ახლა, –
უმტრესი, მტერზეც,
რა მუმლი?!

სიცოცხლის –
მთებს და...
ველებს წენავს და...
სათამაშოა, –
ჩემი –
მამული:
პოლიტმებავთა,
ტელემებავთა...
28. XI. 2019

შეგონება...

გწამდეს უფალი,
სიდიადე სიქველის –
გწამდეს,
ზესიყვარულში, –
დაიფერფლო,
ლოცავდე –
იმ წვას...
ამაღლდე უნდა...
და... ამზევდე:
მიწიდან,
ცამდე...
მაგრამ...
არ უნდა მოწყდე, –
მაინც,
ხალხსა და...
მინას...
2. XII. 2019

გონება და... განედა...

ხან, – სალაროა:
გონება –
განძთა,
ზეცის –
უსხივეს,
უსაზღვრო
კარს ჰგავს...
ხან, კი –

მხოლოდ, –

მაშინ...

საუით, –
რამდენს გვესხმება
რეტი?!

ვინ, ვის:
ვუთხრით და...
ვუმზადებთ –

ფუჭია:
გონებაც,
განცდაც, –
სიკეთის გრძნობას,
როდესაც –
კარგავს...
30. XI. 2019

მწამს – სიდიადე,
მწამს – ლირსება,
გულიც და...
სულიც, –
კანონზე უწინ,
ვხელმძღვანელობთ,
როცა –
სინდისით...
4. XII. 2019

P.S.
მინდა ვთქვა სიბრძნე, –
ხალხის სიბრძნე –
სიტყვა – ორანი, –
არ გათეთრდების,
რაც, უნდა, ქვიშით –
ხეხო ყორანი...
3. XII. 2019

ახალი – დემოკრატია...

ორფესა ცხოველს
რამდენს ვხედავთ:
მყეფარს, თუ –
რქიანს,
მთელი ქვეყანა
სულ მოშალა
სიავის ქამი...
დემოკრატიას –
ახლებურად,
სიგიში
ჰქვია, –
მზაკვრობას,
ხვეჭას,
აყალ-მაყალს,
ცილსა და...
ქაოსა...
5. XII. 2019

ანთიხარ, როგორ –
ნმინდა
სანთელი...
ნუნუ გელაძე*
გულის დარდს
შენი საქმის
მიწვავს მზე, –
გზა – მეგობრობის
რომ გაქს
სათელი...
სადღაც...
შორს...
დიდი დანტეს
მიწაზე,
ანთიხარ, როგორც –
ნმინდა
სანთელი...
5. II. 2020

საოჯორად გშვენის...

ნინსწრებით, –
ნუგზარ ჯავახიშვილს*
2020 წელს დაბადების 60
წლისთავის აღსანიშნავად

შენ – როდი გწამდა:
გზა – სიცრუის,
ოკრო და ბოკრო?..
არ გვავიწყდება –
მზეგული და...
სიკეთე – შენი...
ღირსებით,
სულის სილამზით,
იყავი – ოქრო
და... შარავანდიც, –
სამოცი წლის,
საოცრად გშვენის...
17. IV. 2019

ტყეც,
მიწაც,
წყალიც
ხომ, არის მრჩენი,
რად გვინდა, –
მტრობით,
არსი –
ვუცვალოთ?!..
რატომ ვესწრაფვით? –
სიცოცხლე ჩვენი
ჩვენ ვანადგუროთ:
უდვითოდ,
უწყალოდ?!..
6. X. 2019

*სახელოვანი ქართველი მანდილოსანი –
ნუნუ გელაძე ათეული წლებია იტალიის
ქალაქ მილანში ხელმძღვანელობს იტალი-
ურ-ქართველ შემოქმედებით საზოგადოებ-
ბას – „სამშობლო გულით სატარებელი“...

*ნუგზარ ჯავახიშვილი, გასულ საუკუნე-
ში, როცა თელავის სტამბაში მუშაობდა,
უქალალდო მწერლებს უანგაროდ, ქველ-
მოქმედებით, საწერი ქალალდით გვი-
ნყობდა ხელს, რაც ჩვენთვის – პოეტური
სუნთქვის სამუალება იყო. ამიტომ, ჩვენს
ნარმატებაში მასაც დიდი წვლილი მიუძ-
ღვის.

„არ გათეთრდების – შავი ყორანი“

ზოგს, რომ უკითხო:
„ბიბლია“ და...
სიბრძნე –
ათასი,
ქვას ვერ-რით შეცვლი –
ოქროდ,
მაინც, დარჩება –
ქვისებრ...
ღორს, რომ ჩააცვა:
აბრეშუმი,
დიბა,
ატლასი,
ზნეს არ შეიცვლის
და... ტალახში
ჩაწვება, –
ისევ.

თამაში...

თუ, – ჩვენ,
გვეყუდების –
ჩვენი თავი,
დროის კარეტას:
ჩვენ ვმართავთ, –
თვითონ...
და... მიზანსაც
მივწვდებით,
ხოლო, –
თუ, – ქვეყნის საჭეს
უცხო ძალა
მართავს გარედან,
დემოკრატიის თამაშია
თვალთმაქცთა, –
მხოლოდ...
3. IX. 2019

არვინ შობილა –
უფალივით,
მზესიბრძნით
სრული,
მსურს დავიმოწმო, –
სიმართლისთვის:
შილდაც,
შინდისიც...



ასე მგონია...

აფთალმოლოგს –
მიხეილ თევდორაძეს
თვალთა წყვდიადი
არის სევდით –
გულის
ამელები,
შენ კი –
სინათლეს რომ გვიბრუნებ,
სევდას გვიწვავს მზე...
ვფიქრობ, რომ არ ვთქვა:
არ-რით – მეტი...
და... არც –
ნაკლები,
თითქოს, ხარ –
ღმერთი, –
ჩამოსული
დედამიწაზე...
15. XI. 2019

ვიზუ – სიბრალულით მხრებზე დავისვით...

ათას სატკიფრს
ვიჩენთ თავისით, –
ნუთუ, –
არ გვყოფის,
რაც გვაქვს,
ის ურვა?!..
ვინც –
სიბრალულით,
მხრებზე დავისვით,
მერე, – დაჯდომა –
თავზე
ისურვა...
21. VIII. 2019

სიყვარული...

ხომ ვიცით, –
ზოგი,
დარდს და
ტკივილს
ვერ-რით ერევა,
ქვეყნად გაჩენას
და... სიცოცხლეს
სულ, ემდურება...
სიყვარულია –
მიწყივ,
ვისთვის,
ბედნიერება,
ვისთვის –
ტკივილი,
ჯვარზე ცმა და...
უბედურება...
3. VII. 2019

ახლა...

მტაცებელს, ახლა,
ველარც კი –
დათვლი,
ფოცხვერი, ზოგჯერ,
კნუტივით –
კნავის...
რამდენი მელა,
მგელი და
დათვი,
ნიღაბით დადის –
ნუკრის და
კრავის...
27. VIII. 2019

ამ მზეს, –
დიდ სკამზე,
რომ ზის –
პატარა
კაცი...
და... დიდი კაცი –
პატარა
სკამზე...
12. X. 2019

როგორ –

არასდროს...

ამ ცას,
ამ მიწას
როგორ –
ვუფაროთ?! –
გულში მინთა, –
მღვიძარს და...
მძინარს...
როგორც –
არასდროს,
ხომ ჩანს,
უფალო,
დღეს –
ჭეშმარიტი ქართველი
ვინ არს?..
18. XI. 2019

მწამე...

დარდის –
დელგმით ვართ
ლამული,
მოწმეა –
მიწა,
აი, ცაც...
მწამე... სიყვარულით, –
მამულის:
დაჭნე,
დაშრე და...
დაიწვა...
11. X. 2019

ისევ?!

მოწმეა – მიწა,
მოწმეა – ცაი,
გულზე, რაისთვის
მედება –
ცეცხლი?..
ხომ, ვგმობთ
იუდას?..
ამ მზის ქვეშ, მაინც,
რამდენმა... ისევ...
აილო –
ვერცხლი...
7. X. 2019

სულფარინფულებს,

გულფარინფულებს...

ზეობა, სხვებზე,
უნდათ ფიტულებს,
ვინც –
ხალხის ბედში
ბედით ერევის, –
სულდაბინდულებს:
გულდაბინდულებს:
მხოლოდ,
თავისი –
ბედნიერებით...
21. X. 2019

ფარინგი – შეფის...

დაცინვა არის
ბედისგან –
მკაცრი,
ვფიცავ:
ამ მიწას,
ამ ზეცას,

კანამ?!

სანამ ვიშულლოთ?!..
სანამ ვიდავოთ?!..
სანამ ვებრძოლოთ
ქარის –
წისქვილებს?!..
სანამ ვიტიროთ:



მხსნელი გვინდაო?! –
მასხარად გვიგდებს
დრო და...
ქირქილებს...
15. I. 2020

ცეცხლი და
გრიგალი
მეგზო, –
მეფე – კრიტიკა
გარდაიცვალა...
5. X. 2019

ომიც, –
ელება ბოლო –
სუყველა,
ავ ზნეს...
თქმულა:
ბერდება, როდესაც –
ლომი,
მხდალი კურდლელიც –
დააფსამს
თავზე...
13. XII. 2019

თავისუფლება...
თავისუფლება
ჩვენ გვექცა –
ლახვრად...
და...
დედამიწა
მოვალეთ –
ტანტალით...
თავისუფლება
ხომ, არის –
ახლა:
ჩხიერის,
ყორნის და...
ყვავის –
ყრანტალი?..
13. I. 2020

ა მწამე –
ქართველოდ !!!...
რამდენმა, –
უფრო,
როდი გვამკვრივა?!..
დაგვამხო,
დაგვცა,
გაგვცა,...
დღეს, –
საქართველო,
ვისაც არ სტკივა,
არ მნამს –
ცოცხლად და...
არ მნამს –
ქართველოდ!!!..
1. VIII. 2018

შური...
სიდიადე – სამიზნეა:
შურის,
ურვის, –
სხვას სხვა
არ სურს –
სიდიადის
მზით, რომ ენთოს...
ტიტანს ცეცხლი მოეკიდა
გულზე, –
შურით...
ტიციანმა დაითხოვა –
ტინტორეტი...*
30. XII. 2019

შენთან ფა...
უძენოდ...
როცა ვარ შენთან,
ნეტარება
წამსაც კი ერთვის,
შენ განმარიდე –
ფიქრის თოვლიც
და...
დარდიც, – მწველი...
ვარ –
ბედნიერი, –
შენთან ყოფნით,
წამითაც, – ერთი,
ვიდრე, –
უშენოდ,
მზეს ვხედავდე, –
ათასი წელი...
9. XII. 2019

*იატალის ალორძინების ეპოქის
ერთ-ერთმა ტიტანმა – ტიციანმა თავ-
ის მონაფედ აიყვანა მომავალი ტიტანი
– ტინტორეტო და... როცა შეატყო
ლვთაებრივი ნიჭი, ყოველგვარი ახს-
ნა-განმარტების გარეშე დაითხოვა გე-
ნიალური შეგირდი...
მეფე – კრიტიკა
გარდაიცვალა...
სატირალია,
საწუხიც, –
ეგზომ,
დროც, ზნეც
ეპოქის –
ქართა იცვალა...
გულზე –

ელება ზოლო –
სუყველა, ავ ზნეს...
მთავრდება:
ჭირიც,
შულლიც და...

სხვა, –
ყველა მტერზე,
უფრორე,
მტერი...
რამდენი ვიცი, –
უაზროდ,
მკაცრი, –
ცას, რომ აპნელებს
სიტყვების –
მტკერით...
მტერზე მტერია:
სიფიცხე –
კაცის, –
სხვა,
ყველა მტერზე,
უფრორე,
მტერი...
14. XII. 2019

უბეფურება –
უფრო მეტი,
რა უნდა იყოს?!..
ჭკუათმყოფელმა –
აზრი,
სიპრძე
რად უნდა რიყოს?!..
რატომ კარგავდეს:
სიმართლის და
სინდისის ზინათს?!..
უბედურება –
უფრო მეტი,
რა უნდა იყოს?! –
არარაობას –
თავის,
ბოლოს,
მიხვდება, ვინაც...
11. XII. 2019





ნურავინ მიწყენს...

ჭეშმარიტებას –
ხან, –
ნაღმა და...
უკულმა ვხლართავთ,
გაუკვირდება –
ჩვენი ჯვარცმა,
ნამება,
ნურვის...
ნურავინ მიწყენს, –
თუკი, ვიტყვი:
სიმართლეს, –
ახლა,
ბევრ ადამიანს,
კვლავ,
შემორჩა ბუნება –
მგლური...
8. XII. 2019

გავილვიძერთ?!

ხან, –
თაფლს დავეძებთ –
რიყეზე, –
ქვაში...
ხან, –
გვძინაეს,
მხრებს შლის –
ეშმაკის
ხროცა...
ჩვენ გავილვიძებთ
და... ალბათ,
მაშინ,
დაიღუპება ქვეყანა,
როცა...
6. XII. 2019

როდემდე... ნეტავ?!

გულის კარს ვუდებ –
ხალხის ტკივილს
და... გულში ვკეტავ...
დაგეძებ –
სიბრძნის,
სიყვარულის
ნეტარო კვალო...
სანამდი ვლენოთ
და...
როდემდე?!..
როდემდე?!... ნეტავ?!..
დარდის და...
ცრემლის –
უსასრულო,
უმიზნო კალო...
12. XII. 2019

პორტრეტი...

რეტს და...
ქედმაღალს
ღმერთო, თავი –
ლაფში
უფალი, –
ცეცხლს ვინ დამალავს?! –
ჩალა-ბულით,
რაც უნდა
ფუფნონ...
ვარ –
ცის მჭერეტელი
და... უბრალო,
ვითარ –
უფალი,
მაგრამ... ამაყი –
სისადავით, –
მეფეზე
უფრო...
15. XII. 2019

იურიდი...

თავს, როცა მისცემ –
ფიქრების და...
განცდების
წვიმას,
თუ, –
სიბრძნეც,
აზრიც,
და... გაგებაც,
სიკეთის გშვენის,
იცოდე:
გულიც,
სიყვარულიც
მიანდე
იმას,
ბედნიერება –
ვისაც,
უფრო,
მეტად სურს შენი...
13. I. 2020

სარკეა –

საქმე...

უნდა გვახსოვდეს:
დღისით,
ლამით,
მღვიძარს, თუ –
მძინარს,
ვინც –
ათას ნიღაბს
ატარებს და...
ენის შოლტს
აქეცეს,
რად ვმარჩიელობთ?! –
ნიღაბის ქვეშ,
ვინ – სუფევს?!..
ვინ – არს?!..
როცა –
ყოველთვის... უწინარეს,
სარკეა –
საქმე...
9. I. 2020

როდის იქნება?!

ვნატრობ, ეგზომ, და...
მწამს –
მზის ჯიქებად...
უფრო სამზეო
რა გითხრათ –
აქ, მე?..
როდის იქნება?..
როდის იქნება? –
ერთი, რომ იყოს:
სიტყვა და...
საქმე...
25. XII. 2019

უფალის ლორავს...

აიეკლება –
ვინ, უაზროდ,
ვით,
ნარი,
ქაცვი,
როდი მოუსმენს:
მშეოდად,
წყნარად,



მზესავით მართალს...
დამღუპველია –
სიფიცხე და...
სიშმაგე –
კაცის,
უფალიც ლოცავს:
საკუთარ თავს,
ვინც –
აზრით მართავს...
8. I. 2020

ქაოსებს ეგზომ...
დღეს, – ოკეანე –
დარდისა,
მახლავს, –
ვინ ვართ და...
რა ვართ, –
დანამდვილებით?!...
მაოცებს... ეგზომ,
რად გაქრნენ –
ახლა:
ის, –
მზექართველი –
ავთანდილები?!...
30. XII. 2019

ქართველი...
ცა –
უსხივესი
სვით იბადრება,
ჩვენც ვმზეობთ, –
გულს რომ
ვივსებთ სინათლით...
ქართველი –
მე მწამს,
ვინც იბადება:
სახელისა და...
ღირსებისათვის...
15. I. 2020

XXI ...
საუკუნეა –
XXI,
ვინ –
კუჭით ფიქრობს,
ვინ კი –
გონებით...
იცვლება –
მზის ქვეშ,
დროც და... მეტლეც, –
ზეობენ:
ფულის,

მუცლის –
მონები...
12. I. 2020
შეგონება...
ხან, –
ბერვი არის
ეს ცხოვრება,
ხან, – ნაბადია...
ბედნიერებავ,
შემოგევლეთ, –
აზრით ნაქარგო...
იქნებ, დავკარგოთ, –
ყველაფერი,
რაც გვაბადია,
მაგრამ... ხატება
რომ გვაქვს უფლის,
ხამს – არ დავკარგოთ...
2. I. 2020

ყველას, – ფლემუფამ,
ახსოვდეს – ერთი...
ყველას, –
დღემუდამ,
ახსოვდეს –
ერთი:
დრო – წალმა,
ხან კი,
უკულმა ბრუნდა...
ვის –
როგორც უნდა
სწყალობდეს
ღმერთი,
ეშმაკთან, მაინც,
სიფრთხილე უნდა...
29. XI. 2019

ყველაზე –
უძეფური...
ბედს და...
ზენაარს
ნუ ემდურიან, –
რა ვქნათ?..
ცხოვრება –
თუ, ზოგჯერ,
მარტობს?..
იგი –
ყველაზე,
უბედურია,
ვინც –
თავზე ფიქრობს

სიკეთეს, –
მარტო...
29. XI. 2019

პლანეტას ლუპავს...
როგორ ჩანს:
ფიქრი – სატანური,
მიზანი – ბზისებრ,
პლანეტას ლუპავს:
ზეობა და...
თარსი ოცნება...
დედამიწაზე
ლალადებენ –
სიმართლეს, – ისე,
ვისაც,
როგორი –
აქვს სული და...
პატიოსნება...
3. XII. 2019

რაჯ უნდა:
აქონ,
ადიდონ...
სურთ:
ბაობაბად დახატონ –
ვერხვი...
და...
მზის სხივებად –
უკუნი, – ბოკრო...
რაც უნდა:
აქონ,
ადიდონ –
ნეხვი,
ვერავინ აქცევს
ბაჯაღლო ოქროდ...
6. XII. 2019

რა ვუთხროთ?!..
რატომ ვართ
ხელში –
ქაჯური იღბლის?! –
რა ვუთხრათ:
მაღლა, – ცას და...
ქვე – ყანას?!..
დემოკრატიის –
შირმით და ნიღბით
განადგურებულ:
ხალხს და
ქვეყანას?!..
4. I. 2011



არარაონის...

ვინ იყო – მღერა,
ვინ – დარდი და...
ვინ კი –
კივილი...
სიცოცხლე – ზოგთა, –
ქვეყნის,
ხალხის
ჰგავდა – იარებს...
მოვიდნენ, ვითარ:
ჯოჯოხეთი,
ცრემლი,
ტკივილი,
ჯვარზე გვაცვეს და...
გვემულ –
გაქრნენ,
გადაიარეს...
8. I. 2020

სირფისნერო

სვე დაგვიდგა...
საბედისწერო
სვე დაგვიდგა, –
ვფიქრობ,
მე... ასე...
მზაკვრობით,
შუღლით,
ვერ გავიტანთ –
საქვეყნი
სამ სვეს...
ნურავინ მიწყენს,
თუკი, ვამბობ –
ამას, –
მეასედ:
ჩვენი სახატე
არის, რადგან –
გველებით
სავსე...
23. XII. 2019

უგანძესი...

ცხოვრება არის:
ოკროც და
ბოკროც,
ჩვენ ვართ მძებნელი
სიკეთის განძთა...
რის – ბრილიანტი,
ან,
რისი – ოქრო?!.
უგანძესია –
სირცხვილის განცდა...
25. X. 2019

რამდენჭერ?!

სან, –
სიბრძნეს არქმევენ
უაზრო –
ბოდვებსაც,
სინათლე – ღამეა?!.
და...
ღამე – სინათლე?!.
და... ხდება –
რამდენჯერ?!.
ვართ მონმე,
როდესაც –
უსამართლობით
იცავენ სიმართლეს?!.
26. X. 2019

მტერი...

ცხოვრება არის –
მითიც და...
საგაც...
და... იწონება –
მისხალიც, –
თითოც...
მტერს რატომ ვეძებთ –
უფრორე,
სხვაგან?!.
როდესაც, უწინ,
ჩვენშია, –
თვითონ...
30. X. 2019

სირცხვილი...

სიბრძნე სიკეთით
ვივალდებულე,
სიკვდილს –
სიკეთის სიბრძნის
მიწვავს მზე...
სირცხვილი –
სულით
მიცვალებულებს,
დადიან, ვინაც, –
ისევ,
მიწაზე...
30. X. 2019

ყველაზე მეტად...

რომ დავემსგავსოთ –
მზეს, –
საქმით ნეტარს,
თან, რომ...
არ წაგვყვეს –

მიწის ვალები,
მზე გვინდა –
უფრო,
ყველაზე მეტად:
სულის თვალების,
გულის თვალების...
18. X. 2019

აკე მგონია...

ჯულიანო ლადოლფის
სან, – დროა,
როგორც –
ალეგორია...
გიყვარს –
მზის სხივით,
ბინდი ნამუსრი...
ხარ –
ავთანდილი, –
ასე მგონია...
და...
იტალიის –
სინდის-ნამუსი...
16. X. 2019

*დეთითურთხეული ჯულიანო ლადოლფი ქართული კულტურის სიდიადესა
და ქართველი მემკლების შემოქმედებას
აცნობს – ალორძნების ტიტანებისა და
იტალიის პოეზიის მზის – დანტეს საოცარ ქეყანას...

რისხვით მევსერა...

რისხვით მევსერა
მოთმენის –
ბოცა,
გულიც... გონებაც –
რისხვით
ივსება, –
მაღლით –
აბუჩად იგდებენ,
როცა:
სიმართლეს,
სინდისს,
ცოდნას,
ღირსებას...
1. XI. 2019

ვაი...

ძნელზე ძნელია –
ხალხის ვალალი
მტრად რომ უდგება:
კვერთხი და...
დროცა...
ვაი –



მართალის, –
მზისებრ ალალის,
პირქვე ემხობა –
ქვეყანა, –
როცა...
15. VIII. 2008

საოჯარია...

რამდენ ფულიანს
ბონაპარტი ჰგონია –
თავი, –
სკამ-ტახტისაკენ
იწევს –
ზოგჯერ,
ქურდიც და...
თულიც?!..*

საოცარია:
ეს ცხოვრება, –
კარგით და...
ავით, –
რამდენს აწუხებს –
უფულობა?!..
რამდენს კი –
ფული?!.
2. XI. 2019

*(ძვ. ქართ.) ყაჩალი

ზოგჯერ...

სიკვდილიც კვდება, –
თურმე,
ზოგჯერ,
და... ლვთის გზა იქ დის,
დევს მზის სასწორზე –
რასაც ვფიქრობთ
და...
რასაც ვნატრობთ...
ზოგჯერ, –
მე, თვითონ, –
ჯვარზეცმული,
დავეძებ სიკვდილს,
მოუსავლეთში მემალება, –
არ ვიცი, რატომ?!.
3. XI. 2019

ხომ, ხდება?!..

დროს:
ვინ – კალთაზე,
ვინ – ფეხზე
ვებით?! –
რამდენ ქაჯს ვხედავთ
დღეს –
ყინვად,

ქარად?!..
ხომ, ხდება, –
ზოგჯერ,
ხედავენ –
ბრძებიც,
თვალხილული კი –
ვერა და...
არა?!..

7. XI. 2019

სიჩრქე,

სიქველე,

სიღიადე –

ჭეშმარიტების...

სიცოცხლეს, ზოგჯერ,
ტახტზე მჯდომიც
ჯვარცმით ათავებს, –
ცხოვრება
ვინ თქვა –
ფიანდაზი, –
გზა – მარჯნებისა?!..
ხან, – იერიში,
დამარცხების –
არის სათავე,
უკან დახევა –
ზესვლისა და...
გამარჯვებისა...

7. XI. 2019

ნუთუ?!..

თავისუფლება –
თავს ქვაზე
ახლის,
დემოკრატიაც –
ანაფრენია...
დასაბამიდან, –
სულ, ვამბობთ:
ხალხი...
მაგრამ...
ხალხისთვის –
არაფერია?!..

P.S.

დრო სანამ იყოს –
დარდის
მქსოველი?!.
ფანტაზია –
ნუთუ,
ყოველი?!.
19. XI. 2019

სიკვდილზე მეტად,
ვერ ვიტან...

ხან, – ვაქებთ –
ყვავს და...
ვიწუნებთ –
მოცარტს...
ვერც –
თვალხილულებს
ვერ ვარჩევთ –
ბრძაში...
ჩვენ –
ჯვარზე ვაცვამთ
სიმართლეს,
როცა –
უსამართლობა
ზემობს
მაშინ...

P.S.
ჭეშმარიტების ღმერთს
ვთარ
ვლოცავთ?! –
როდესაც... ღამე
ღაუგარდზე
ნინ დის?!.
სიკვდილზე მეტად,
ვერ ვიტან,
როცა –
ღალატობს ვინმე:
ღმერთსა და...
სინდისს...
20. XI. 2019

აცე მგონია...

დაქონდრებული
ვებრძვით, თითქოს,
ათას
გოლიათს,
ნაცრით გვივსებენ,
გვიბრმავებენ –
თვალებს, – ახელილს...
უბედურება –
რაც, რამ, ხდება, –
მზის ქვეშ,
მგონია:

დემოკრატიის,
ხალხის ნების
ხდება სახელით...
23. XI. 2019

მზეს ვფიქრვ...

თამაში: მრნამსის
და... სინრფელის,

23



ოლქ. №1, 2020





ცეცხლივით
მეგზნო,
სულიც და... გულიც:
ამიხანძრა,
ამინთო,
ამწვა...
მე – მწამს და...
მიყვარს მსახიობი:
თეატრში, –
ეგზომ...
მსახიობობა –
ცხოვრებაში:
მზეს ვფიცავ,
არ მწამს...
24. XI. 2019

უუძნელესი...

გამოცანაა ცხოვრებაში –
ბევრი რამ,
თურმე, –
ტრიალი გახლავთ:
ფიქრების და...
განცდების
ზვავთა...
უძნელესია:
ომიც,
ბრძოლაც, –
მკითხავენ –
თუ, მე,
უწინარეს და...
უპირველეს, –
საკუთარ
თავთა...
17. I. 2020

არაფერი – არ იჯის...
ფად – ბუმბული, –
ანაფრენი,
მიწისა, თუ,
არი – ცის!?!..
ვიცი, ვიციმ –
არაფერი,
რომ არ იცის,
არ იცის...
17. I. 2020

არაფორი...

და...

არაფორ?!

ყინულს –
გულის მზით,
ვეღარ-რით

ვალხომთ, –
ჩვენთვის –
სუყველა იყენებს
ავ ზნეს...
მეგობრად
ვინაც ჩავთვალეთ,
ხალხო,
რატომ...
და...
რატომ...
დაგვასხდნენ
თავზე?!!..
31. I. 2020

არაფერ, –

არაფორ?!

ცხოვრების ლხინი
ვის ჰქონია –
ბოლომდე,
ამო?!!..
არ გადაჰყროდეს
ყინვა-სუსხვას,
ქარს,
ქარაშოტებს?!!..
ხომ, ხდება, ხოლმე, –
სხვას –
პასუხს ვთხოვთ, –
შეცდომის
გამო,
საკუთარ თავს კი –
არ-რის გამო...
და...
არასოდეს...

P.S.

სიცოცხლეც,
ყოფნაც,
ზოგს ჰქონია,
რომ...
მხოლოდ, ჭამოს,
სურს:
საკუთარი სამართალით,
დროს –
ქარად ქსოვდეს...
ხომ, ხდება ისეც?! –
სხვას

პასუხს ვთხოვთ –
არაფრის გამო,
საკუთარ თავს კი:

შეცდომისთვის,
არც –
არასოდეს?!!..

P.P.S.

რამდენმა, – ბოლოს,
ბენვის ხიდი

ცრემლებით
ალტო...
მითხარით:
რატომ?!..
რატომ?!..
რატომ?!..
ათასჯერ –
რატომ?!..
1. XI. 2019

არ მგონია და...

არ მეგულერ...

დედამიწაზე –
ჩემი ფიქრი,
მზისებრ,
ლიად დის, –
აზრიც და... განცდაც
მე –
სიტყვებში
ჩავრგე, – გულებად...
ადამიანზე –
არ მგონია,
უფრო,
დიალი,
ადამიანზე –
უფრო,
გველიც –
არ მეგულება...
5. XII. 2019

სიყვარულის სიღიადე...

სიღიადეა,
სიყვარულით,
როცა იღსები,
არ დაგიტოვებს –
სიტყვაც,
საქმეც,
როცა იარას...
ხამს გააოცო, –
ყველა,
შენი –
მზით და ლირსებით...
და...
არასოდეს:
ბოროტებით,
ღვარძლით კი არა...
9. VIII. 2019

გონერა და... განერა...

ხან, – სალაროა
გონება –
განძთა, –
ზეცის:



უსხივეს,
უსაზღვრო
კარს გავს...
ხან კი –
ფუჭია:
გონებაც,
განცდაც, –
სიკეთის გრძნობას,
როდესაც –
კარგავს...
14. XI. 2019

მე –

რა მთოვეტკ?..
კორიანტელი დგას, –
ზოგჯერ,
ფიცის...
ვის – მოყვრების და...
სჯერა: ვის – მტრების?!..
მე –
რა მაოცებს?..
რა ცოტამ
იცის –
ზესიდიადე, –
ჭეშმარიტების...
13. X. 2019

მთაწმინდა...

დარდი მამულზე –
დამაქვს,
დამლობის და...
განცდა მტკვარივით
ადიდებულა...
თბილის –
მთაწმინდა დასცექერს
მაღლიდან:
რა ლეთიურ,
რა ბრძნულ,
რა დიდებულად!..
16. VII. 2019

ჩეფნიერება

უფრორე დიდი...
ხომ არის? –
ზოგჯერ,
სიმდიდრისთვის,
ღირსებას ვყიდით, –
გვაქვს:
მტრობა,

ომი, –
ხეეჭისათვის,
პლანეტის მკვიდრებს...
ბედნიერება
არ არსებობს
უფრორე დიდი,
პატიოსნება,
სიყვარული,
სიკეთე ვიდრე...
2. X. 2019

მეტამორფოზა...

ჩაქრა – გულები?!..
სმენა – ყურების?!..
ცას –
უფლის სიმად
როგორ ავებათ?!..
გადანათლული:
მგლები,
ტურები,
იქცნენ – ნუკრებად?!..
იქცნენ – კრავებად?!..
10. XI. 2019

აი, ეს არის –

გენია, თუ...

ნინო და ილიკო სუხიშვილებს
ქართული ცეკვით
მზის –
ვიზდით
თუ, ვალს,
გენის ცეცხლია –
ელვით, – ულევით...
აი, გენია –
ეს არის,
თუა,
ტაშით რომ გაცვდა –
ხელისგულები...
1. I. 2020

ჩვენ – ჭეშმარიტების

დავკარგეთ გაგება...
სიცოცხლეს –
შურში და
მტრობაში ვათავებთ,
არ გვინდა
და... არ გვსურს
მზის –
ტაძრის აგება...
რა არის –
საქვეყნო,

დაღუპვის სათავე? –
ჩვენ –
ჭეშმარიტების
დავკარგეთ გაგება...
14. X. 2019

არაზოდეს...

მონას მუცლის –
მზიან
მიზანს

დამედ უცვლის
მზეს
მომავლის –
მხოლოდ,
მხოლოდ,
ქარად ქსოვდეს...
გონიერი
არ გახდება –
მონა მუცლის, –
არასოდეს,
არასოდეს,
არასოდეს...
25. I. 2020

25



სტორს...

დაიპურო უნდა –
აზრი და...
დროცა,
გზას დაგილოცავს
უფალიც, –
ზენით...
„სჯობს, –
მისწვდე კალამს –
მიაღწევ,
როცა:
გამოცდილების
და... ცოდნის
ზენიტს“...*
17. VII. 2019

*რაინერ მარია რილკე.

ლმეროთი და...

ლორი...

ხან, – სიტყვა,
არსით,
ელფერსა და...
გაგებას იცვლის,
არსიც და
ახსნაც...
და... გაგებაც,
ჰქონია – ორი...

ოლქ, №1, 2020





ადამიანი – სახეაო:
ლმერთისა, – ვიცით,
ზოგმა კი –
ლმერთი დაივიწყა...
და... გახდა – ლორი...
19. I. 2019

ნაციონალური მუსეუმი...

ჯუმშერ სახეიშვილს
შენი მუსიკით
გადაშლილა –
ველზე ყვავილიც,
და... წყლიდან –
განცდით,
გამომსხლებარა
ქვაც კი, –
უგულო,
მზეც უფრო სხივობს,
ნეტარებით
იწყებს ცა ლივლივს,
შენ, –
ხმათა ტკბილთა
ჯადოქარო,
ნაღლო, –
ბულბულო!...

სანაძე?!

მტრობავ – ცხადო და...
მტრობავ – მალულო,
სანამ ვენამოთ
ჯვარცმულო, –
ასე?!..
შოთას,
ილიას,
ვაჟას მამულო,
გამხდარხარ:
მგლებით,
გველებით –
სავსე...
20. VII. 2019

არჩევანი...

სამეცნიეროში
და... საძმოში
აროდეს
ვრიცხავ, –
ვინც სიავეს და...
ბოროტებას დაიდგამს –
რქებად...
ავი სულისგან
მირჩევნია:
ლანძღვა და...
კიცხვა,
ვიდრე –

ვარდები,
ვარდსიტყვები,
ხოტბა და...
ქება...
13. VI. 2019

ხომ, ვიწოო...

ვინ – მოსვლით,
მხოლოდ,
სამარეს ავსებს,
სჯობდა –
არმოსვლა
და... მოსვლით
სცოდავს...
ხომ, ვიცით, ყველამ,
ხან, ხდება ასეც:
ცოტა –
ბევრს ნიშნავს
და... ბევრი –
ცოტას...
14. VI. 2019

ფიფერა!..

დიდება ყველას,
ვინც –
ცა მარჯნებით
აანთო...
ღამე –
მზეს სად წაუვა?..
ვინც –
9 მაისი, –
დღე
გამარჯვების,
დააგვირგვინა –
დღესასწაულად...
9. V. 2019

უნინარეს...

რომ არ დამკვიდრდეს:
წესად,
ფულის
მძევლის უფლება,
რომ არ დაგვეცეს:
თავზეც,
გულზეც –
სატანის გუნდა,
ხალხს და
ქვეყნას, –
უნინარეს,
ხელისუფლებამ –
სინდის-ნამუსი
და სიმართლე
ასწავლოს უნდა...
27. IV. 2019

როგორ –

იესო...

ბრძენს –

გითვალთვალეს, –

შავი სათვალით,

და... გინუნებდნენ

მზისებრ

იერსო...

კოლუმპიდან

გდევნეს მართალი,

ნაზარეთიდან,

როგორც –

იესო...

18. VIII. 2018

*სამშობლოდან, იესოსავით, დევნილმა ნობელინტმა, გენაალურმა კოლუმბიელმა მხერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა მექსიკას შეაფარა თავი, – იქ იღვაწა, იმზევა და, იქვე, ჩაესვენა...

გრძნობა და...

განწყობა...

გრძნობაც და...

განცდაც –

მანთებს... მიღელავს, –

გულის

გონების

მზეს სპად ვევლები...

იტალიური –

მადნობს სიმღერა

და... ცეკვის ცეცხლი –

ესპანელების...

2. V. 2019

არჩევანი...

ავი...

ავბედი...

ავბედითი –

ბედით გვერევა...

მაგრამ...

თვითმგვემი –

ბედს და... იღბალს

ნუ ემდურება...

უბედურების ნაცვლად, –

ზოგს სურს –

ბედნიერება,

ბედნიერების ნაცვლად, –

ზოგს კი –

უბედურება...

7. VIII. 2019



არ ვიწი,
ნეტვორკი
რად მიყვარს

აჟე?!.
რაღაც, – დიადი
განცდებით
მაგსებს,
მის ნეტარ ფიქრში –
წამი წამს
მიჰყა...
არ ვიცი,
ნეტაგ,
რად მიყვარს
ასე,
მიქელანჯელოს ქვეყანა
მიყვარს...
15. V. 2019

საქართველოს
XXI საუკუნის
სურათი...
ხალხს – ხალხობა და...
ერს კი – ერობა
აღარ ეტყობა
ცრემლით
ბანაში...
გარდაიცვალა, –
ნუთუ, მწერლობაც?!..
და...
ჩვენ ვესწრებით, –
ახლა,
პანაშვილს?!..
27. VII. 2019

ზოლო, ზოლო, –
სადამილე?!.
ვის სურს –
ქარებს
რომ ვდევდეთ?! –
ეს კითხვები
თან დამდევს:
ჯოჯოხეთი –
როდემდე?!..
ბოლო,
ბოლო,
სადამდე?!..
7. X. 2019

ანომალია...
ხან, – არნივია
ეს ცხოვრება,
ხან კი –
ბუ, – ვნების
შედეგით... ბოლოს...
ვწუხვართ, ეგზომ,
ვნანობთ, – ძალიან...
ანომალია, ხომ, არსებობს –
მიწყივ,
ბუნების?..
თურმე, არსებობს –
სიყვარულის
ანომალიაც...
17. IX. 2019

ყველაზე უნინ...
ზოგჯერ, ვართ –
კენტი...
და... ზოგჯერ –
ლუწი,
ხან, – მხოლოდ,
მინის...
და... ხან, კი –
ცისაც...
თუ, გვიღდალატებს, –
ყველაზე,
უნინ,
ყველაზე მეტად
ვენდობით
ვისაც...
2. I. 2020

სიგრძნეთა სიგრძნე...
მინდა ვთქვა
სიბრძნე –
ათასგზის, –
ერთი,
არ ვიტყვი –
იოგს, –
ცრუს და
ანაფრენს, –
ვინც –
სულით,
სიბრძნით
არ არის
ღმერთი,
არ აპატიებს:
არგის,
არაფერს...
28. IX. 2018

სანამ...
სანამ, –
ცით გვაწვიმს:
ოქრო – მზისა
და...
მთვარის – ვერცხლი,
სანამ, –
ბუნების
მაღლი გვაძლევს
სიკეთეს, –
ულევს,
სანამ, –
ჩაქრება
სიყვარულის
მგზნებარე ცეცხლი,
ბედნიერება მივანიჭოთ
ძვირფასო,
გულებს...
6. X. 2019

თუ, – მართლა,
გვიყვარს...

ჩვენს პარლამენტარებს
თუ, –
მართლა,
გვიყვარს –
მამულიც,
ხალხიც,
მათი ტკივილის
რად არ ვართ
მცოდნე?!..
თუ, –
ცოტნეს განცდის
გვწვავს –
დარდიც,
ალხიც,
მაშინ... ჩვენც, –
თვითონ,
რად არ ვართ –
ცოტნე?!..
4. VII. 2018

ეს, – ჭოჭოხეთი –
დამთავრდეს
უნდა!!!..

ჩვენ –
თხა და მგლობით,
რამ გაგვამთელოს?!..
უფაფხურობთ, –
ეგზომ,





მარტო, თუ –
გუნდად?!..
რაიც –
ხალხს სტკივა...
და... საქართველოს,
ეს, – ჯოჯოხეთი,
დამთავრდეს
უნდა!!!..

17. IX. 2019

ლაჩანი...

აღმართ-დაღმართი –
წუთისოფლის,
ცრემლს ადენს
ქონდრებს,
თუში ამბობენ:
კლდეზე ვცოცავთ,
თუ, –
ვთელავთ ქვიშარს,
კაცს ჰქონდეს:
თავი,
ხელები და...
ფეხები
ჰქონდეს...
და... წუნუნდეს,
ცხოვრებაში –
სილაჩრეს ნიშნავს...
14. IX. 2019

ჩეცნიერზე –

ჩეცნიერი...
თუმც, ჩვენში, –
ზოგჯერ,
ბედი ერია,
მიზანი –
დიდი საქმით
ელვარებს...
ის –
ბედნიერზე,
ბედნიერია:
ვინც იპყრობს –
ცოდნის,
სიბრძნის
მწვერვალებს...
20. X. 2019

რაჭო?!

რატომ დგება –
ზოგჯერ, ტროა?! –
ზარ-ზეიმი,
გულო, სვავთა?!

მზე ბნელდება,
როცა – დროა:
სკამოსანთა,
ფულოსანთა...
13. IX. 2007

ალალ გულს და...
ცრემლიან –
თვალებს...
17. X. 2019

კაე მგონია...

ყინულად გვექცა
გულები და...
ვერაფრით
ვალხობთ,
ფიქრის და დარდის
ოკეანეს –
არ უჩანს ძირი?!..
ასე მგონია:
ნამებულო... ძვირფასო –
ხალხო,
ვეღარ ვიღვიძებთ,
ნუთუ, –
გვძინავს –
საღათას ძილით?!..
3. III. 2019

ჩეცნიერება

რამდენი ვკარგავთ?!..
ჭეშმარიტების –
უკუღმა
ჩენით,
ვუყურებთ, ზოგჯერ,
ცხოვრების ქარგას...
რამდენჯერ, –
ჩვენით...
და... მხოლოდ,
ჩენით,
ბედნიერებას
რამდენი ვკარგავთ?!..
18. X. 2019

მე – ვენაწვალე,

მე – შემოვევლე...
დარდის მთებს
ვჩერიობ...
ხან –
ვჩერიობ ველებს...
ბენვის ხიდები
რამდენი –
ვთვალე?!.
მე –
ვენაცვალე,
მე –
შემოვევლე, –
შენს

კანმინიაჭოს...*

„სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი სადით ძირსა?“
შოთა რუსთაველი
თუმც, –
ფლორენციას
დაპყურებ მაღლით
და... მთის –
ზღაპრული,
ბუნება გშვენის,
მე გხედავ, –
მანც,
ფიქრებით დაღლილს,
საით გაფრინდნენ
შვილები შენი?..
10. V. 2019

*როგორც ცნობილია, პატრიციები, – ნა-პოლეონ ბონაპარტის მმობლები, იტალის, ერთ-ერთი, სილმაზით შემკული, მთის სოფელ – სამინიატოდან იყვნენ, რომელიც სახელ-დადებთ განთქმულ ფლორენციას მაღლიდან დაპყურებს. ინტერესს იწვევს, – რატომ მოწყდნენ მშობლიურ მინას ნაპოლეონის ფესვები და... რატომ გადასახლდნენ იტალიის გარეთ, ხმელთაშუა ზღვაში მდებარე პატარა კუნძულ კორსიკის პროვინციულ ქალაქ აიაჩიში?!



ვნაფრობთ ხვალეს, – უნდა დავფიქრდეთ, –
შეკეთეს... ცოტა?..
 ეს დრო გვინდა:
 ვთათხოთ,
 ვქოლოთ,
 ვნატრობთ ხვალეს, –
 უკეთესა...
 რადგან... ლამის,
 ყველა,
 მხოლოდ,
 თავის ბეჭარს
 უკეთებს...
9.X. 2019

არ იჯის, ვინაუ –
რაა მთავარი...
 მტერია თავის –
 სიცოცხლით
 თარსი,
 არ იცის, ვინაც –
 რაა მთავარი, –
 უბედურია:
 სულით და...
 არსით –
 მედიდური და
 ამპარტავანი...
9.X. 2019

უჩაფრონო ეკლესია...
 სიყვარული –
 გულის
 მზით არს,
 ველით ქვეყნის
 მეკვლეს, – სვიანს...
 საქართველო არის,
 ვითარ –
 უპატრონო
 ეკლესია...
11.X. 2011

ყველა, ხომ,

უნდა დავფიქრდეთ, – თიოქოს, –
წოტა?..
 ბევრმა –
 ღირსებაც,
 სახელიც
 ვივნეთ, –
 ყველა, ხომ,

უნდა დავფიქრდეთ, –
 თუ, დავფიქრდებით? –
 როდესმე?..
 ვინმე?..
 ჩვენ –
 ჩვენი საქმით,
 ხომ არა
 ვცოდავთ?..
6.IX. 2019

უშენოდ...
 თიოქოს, – მივდივართ
 სამყაროში,
 უკუ, – ერთიან,
 უსაზღვრო გახდა –
 განცდისა და
 ფიქრის ცა, – უფრო...
 უშენოდ, თიოქოს,
 პლანეტაზე –
 უკუნეთია,
 და... არის, ირგვლივ,
 უსასრულო
 დარდის საუფლო...
2.IX. 2019

უძნელესია...
 როგორც – ნისლები
 და... ღრუბელი –
 მაღალ
 მყინვარ-მთას,
 მეც –
 დარდის ნისლი
 და... ღრუბელი
 გულზე მესია...
 ხომ, ძნელი არის
 სიყვარული? –
 შენ, რომ
 გიყვარს და...
 თუ, არ უყვარხარ,
 ძნელზე, უფრო
 უძნელესია...
14.X. 2018

თიოქოს, –
მარტო ვარ...
 მამულო, შენი:
 ჯვარცმა,
 გლეჯვა,
 მაინც, – სანამდე?!.
 დიოგენივით –

ვეძებ...
 ვეძებ, –
 სიბრძნით ნათოვარს...
 ფიქრი –
 უსაზღვრო,
 უნაპირო,
 მაინც, – სანამ მდევს?!..
 ვითარ – ილია,
 ამდენ ხალხში,
 თითქოს, – მარტო ვარ...
16.X. 2009

თვალსაჩინიერი –
თვალის ფა...

ჟკუის...
 ვინ იშვა –
 ბუდ და...
 ვინ იშვა –
 ზევსად...
 ვჭვრეტთ სამყაროში:
 ჭირსა და
 ზემს...
 ლაუგარდში –
 ზოგი,
 ვერ ხედავს
 მზესაც...
 მაგრამ...
 სიცოცხლედ,
 ხომ სუფევს –
 მზეი?..
12.I. 2020

ძალიან ძნელად...

ვართ, მუდამ, –
 სხვათა ღირსების
 სხვლაში,
 ვნაღირობთ სხვებზე, –
 მზეა, თუ –
 ბნელა...
 ადვილად ვხედავთ:
 მტერს,
 ავსულს –
 სხვაში,
 საკუთარ თავში –
 ძალიან
 ძნელად...
14.V. 2017

უფრონე ძნელი...
 ხომ, ძნელი არის,
 რომ გვებრძვის





დროცა...
და...
გვტაცებს მტერი:
ამ ცას,
ამ არეს...
მაგრამ...
უფრორე ძნელია,
როცა –
ქართველი
ქართველს
უთხრის
სამარეს...
8-10. VIII. 2008

ჩემო, ძვირფასო!..

უშენოდ, –
წაპიც მძევალია
კაეშნის
ქართა,
ასე მგონია –
მზეც, –
უშენოდ,
აღარ კისკასობს,
მე –
არაფერი გამაჩნია, –
ამ გულის
გარდა,
ისიც შენ გიძლვენ,
ჩემო, ნატყრავ,
ჩემო, ძვირფასო!..

P.S.
ლექსი მაქვს –
ოდენ, –
ეს, ღვთიური, –
გამა გულისა...
9. VIII. 2018

სირქძნილ და...

აზოით...
წუთისოფელი მრისხანეა,
ხან, –
თვალებს ნაბავს,
ხან, –
გვირგვინია –
სიკეთისა,
წყალობა –
ცა-ზვრის...
ცხოვრებამ მთელა,
ვითარ, ლეკი
თელავდა ნაბადს,
ცხოვრების ქვაბში

მოვიხარშე –
სიბრძნით და...
აზრით...
1. VIII. 2019

რაჭომ?!

რატომ ვიბრმავებთ
თვალებს –
ახელილს?!..
პანდორას ყუთით
ფული ამოქსვით...
თავისუფლების –
შირმით,
სახელით,
ჯოჯოხეთური
არის ქაოსი...

P.S.
შიგნით და...
გარეთ –
მტერი გვყავს
ბევრი,
გაფრთხილდეს უნდა:
ერი და...
ბერი...
27. VII. 2019

სიყვარული და...

სიკეთე...
დასაბამიდან, –
სიყვარულს და...
სიკეთეს –
ვზრდიდთ...
ვმზეობთ, როდესაც –
ალერსით და...
სიკეთით ვუფლობთ...
სიყვარული და...
სიკეთეა:
მარადიც,
დიდიც,
გმირობაც,
სიბრძნეც,
სიდიადეც, –
ყველაზე უფრო...
1. I. 2020

სკონჩი...

გაბევრდა, ეგზომ, –
მგელი და...
ტურა,

სულს, სამარისკენ, –
ვაგლახით
ვითრევთ...
სჯობს, რომ...
დაკარგო:
გაქვს, თუკი,
თუ, რამ...
რწმენა უფლის და...
სახელი,
ვიდრე...
28. IV. 2019

მთავარი და...

უმთავრესიერ...
ხომ არის, ხოლმე, –
როდი ვარჩევთ:
რწყილსა და
აქლემს?!..
ვზეიმობთ ადრე,
მერე გვიწევს –
ვიში და
გლოვა...
მთავარია და...
უმთავრესიც, –
ყოველთვის,
საქმე...
თქვით, ვის სჭირდება:
მხოლოდ,
ფუჭი სიტყვების
გროვა?!..
2. V. 2019

სიყვარული...

ხან, – შეგვიჯდება
ფიქრების –
ჭია,
და... გვაძლევს განცდას:
უსაზღვროს...
ულევს...
სიყვარული, თუ,
თვალს უხელს –
ჭკვიანს,
ორივე თვალით
აბრმავებს –
სულელს...
16. X. 2019

გული მიკვდება...

მტერი გაგვიხდა:
სიღატაკეც,



შიმშილიც,
დროცა,
ძალმომრეობა –
თვალთ და წამნამთ
ანამიანებს...
გული მიკვდება,
გულმდუღარე ვუყურებ,
როცა –
სულგაყიდულ და
გულგაყინულ
ადამიანებს...
8. VIII. 2019

უუჩირველეს...

გვმოძლვრავდა, ვითარც –
ილია, – ბრძენი*,
ვიცავდეთ –
მინას, –
სისხლ-ცრემლით ნამულს...
ვიცოდეთ უნდა:
სიცოცხლე, – ჩვენი,
უუპირველეს,
ეკუთვნის –
მამულს...
26. VI. 2018

* „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დე-
დისაა და არც – მამისა, ქვეყნისა არის, –
ჯერ ქვეყნა და, მერე – დედა და მამა”...
ილია

ათასკერ –

რაჭომ?!..
ცხოვრების ლხინი
ვის ჰექონია –
ბოლომდე, ამო?! –
არ გადაჰყროდეს:
დღეებს – მძიმეს,
ქარს,
ქარაშოტებს?!..
ხომ, ხდება, ხოლმე?! –
სხვას
პასუხს ვთხოვთ, –
შეცდომის გამო,
საკუთარ თავს კი –
არ-რის გამო...
და...
არასოდეს?!..

P.S.
რამდენმა, – ბოლოს,
ბეწვის ხიდი
ცრემლებით
ალტო...
მითხარით:
რატომ?!..

გადავარჩინოთ!!!..
რა – მძაფრი დროა, –
რა – გზა,
რა – როული,
რა – უძნელესი,
რა – ბრძანებული...
გადავარჩინოთ:
ენა, –
ქართული!!!..
და...
საქართველო –
გადავარჩინოთ!!!..
5. VI. 2018

ხომ, უნდა

გვქონდეს?!..
ვიცოდეთ უნდა –
ჩვენი სულის
ჭურჭელში
რა დგა, –
სიბრძნის ზვარიდან
ჩვენ –
რას ვილებთ?
ვართ ღირსი?
ამ ზვრის?..
უფალმა მოგვცა:
სიყვარულიც,
სიცოცხლეც,
რადგან,
ხომ, უნდა
გვქონდეს:
სიყვარულის,
სიცოცხლის
აზრი?!..
19. I. 2020

დავლოოზვა...

სურვილს,
სიყვარულს –
მუდამ,
მუხტებად,
დავლოცავ, ვითარ,
ციდან აისებს...
სულის
საუნჯეს –
თუ, რამ
უხდება:
სიბრძნე,
სიკეთე,
სიდარბაისლე...
6. I. 2020

ქართველი...

სიტყვის თქმა:
მოშშივდა,
მომწყურდა,
მომინდა, –
დიდებას –
ზოგი წერს,
ზოგი ხევს,
ზოგი შლის...
ქართველის ცხოვრება
სულ იყო
ომი და...
აროდეს კვდებოდა
ქართველი
ლოგინში...
6. VII. 2019

საქართველოსთვის...

როდემდე ვუყუროთ
სამოთხეს –
გათელილს?!..
როდემდე გვტაცებდნენ –
ამ ბალნარს,
ამ მინას?!..
თუკი ვართ –
სისხლით და
მზეგულით
ქართველი,
ამ სამოთხისათვის –
დავდნეთ და
დავიწვათ!..
10. X. 2019

სიკორწლის წყარო...

ბოროტებისგან –
სამყაროში,
დიადი
მზეც თრთის...
სიავე –
ზეობს,
სინათლეზე –
უკუნი მწყრალობს...
ძალმომრეობა –
უმტრესია:
სულის და...
ღმერთის...
სიყვარული და
სიკეთეა –
სიცოცხლის წყარო...
22. XII. 2019





სიკულტილის გარდა,
უსაშველო —
არაფერობა...
ზოგს ხვდება —
ჯვარცმა,
ზოგს კი თავზე —
გადაფრენია, —
ცხოვრება არის:
ვისთვის — ბამბა,
ვისთვის კი — ბასრი...
სიკულტილის გარდა,
უსაშველო —
არაფერობა, —
საჭირო არის:
მხოლოდ —
ჭუა, —
სიპრძე და აზრი...
29. VIII. 2019

მაგრამ... ფავორჩი —
აფამიანია...
ცხოვრების ვწება
პიტალო
ქვას შლის, —
სულის ტკივილი
არ დამიამა...
თუ, საჭიროა,
ვიცხოვრებ —
კასრში*,
მაგრამ... დავრჩიები
ადამიანად...
24. VIII. 2019

*იგულისხმება დოოგენე სინოპელის (ქვ.ნ. 404-3236.) ქველი ბერძნი ფალოსოფოსის კასრი. პლუტარქეს ცნობით, დოოგენეს უარუყვია იმდროინდელი ცოვილიზაცია და კასრში ჩასახლებულა. იგი იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი, რომელზეც ლეგენდარულმა მხედართმთავარმა, თოთქმის ნახევარი მსოფლიოს დამპყრობელმა და დიდების ზენიტზე მყოფმა თქვა: „მე რომ ალექსანდრე მაკედონელი არ ვიყო, დოოგენობას ვისურვებ დიო“...

მიყვანა...

მიყვანა —
სულის სილაშვარდე, —
სხივოსანი,

მიყვანა —
მზე და...
რატომ უნდა
ვდომ ნისლებს?!..
მიყვანა განცდაც —
მათრობელა, —
ღვინოსავით...
და...
სიყვარულს
რომ დაარქებევს —
დიონისე...*

11. VIII. 2019

*(ბერძნ.) ბერძნულ მითოლოგიაში — ღვინის, დროსტარებისა და მხიარულების ღმერთი.

შენით ინტერა,

შენით მთავრდება...

მინდა გულიდან
ღამე ავყარო, —
მზე დამიდგება
ამის თავდებად...
შენით ინტერა —
მთელი სამყარო,
და... მხოლოდ,
ისევ,
შენით მთავრდება...
28. VIII. 2019

უნდა მოვასწროთ...

ვინც, რა,
შესცოდა,
არ შეუნდობს —
ხვალე
იმ ცოდვებს,
როგორც წავიდა —
ავით,
კარგით,
ისევ, მოვა დრო...
სანამ, —
მიქელა ჩამოივლის,
უნდა —
ვიცოდეთ,
უნდა მოვასწროთ —
სიყვარული, —
უნდა მოვასწროთ...
27. IX. 2019

მერე, —

მზესავით
ფავირზები...

თავს
არ გავიხდი —
ბედის სალახად,
თუმც, —
მომდევს:
შარით,
დავით... ბრალდებით...
მე —
ამ, სიცოცხლეს:
ჯვარცმით დავმარხავ,
მერე, —
მზესავით,
დავიბადები...

აფამიანის —

ლმერზორზ მინდა...

არ მინდა,
არ მსურს,
არ მიყვანს,
არ მწამს —
ცხოველად ყოფნა, —
სიცოცხლის მინდვრად...
ბოროტება, რომ...
ვერ ხსნიდეს —
წამნამს,
ადამიანის —
ლმერთობა მინდა...
10. X. 2019

მხოლოდ ფა...

მხოლოდ —

სიყვარულისთვის...
სიკეთე სიპრძნის
დედად ვიწამე,
სიკეთეს —
საქმით,
სიტყვაც თუ, ითვლის...
სიცოცხლე მინდა
დედამიწაზე, —
მხოლოდ და...
მხოლოდ —
სიყვარულისთვის...
15. VII. 2019



როლანდ გიორგაძე

საქართველოს მთავრობის მინისტრი

კულტურის მინისტრი
ქართველი კულტურის მინისტრი, ლოკური მინისტრი, საქართველოს მთავრობის მინისტრი

— რომან, ფულს ვინ გადაიხდის?! თქვენ რომ წახვიდეთ და ფული არ გადაიხდოთ, გამავდეთ მე სამსახურიდან. ფული სახით მოვიდან, სახლში ყველა უძუშევარია.

კულტურის მინისტრი.

— შენ, ძამია, ლოკური გროვნია, თქვენ მთავრობავი და გულში ჩამოვდომი, მაგრამ ჩვენი გადახდილია, ჩემი ქვეყანა იხდის, ჩემი სამშობლო, რომლისთვის მე სისხლი უნდა ვლოვა-რო. გესმის, ჰავარია?

რ. გიორგაძე

33



დისო, დისო...

(რომანი)

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 2018 წელი; №1, №2, №4, 2019 წელი.

* * *

პოლიტიკურმა არეულობამ ქვეყანაში პიკს მიაღწია. ასობით პარტია გამოიჩეა, ყველა ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობდა, უმეტესად ყალბი და პოპულისტური დაპირებებით. დრომაზე ყველას დემოკრატია ენერა ფარად. „საჭიროა დემოკრატიული გარდაქმნები“, „სიტყვის თავისუფლება“, „გამოხატვის თავისუფლება“ და სხვა ბევრი ბუნდოვანი ლოზუნები, რომლისაც თვითონაც არ სჯეოოდათ, ან არ ესმოდათ. მიტინგებზე გაჰყვიროდნენ ევროპული ღირებულებების შესახებ: ევროპის გარდა ჩვენ სხვა გზა არ გვაქვსო. თავიანთი საკუთარი განვითარების გზაზე კი არავინ ფიქრობდა. პოლიტიკაში მოსვლა დიდ დიგიდნებთან იყო დაკავშირებული. ევროპისკენ ყველას უნდოდა, მაგრამ შრომისადმი ევროპული დამოკიდებულება არავის. სამაგიეროდ სხვა, ქართულ ზნეობისთვის მიუღებელ ღირებულებებს უხვად დაეწავით — სქესობრივი თავისუფლება, ტრანსგენდერობა, ერთსქესიანთა ქორნინება და სხვა მრავალი ქართული მენტალობისათვის მიუღებელი მოძღვრებები. შეიძლება ბევრ მათგანს შინაგანად თვითონაც არ მოსწონდა, მაგრამ დიდი ფულის შოვნა შეიძლებოდა. დასავლეთიდან ჩამოსული ზოგიერთი ემისრისგან დამოძღვრილი გაპკიონდნენ ტოლერანტობაზე. შუა საუკუნების ინკვიზიციამ ევროპაში ასიათასობით სხვადასხვა მოდგმის, ჯიშისა და რწმენის ადამიანის სიცოცხლე შეინირა. ქართველები კი თავიანთი შემწყნარებლური ბუნებიდან გამომდინარე თანაარსებობის ებრაელების, სომხების, მუსულმანებისა და სხვა აღმოსავლელ ხალხთან ერთად და არც მათ სალოცავებს ანგრევდნენ, არც კოცონზე წვავდნენ მრნამსის გამო. გვესწავლება კი ჩვენ ტოლერანტობა — იგივე შემწყნარებლობა? მსოფლიოს მრავალ ქვეყანას მძიმე ცოდვად აწევს ამ შეუწყნარებლობის

გამო გადაშენებულ-გადაჯიშებული ხალხების ტეკილიანი ისტორიები. უამრავ სატკივართან ერთად მიძინებულმა სეპარატიზმაც გაიღვიძა. ყველა მეზობელს ტერიტორიული პრეტენზია გაუჩინდა. ქვეყანას ქაოსი მართავდა. ღმერთი დაივიწყეს და სალოცავად მამონა გაიხადეს. დრო იხელთეს და გავლენის მოსაპოვებლად კრიმინალურმა დაჯგუფებებმაც დაუნდობელი ომი გააჩადეს ერთმანეთთან. უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეინირა ამ გარჩევებმა. ქვეყანა დღითი დღე უმოწყალოდ იძარცვებოდა და ღატაკდებოდა. ჯართით, სპილენძით, ჩარხებით თუ მანქანა-დანადგარებით დატვირთული მანქანები საზღვრებს მიაწყდნენ. აგურ-აგურ იძლებოდა შენობები. ხალხის მასა კი ფიზიკური გადარჩენისთვის იძრძოდა. სახელმწიფო ინსტიტუტები მოშლილიყო. უზნეოთა და სულგაყიდულთა ხელის მოთბობის დრო დამდგარიყო. სამართალს ძნელად თუ იპოვიდა კაცი. მოსამართლის ფუნქციები კრიმინალურმა ბოსებმა აიღეს ხელში.

უდალთმიანი პერიოდულად შეირჩენდა ხოლმე თავის დამრიგებულთან, რომელიც ბოლო დროს ძალიან დაკავებული და მოუსვენარი გამხდარიყო. რაღაც დიდი ნახტომისთვის ემზადებოდა და უდალთმიანს დიდ ყურადღებას ვეღარ უთმობდა. უდალთმიანმაც აიშვა. უამრავი ბრიყვი თევზი გააბა მახეში. თევზაობისას ფეხებიც ხშირად უსველდებოდა. რამდენჯერმე სასტიკად სცემეს. პატარა ხანს ციხეშიც იჯდა. კოჭოის პირით შეუთვალა დამრიგებელმა, ყველაფერი მიატოვე და ჩამოიდიო.

— რა უნდა, ხომ არ იცი? — ჰეითხა კოჭოიას.

კოჭოია გაიღრიჭა:

— შენს ჭუაზე რომ დალაუნობ და დაფშვიტინებ, აბა რა გეგონა! ჩახვალ და წაგივთხავს „გამზრდელს“. ცივად შეხვდა დამრიგებელი და მეაცრად გააფრთხილა:





— კიდევ ერთი ეგეთი თავნებობა და შედეგი იქნება უმკაცრესი. ბევრი რამ გახდა შენთვის ცნობილი, ბევრის მცოდნე და ენაჭარტალა მოწმეები კი არავის სჭირდება. რამდენჯერ გაგაფრთხილე, ჩემი სახელი არსად ახსენო-მეთქი. ბოლო გაფრთხილებაა, არანაირ საქმეს აღარ გაეკარო. ახლა კი ყურადღებით მომისმინე. აქეთ მოინიე, ამ სურათს დააკვირდი კარგად, — და სურათი გაუწოდა. — გაზეთები მისი სურათებითაა აჭრელებული. ცნობილი მუსიკოსი და მომღერალია. ტაბახმელაზე აქვს აგარაკი. უნიკალურ ვიოლინოს ფლობს, მოკლედ, ანტიკვარია. ეგ ვიოლინო უნდა ამოვიღოთ.

ჟღალოთმიანს პირი გაოცებისგან დღად დარჩა, — ნუთუ მე მანდობს ამხელა საქმეს?! კიდეც შეეშინდა და კიდეც გაუხარდა.

— დამუწე პირი და ყურადღებით მომისმინე. კერძო დაცვა ჰყავს აყანილი, კარგად შეიარაღებული. იარაღით ვერაფერს გავიწყობთ და არც ვარ ბრძოლის მომხრე. სისხლი არ არის ჩემი საქმე. მე სხვა მიზნები მაქვს. მოკლედ, კარგად უნდა შეისწავლო მეზობლები, უნდა გაარკვიო მისი ხასიათის ყველა დეტალი. დაიმახსოვრე ყველა წვრილმანი — მისი ქცევები, გამონათქვამები, დაიხმარე ვინც გინდა. მე დაგაფინანსებთ.

ჟღალოთმიანი ბოლომდე მაინც ვერ ჩასწვდა საქმის არსს, — კი ბატონო, დაცუშვათ, შევისწავლე ყველა წვრილმანი, მაგრამ სახლში როგორ შევაღწევთ. დამრიგებელს გაელიმა და მოკლედ მოუქრა:

— იმ მუსიკოსის ორეული უნდა ვიპოვოთ. მიხვდი?

ჟღალოთმიანი ყველაფერს მიხვდა.

— ვიპოვით ორეულს და მორგებული გასაღებით დღისით მზისით ადვილად შევაღწევთ სახლში. მარტივია ხომ?! ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ ამასთან ერთად ურთულესი. ერთი პატარა შეცდომა და ციხე გარანტირებულია. გარდა მეზობლებისა, უნდა დავადგინოთ, დაცვის როგორ წევრთან აქვს ყველაზე კარგი დამოკიდებულება, მისი ოჯახის შემადგენლობა, ყველა წვრილმანს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს დავაღება სხვასაც მივცი, მოვაგროვებთ კანდიდატებს და მათ შორის საუკეთესოს ამოვარჩევთ და გავნერთნით. მე ბევრი მაქვს ამაზე ნაფიქრი. ყველაზე რთულია, მაგრამ ყველაზე საუკეთესო. დიდ ფულს მოიტანს. პოლიტიკაში შესვლა არ არის ადვილი. წარმატების მოსაპოვებლად დიდი ფულია საჭირო. თუ წარმატებით დამთავრდა ყველაფერი და აღბათ ასეც იქნება, ოკეანის კუნძულები გარანტირებული გაქვს.

სადღაც გონების კუნძულში ზორბა წამოტივ-ტივდა...

— ოცნებებს თავი დაანებე და მომისმინე, მაგოცნებასაც აგისრულებ, მაგრამ თუ ჩავისვარეთ, მეორე საგზურიცაა აქვე ახლოს, უფასოდ, ორთაჭალა ჰქვია მაგ კურორტს. ყველაფერი გითხარი, ამოცანა ნათელია. ახლა გამოჩნდება, სწორად ჩავყარე ფული შენს აღზრდაში, თუ ქარს გავატანე.

სათქმელი რომ დაამთავრა, დამრიგებელი

მოეშვა და შინაურულად, თითქმის მეგობრულად გაულიმა:

— შენზე ამბობენ, კონიაკი უყვარსო, ამოუსუნთქავად შეუძლია ერთი ბოთლის გადაკვრაო. ჩამოასხი, დალიე და მეც დამალევინე. იმასაც ამბობენ, სისხლძალვებს აფართოებსო და გონებასაც ამშვიდებსო, შენს ტვინს ახლა გავარჯიშება არ აწყენდა.

ჟღალოთმიანს არაფერი უთქვამს, ბოთლს დასწვდა, ჩაის ჭიქაში კონიაკი ჩამოასხა და უთქმელად გადაცეკრა.

მიდიოდა ჟღალოთმიანი და ფიქრობდა, — მე მეგონა მენდობოდა, მას კი ყველა ჩემი ნაბიჯის შესახებ სცოდნია. ნეტავ გივის ოჯახის შესახებაც იცის? ეცოდინება, რა თქმა უნდა. ფულს ტყუილად ჰერში არავინ ისვრის. თვითონვე არ ამბობდა — „დავერია ნო პრავერიაო“. ესე იგი ყველაფერი იცის. დაჭერასაც გადამარჩინა, რამდენიმეთვიანი ციხეში ყურყუტიც მაგის მოგონილი ხომ არ იყო ნეტავ? ამოუცონბია, ვერაფერს გაუგებს კაცი. ყველანაირი საბრძოლო ნათლობა მიმაღებინა. ნუთუ ამდენ ხანს ამ საქმისთვის მამზადებდა? ეს ჩემი თავისუფალი განავარდება ერთგვარი მოთელვა იყო მაგისთვის აღბათ. არა, ნდობა უნდა გავუმართოლო, დიდი საქმე კი ამკიდა, ძალიან საპასუხისმგებლო. დაიწყო ფიქრი, მის ნაცნობებში დაახლოებით ვინ შეიძლებოდა დამსგავსებოდა მუსიკოსს. ტვინი ვერ აზროვნებდა, გაყინულივით იყო. კონიაკაც არ უშველა, ვერავინ გამოჩერიკა. ასე ადვილი არ იქნება ამ საქმის კარგად დამთავრება. თითქმის ციხის სუნიც იგრძნო. მაინც რა საშინლად ჰყარს იქ ყველაფერი! აპეზარი და უსიამო ფიქრი თავიდან მოშორა. მერე ისევ წაიოცნება, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა და მთავრობაში მოკალათდა, ნეტავ მე სად მიმიჩენს ადგილს? ჰე! მეოცნებევ! ხომ გაგიგონია, ჯერ გადახტი და ჰოპლა მერე დაიძახეო. კარგი ნათევამია, ჯერ გადავხტეთ. ახლა გივი და მისი ოჯახი წამოუტივოვდა, — ნეტავ როგორ არიან, მოხუცი თუ გადარჩა, ბავშვი? გაუკეირდა, არ ეგონა, მის გაქავებულ გულს ოდესმე რაიმე გრძნობა თუ შეარხევდა.

ჟღალოთმიანი დიდი მონდომებით შეუდგა დავაღების შესრულებას. ყველა კუთხე-კუნძული მოიარა აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც. ვერც ნაცნობებში და ვერც ნაცნობებში ნაცნობებში ხელჩასაჭიდი ვერავინ ნახა. დრო, რომ ტყუილად არ დაეკარგა, კოჭირა იხმო.

— წადი და მომღერლის სახლთან ახლოს ბინა იქირავე, დაუახლოედ მეზობლებს ისე, რომ საეჭვო ვერაფერი შეგამჩნიონ. იმოქმედე თავაზიანად და ზრდილობიანად. ვითომ სხვათა შორის იკითხე მომღერლის შესახებ. ისიც ჩაურთე, საამაყოა ასე-თი მეზობლის გვერდით ცხოვრება-თქო. დაადგინე და დაწვრილებით შეისწავლე მისი ხასიათის ნიშან-თვისებები, მისი გატაცებები, საუბრის მანერა, ჟესტიკულაციები, მიხვრა-მოხვრა. რას ჭამს, რას სვამს, მისი დამოკიდებულება ქალებთან. მოგვი-





ანებით მეც ჩამოვალ. ვისაც ენდობი, ისიც დაიხ-მარე. რამე სისულელე არ ჩაიდინოთ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ და არ გაიშიფროთ.

კოჭოიამ მისი ინტელექტისა და შესაძლებლობის ფარგლებში თავის თანამოაზრესთან ერთად ყველაფერი შეისწავლა. მისი ბოლო ქალის შესახებაც. ისიც კი დაადგინეს, თუ რომელ მხარეს იძინებდა. მალულად, სხვებს თვალში რომ არ მოხვედროდა, დაზვერეს და კარგად შეისწავლეს მომღერლის ეზო და მისი მომიჯნავე ტერიტორიები. საქმის ჩავარდნის შემთხვევაში ყველაზე მოკლე გასაქცევი გზა. გასაკვირი არაა მომღერალს ქეიფი და მოლხენა რომ ჰყავარებოდა. მიუხედავად დიდი პოპულარობისა, ის არ თავილობდა უბრალო ხალხთან, მეზობლებთან მოლხენას და დროს ტარქას. ქეიფის დროს რა არ წამოგცდება ხოლმე კაცს. გამორჩეულად ჰყავარებია ნადირობა. ყველაფერი რომ მოახსენეს, ბოლოს თვითონაც ჩავიდა. ბინა იქირავა მომღერლის სახლთან ახლოს. დაუახლოვდა მეზობლებს, გაეცნო, როგორც ბიზნესმენი. აწყობდა საღამოებს და ყველას პატიუებდა. ცდილობდა, დაეთრო ისინი და სიმთვრალეში წამოცდენილ ხასიათის სხვა ნიშან-თვისებებით სრულყოფილად დაეხატა მუსიკის პორტრეტი. იცოდა, რომ ამ საქმისთვის ყველა წვრილმანს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრიც გაიგო და ბევრიც შეისწავლა. დაუკეპელმა აზარტმა შეიპყრო, აინტერესებდა თავისი შესაძლებლობები, ემზადებოდა და გატაცებით ვარჯიშობდა. ბაბავდა სიარულში, მიხერა-მოხერაში, უესტიკულაციაში. ერთი გაფიქრება ისიც კი გაიფიქრა, მე ხომ არ მოვირგო ორეულის როლი, მაგრამ ის მაღალი იყო, თაფლოსფერთვალებიანი, გრძელი შავი თმით და სპორტული აღნაგობით. თვითონ კი ცისფერთვალება, „რიუა“, შედარებით დაბალი და შევსებული. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი არ ჩანდა, ვარჯიშს მანიც გულმოდგინედ აგრძელებდა, რათა როცა გამოჩნდებოდა, ორეულისთვის შესწავლებინა ყველაფერი. ეს მისი ყველაზე მთავარი საქმე იყო, ყველაზე როტული და საპასუხისმგებლო. იცოდა, რომ მარტო ფიზიკური მსგავსება დიდ შედეგს ვერ მოიტანდა, საჭირო იყო მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული ორეულის პოვნა. მაგრამ მიუხედავად დიდი მცდელობისა, კანდიდატი არსად ჩანდა. ვერსად მიაკვლია. ბოლოს ეჭვებმა დაუწყო ღრღნა, რომ ვერ ვიპოვო, ან თუ ვიპოვი და უარი რომ მითხრასო. არა, უარს როგორ მეტყვისო, იმშვიდებდა თავს. ეჰ, ნეტავ მაპოვნინა, თუ არა ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და ხომ წარმოგიდგენია მინიერ ჯოჯოხეთს როგორ გააბდილვრიალებსო. თავს კი იმშვიდებდა, მაგრამ შინაგანი ღელვა და ფორიაქი მაინც არ ასვენებდა. ლამის ფარ-ხმალი დაყარა, მოეშვა. ცოტა ხანს სხვა რამეზე თუ არ გადავერთე, შეიძლება გავგიუდეო. დიდხანს ვერ გაძლო ასეთ მდგომარეობაში და განსატვირთად ისევ დროსტარებაში გადაეშვა – ღვინო, ღუდუკი და ქალები ხომ მისი ცხოვრების ნანილი იყო. გართობით კი ერთობოდა, მაგრამ მთავარიც არ ავიწყდებოდა, მე უნდა ვიპოვო

და დავუმტკიცო, რომ ჩემში არ შემცდარაო.

ამ განამაწია-ხეთქებაში მისდა გასაოცრად ისევ გივის ოვაზი აეკვიატა... განსაკუთრებით კი მისი მომხიბვლელი ნაცრისფერთვალება დისახლისი, რომლის ხმის გაგონებაზე ურუანტელი უვლიდა ტანში. მერე მოხუცსაც მისწვდა ფიქრით. ნეტავ თუ გადარჩაო, აეკვატა და ლურსმანივით ჩაეჭედა. აბეზარი ფიქრით განამებულმა თავის თავს შეუკურთხა – შენ და სენტიმენტები! მაგის დროა ახლა? ამხელა საქმე გაქვს წამოკიდებულიო.

ფორმიდან რომ არ ამოვარდნილიყო და მთლად არ მოღუნებულიყო, უღალთმიანი პატარ-პატარა გამოვარდნებს მაინც აწყობდა. ახლაც ოჩამჩირები მიდიოდა თავის ორ თანამზრახველთან ერთად. ზესტაფონს რომ მიუახლოვდნენ, კლდეეთის ასახვევთან მანქანა გააჩერეს. გადმოვიდნენ.

– ურიგო არ იქნებოდა, სადმე წაგვეხემსა, – თქვა ერთმა.

– მე მეგულება ასეთი ადგილი, – უპასუხა უღალთმიანმა. გაახსენდა, გივისთან რომ მიდიოდა ხოლმე, ქალაქიდან ერთ კილომეტრში გზის პირას ნაქები საკურმარილე იყო. ადრეც აპირებდა იქ შესვლას, მაგრამ ვერასდროს მოახერხა. ახლა კი მშვენიერი საბაბი ჰქონდა და არც ეჩქარებოდა. ბიჭებს უთხრა, აქვე ახლოს კარგი ადგილია და იქ წავიდეთ, ვისადილოთ, ცოტა დავისვენოთ და მერე გავუდგეთ გზასო.

ჭამაზე ფიქრით გართული წარსულს გადასწვდა: – დიდი უცნაური ხალხი ვართ ქართველები. გაჩენის დღიდან დალხენილი ცხოვრება არ გვქონია პატარა გამოჭიატების გარდა. მდიდარი და მსუყე ქვეყანა იყო და კარგი საკილო მტრებისათვის, მაგრამ სამზარეულოს მრავალფეროვნება, სიმღერისა და მოლხენის კულტურა უზადო გვაქვს და მსოფლიოში ბევრი ვერ შეგვედრება. როდის ასწრებდნენ ნეტავ... ახლაც ამ ვადადარიაში ვიღაც ჭკვიან და მეურნე კაცს კარგი მუხლჩასახრელი და სათავდავინებო ადგილი მოუწყვია. ვისაც არ ეზარებოდა ყველა იქ შედიოდა, ფულიანიც და უფულოც. იყო ერთი განევ-გამოწევა. შეიარაღებული კაცების რუზრუზი. გვიანობაძე ისმოდა დოლ-გარმონისა და ხმამაღალი შემოძახილების ხმა. მეპატრონეს ხან ართმევდენ და ხანაც ორჯერ და სამჯერ მეტსაც უტოვებდენენ. ისიც შეეჩვია ყველაფერს და არც წაგებაში იყო. საკირველი კი ის იყო, რომ ამ რია-რიაში და განუკითხაობაში დაწესებულებას ქალი ხელმძღვანელობდა. საოცარია პირდაპირ ამ ბოლო დროს როგორ მომრავლდნენ მამალი და უნარიანი ქალები. მეხსიერებამ ზორბაც ამოატივტივა თავისი მჩხვლეტავი მზერით. რას იზამ, თავის საქციელზე ყველა თვითონ აგებს პასუხს. შუბლზე ხელი მოისვა, თვალებიც კი დახუჭა, თითქოს მეხსიერებიდან მის სამუდამოდ ამოშლას ცდილიობდა.

უღალთმიანი თანამოაზრებთან ერთად შენობაში შევიდა. სამხედრო ფორმა ეცვათ და შეიარაღებულნი იყვნენ. კართან ახლოს კუთხეში, ფანჯარასთან ადგილი შეარჩიეს, ავტომატები კედელზე,





მიაყუდეს და მაგიდას მიუსხდნენ. მოსამსახურე ბიჭი მიუახლოვდა და ჰკითხა, რას მიირთმევთო.

— ყველაფერს, რაც საუკეთესო გაქვთ, — დაინტერ რიხიანად უღალთმიანმა, — გაითვალისწინე, ძამია, ბევრი დრო არ გვაქვს, ოჩამჩირეში მივდივართ. ომია, ძმაო, ომი! ქვეყანა სისხლისგან იცლება და შველა უნდა. ქვეყნისმოყვარე ყველა თავმომწონე კაცმა დღეს თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ყოფნა-არყოფნის საკითხია.

უღალთმიანმა სკამი გამოაჩინა, მაგიდას ოდნავ მოშორდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ხელები მუხლებზე დაიწყო, თვალები აღნავ მოჭუტა და ბიჭი კარგად შეათვალიერა, ახედ-დახედა და განაგრძო.

— შენ კი, ამოდენა ვაჟუაცს, იმის მაგივრად იარაღი აგელო ხელში, წინსაფარი ჩამოგიყიდებია გულზე და ხელში ქაფეირი გიჭირავს, მაგ საქმეს ქალებიც მიხედავენ, მოისროლე ეგ წინსაფარი, მიატოვე ყველაფერი და ჩვენ გამოგვყევი. იარაღს იქ გიშოვთი. — გაკვირვება და დაბნეულობა, რომ შეატყო ბიჭს, თავი გადაიქნია. — არა, არა, ასე არ იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები. — სიმკაცრე და ბრაზი გამოურია ხმაში უღალთმიანმა. ბიჭი კიდევ უზრო აიწურა და განითლდა. — ხომ გითხარი, ყველაფერი საუკეთესო-მეთქი! რაღას დგახარ, გაინძერი! — თავის სტიქიაში იყო „რიუა“.

ბიჭი უთქმელად წაფრატუნდა სამზარეულოსკენ.

— დაანებე, ბიჭო, მაგ ბაგშვს თავი, რომელი ქრისტე ღმერთი შენ ხარ, შეს წათქვამზე რომ მიატოვოს ყველაფერი და გამოგეკიდოს.

— ვინაა, ბიჭო, ბაგშვი? სულ ცოტა თვრამეტი წლის ხომ მაინც იქნება, მაგის ხნისა და მაგაზე ნაკლები ასაკისანი ქვეყანას მართავდნენ. არ მინდა ახლა ისტორიის წიაღსვლებში გადავეშვა. — თავისას არ იშლიდა უღალთმიანი.

— გეყოფა, შარსა და დავიდარაბას ჯობია, ვისადილოთ და მალე წავიდეთ აქედან. აცადე ბავშვს, იქნება ეგაა მაგის მოწოდება. თანაც ხომ იცი, იქ ვინ გველოდება.

— გველოდება და გველოდოს, — არხეინად და უდარდელად თქვა უღალთმიანმა.

სულ მალე ბიჭმა ისეთი სუფრა გააწყო, ვერ წარმოიდგენდი, რომ ქვეყანაში ანარქია, ქაოსი, განუკითხაობა და შიმშილი დაქსიტინებდა. კარგად დანაყრდნენ და კარგადაც შეზარხოშდნენ. განსაკუთრებით ლვინო მოეწონათ.

— მოიწი, ძამია, აქეთ. ხომ არაფერი გწყენია ჩემგან? — დატკბა უღალთმიანი, — ერთი ეს მითხარი, ღვინო საიდან მოგაქვთ?

— გივისგან, — უთხრა ბიჭმა.

— კი არ გამიკვირდა, კაცო, რა წაცნობი გემია აქვს-მეთქი? დიდებული კაცია გივი და დიდებულ ლვინოს აყენებს. კარგად ვიცნობ მის ოჯახს. — მერე ისევ ბიჭს მიუბრუნდა და როგორც ახლობელს და გულშემატკივარს მზრუნველად უთხრა, — ამ დროს რა ვუთხარი, თორემ ახლა შენ წიგნი უნდა გეჭიროს ხელში და მეცადინეობდე. ცოდნას დიდი

ძალა აქვს, ოლონდ სიფრთხილით უნდა მოპყრობა. კარგი წათქვამია — „ჭკუა უხმარ არს ბრიყვათავის ჭკვა ცოდნით მოიხმარებისო“. ეს! რა წინაპრები გვყავდა. — დანანებით გადააქნია თავი. — ახლა კი რას დავემსგავსეთ. კაცი, რომელიც საშოვარზეა გამოსული მხოლოდ კუჭის ამოსაყორად, ის კაცი და ის საზოგადოება ვერაფერს ფასეულს ვერ შექმნის. როდის შეიქმნა ყველა დროის ყველაზე საუკეთესო მაღალმხატვრული ლიტერატურული წანარმოები, ფაქტობრივად მეორე სახარება? ქართული სახარება! რომელმაც სათავე დაუდო ევროპულ რენე-სანსა? ხო, თქვენ გევითხებით! — კარგად იცოდა, რომ პასუხს არავინ გასცემდა და თვითონვე უპასუხა, — როცა ქვეყანა ერთიანი და ძლიერი იყო. მოიწი აქეთ, მოიწი. ჩამოჯევეი! — და სკამი გამოუწია. რაღაც ურვეულო სითბო გამოერია ხმაში უღალთმიანს. — დაჯევი, ძამია, დაჯევი, — და მხარზე ხელი გადაახსევია. — მომენტები, კარგი ბიჭი ჩანხარ, ბეჯითი და მარჯვე. თუ ცოცხალი გადავრჩი, არ დაგტოვებ უყურადღებოდ. მჭირდება მე შენნაირი ხალხი. უსიტყვილ და გუმანით რომ შეუძლია გამოიცნოს პატრონის სურვილები. — მერე ყურადღება ისევ ბიჭებზე გადიტანა. — მორჩა. გვეყოფა. დროა საქმეს მივხედოთ, — და ფეხზე წამოდგა.

ყველანი წამოიშალნენ და გასასვლელისკენ გაემართნენ. კართან რომ მიუიდნენ, ლოყებანითლებულმა ბიჭმა უღალთმიანს მიმართა:

— ბიძია, ფულს ვინ გადაიხდის?! თქვენ რომ წახვიდეთ და ფული არ გადაიხადოთ, გამაგდებენ მე სამსახურიდან. ფული საიდან მოვიტანო, სახლში ყველა უმუშევარია.

უღალთმიანი შემობრუნდა.

— შენ, ძამია, ლაპარაკიც გცოდნია, თანაც შთამბეჭდავი და გულში ჩამწვდომი, მაგრამ ჩვენი გადახდილია, ჩემი ქვეყანა იხდის, ჩემი სამშობლო, რომლისთვის მე სისხლი უნდა ვლვარო. გესმის, პატრავ?

კართან შეყოვნებული უღალთმიანი ბიჭმა წანარმოვიდა და თვალებში ჩაცექრდა, ცრემლის გუბე გასასხლტომად მზად იყო. უღალთმიანმა მხრებზე ხელი მოხვია და ჰკითხა, უფროსები სად არიანო. ბიჭმა კარისკენ მიუთითა.

— ბიჭებო, თქვენ გარეთ დამელოდეთ, მე ახლავე გამოვალ, — და სანამ მითითებული კარისკენ გაემართებოდა, ბიჭს უთხრა: — ცრემლი არ არის კაცის საქმე, გახსოვდეს! მხოლოდ ცოდვით დამძიმებული მონანული კაცის ცრემლია სათნო და მისალები.

უღალთმიანმა კარი შეაღო. მომცრო ზომის ოთახს ერთი ფანჯარა და საკმაოდ შთამბეჭდავი რკინის გისოსები ამკობდა. ფარდა ბოლომდე არ იყო გაწეული და კარგად მოსჩანდა ეზო და მიმდებარე ტერიტორია. უღალთმიანის თანამეონა-ენიც თვალთახედვის არეში იყვნენ, იარაღი ხეზე მიეყუდებინათ, იქვე გაშხლართულიყვნენ და ოხუნჯობით თავს იქცევდნენ. ოთახში დივანი, მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. დაუცლელი ლუდის ბოთლე-





ბი, მაგიდაზე უხვად მოფენილი ფულებიდან გასაფრენად გამზადებული მცირე ზომის ბალისტიკური რაკეტებივით იმზირებოდნენ. მაგიდის წევრები მომენტალურად წამოშალნენ. სუფრის წევრებიდან ორი წევროსანი იყო, ერთი პირტიტველა ვაჟი, საკმაოდ გრძელი თმით და ორმოცგადაცილებული ჭენბაშეპარული, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მომხიბულელი ქალი. პირტიტველა მომენტალურად იარაღს წაატან ხელი. ქალმა ხელით ანიშნა თანამენახეებს, რომ დამსხდარიყვნენ. უდალომიანს ცოტა არ იყოს გაუკვირდა ქალის სიმშვიდე, არავითარი შიში და ფორიაქი არ იგრძნობოდა მის ქმედებაში.

— შიშმა გაგაკეთებინა შენ ეგ ყმაწვილო, შიში ცუდი მეგზურია და ხშირად კლდეზე გადამჩეხი. როგორ ფიქრობ, მე აქ უსაფრთხოებით უზრუნველყოფილი რომ არ ვყოფილიყავი, ასე თამამად შემოვიდოდი? თავზეხელალებულს კი მეძახიან, მაგრამ არც იმ დონეზე ვარ თავზეხელალებული, რაღაც „პუსტიკისთვის“ უსახელოდ მოვისწრაფო სიცოცხლე. გაიგე, ბიჭი! თუ გაიგე, მერმისისთვის გაითვალისწინე. ეს ქალბატონი კი, როგორც ჩანს, ჭკვიანი და გამოცდილია, წამსვე მოწვა.

— დაბრძანდით და ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მაგრამ ალლოიანია და ყველაფერს მალე ითვისებს. იმედია, გაითვალისწინებს თქვენს რჩევას, — გამოექმაგა პირტიტველას ქალი.

უდალომიანმა ჯიბებიდან ხელები ამოილო და ჩამოჯდა. ახლოს მიიჩნა მაგიდასთან, იდაყვებით დაეყრდნო, ხელებში თავი ჩარგო და მოუსვერნარი თვალებით მაგიდის ყველა კუთხე-კუნჭული მოჩხრიკა.

— როგორც ვატყობ, სეკას თამაშობთ. საკმაოდ დიდი ფული მოგროვილა.

— კი, საკმაოდ, — დაუდასტურა ქალმა. — უკვე მესამე დარიგებაზე სეკაა, ახლა მეოთხედ უნდა ჩამოვარიგოთ.

უდალომიანმა სახიდან ხელები მოიცილა და მაგიდაზე დააწყო.

— თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენის წებართვით, მხოლოდ ერთ ხელს ვითამაშებ, — თანხმობას არც დაღლიდებია და დააყოლა, — ცოტა ხნით თქვენს ადგილზე დამსვით ქალბატონო.

ქალი უსიტყვოდ წამოდგა, ადგილი დაუთმო. უდალომიანი მოხერხებულად მოკალათდა.

— ვინ არიგებს?

— მე უნდა დამერიგებინა, — უპასუხა ქალმა.

— რადგანაც თამშის ნება დამრთეთ, თუ შეიძლება თქვენს მაგივრად მე ჩამოვარიგებ. —ქალმა უსიტყვოდ გაუწოდა კარტი, უდალომიანმა გამოართვა, ხელში შეათამაშა, მერე რამდენჯერმე აჭრა და აჩეხა, ელვისუსწრაფესად აკეთებდა ყველაფერს, ისე რომ თვალსაც ვერ შეასწრებდი თითების მოძრაობას. მოთამაშენი დაძაბული აკვირდებოდნენ და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდნენ. ბოლოს შეჩერდა, მოთამაშებს სათითაოდ მზერით ჩამოუარა,

დაუინებით და დაყოვნებით უცქერდა თვალებში, თითქოს ნუსხავდა და კარტი ჩამოარიგა. ფსონი კიდევ გაიზარდა და ფულმაც იმატა. დაძაბულობამ პიკს მიაღწია. ყველამ სათითაოდ გახსნა კარტი. თამაში უდალომიანმა მოიგო. ქალმა შევბით ამოისუნთქა. მოგებული ფეხზე წამოდგა, ფულისკენ არც გაუხედავს, ფანჯარასთან მივიდა და ეზოს გახედა. ბიჭები ისევ ხის ქვეშ ისხდნენ და მოთმინებით ელოდნენ მას. აჭარხლებულმა ქალმა ნახევარი შესთავაზა. კაპიკიც არ მინდა, შენი იყოსო, ომში მივდივარ და ფულს რა თავში ვიხლიო, ერთს კი გთხოვთ, იმ ბიჭს მიაქციეთ ყურადღება, თუ ცოცხალი დავრჩი, უკან მოპრუნებისას შემოგივლითო. უდალომიანი ფანჯარას მოშორდა, კარი გამოალო და დარბაზში გამოვიდა.

— ყმაწვილო, ჩვენი გადახდილია, ნუჩემინია, არავინ გაგიშვებს სახლში. — სანამ ეზოში გამოვიდოდა, კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ბიჭს, — რამდენი წელია, რაც აქ მუშაობ?

— რაც გაიხსნა იმ დღიდან.

— კიდევ რამდენი წელი უნდა იმუშაო მწვადის შეწვა რომ ისწავლო? — მერე დაუყვავა, — კარგი, კარგი, რამდენიც უნდა ეცადო, კახელივით მაინც ვერ შეწვავ.

* * *

ვნებადამცხრალი დღე გადიოდა. მთის წვერს ნათლის შარაგანდედივით დასდგომოდა ვეება ცეცხლოვანი დისკო. მთელი დღის ნაჯაფი მალე მთას ამოეფარებოდა და დამშვიდობების ნიშნად ხელს დაიქნევდა. ის-ის იყო გივი წინკარში უნდა შესულიყო, როდესაც მის ჭიშკართან მომცრო ზომის ფორდის მარკის სატკირთო ავტომანქანა გაჩერდა. მძლოლმა რამდენჯერმე მიასიგნალა, მერე რკინის კარზე დაბრახუნა. გივი შემობრუნდა და ჭიშკრისკენ გაემართა. საიდანლაც ძალლი გამოვარდა და მასზე უნინ გაჩნდა ჭიშკართან. დაჯდა და პატრინის მოლოდინში კუდა აქიცინებდა. გივიმ კარი გამოალო. კართან უცნობი მამაკაცი იდგა. გივი გაკვირვებული უცქერდა.

— ბატონო გივი! ერთმა ჩემთვის უცნობმა მამაკაცმა თქვენთან პურ-მარილი გამომატანა, თვითონაც მალე გეახლებათ. სტუმარმა გივის გონზე მოსვლა არ აცალა და მანქანის გადმოტვირთვა დაიწყო. რა აღარ იყო: ოცლიტრიანი შტოფი წითელი ღვინით სავსე, შემზვარი გოჭები, ქათმები, ხაჭაპურები და სხვა უამრავი ნუგბარი, ნამცხვრები და უზარმაზარი ტორტი, ლიმონათები, ბორჯომი და ბევრი სხვა რამ, რომელიც ლამაზად იყო შეფუთული და არ ჩანდა. გივი დამუნჯებულიყო და ხმას ვერ იღებდა. როგორც უეცრად გამოჩნდა, ისე უეცრად გაუჩინარდა უცნობი. ხომ არ მეჩვენებაო, — გაიფიქრა გივიმ და თვალები მოიფშენიტა. ძლივს გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ძალლი კი ყეფდა და კარს ფხოჭნიდა. რაღაც ფარსაგი არ იყოს ჩვენს თავსო, — გაიფიქრა გივიმ.

ძალლის ყეფაზე ირინემაც გამოიხედა, გამოვ-



იდა წინკარში და გაოცებული უყურებდა ეზოში მოფენილ ხორავას.

— რა ხდება გივი? მგონი კართან ვიღაც არის, ძალმა ჩამოიღო ჭიშკარი.

დამუჯებული გივი ისევ კარისკენ გაემართა და სანამ სახელურს მისწვდებოდა, კარი გაიღო... მის წინ თავგადაპარსული უღალთმიანი იდგა. მოულოდნელობისგან კაცი კინალამ წაიქცა. ირინემ

უღალთმიანს, ხან თეფშებს უცვლიდა, ხან კერძებს სთავაზობდა და მოთქვამდა: — იმ ულმერთოებმა როგორ დატანჯეს საწყალი ბიჭიო.

უღალთმიანი კი მისთვის ჩვეულ სტიქიაში იყო.

— კაცი ყველგან კაცად უნდა დარჩეს, ციხე იქნება ეს, თუ მაღალი საზოგადოება. ციხე ერთგვარი გამოცდაა, შეძლებ კი მაღალი ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებას? ადამიანის ბუნება ყველაზე

მხატვარი სოფიო ჭელიძე



გულზე მიიღო ხელი და რომ არ წაქცეულიყო, მეორე ხელი მოაჯირს წატანა, იქვე ჩამოჯდა. მხოლოდ ძალი მხიარულობდა, ახტებოდა უღალთმიანს და ელაქუცებოდა. უღალთმიანი გივის მიუახლოვდა და ხელი გამოსდო, ნებანართმეული და დაბნეული კაცი დასაკლავი ერავივით გაჰყვა ნათლიას. როცა ირინეს მიუახლოვდა, უღალთმიანმა გივის ხელი გაუშვა, ქალის წინ მუხლზე დაიჩოქა და თავდახრილმა მხოლოდ ორი სიტყვა თქვა: — ციხეში ვიჯექი.

ქეიფა დიღლამდე გასტანა. გივიმ მეზობლებსაც დაუძახა — კონასა და ერმილეს კარგი ხმები ჰქონდათ და კარგადაც მღეროდნენ. არც უღალთმიანი იყო უსმენო და სახელდახელოდ შესანიშნავი ტრიო ჩამოაყალიბეს. ნათლიამ კი მოუთხრო, თუ როგორ შეეცილებ ბიზნესში, როგორ მოინდომეს წილში ჩაჯდომა, როგორ შეუთითხნეს საქმე, წაართვეს-ფული, ბიზნესი და დიდი ნაცნობობით მხოლოდ ორი წლით გამოამწყვდიეს ციხეში. ამ ამბით შეძრნუნებული ირინე ცრემლმორეული დასტრიალებდა

კარგად სულიერი და ხორციელი შეჭირვების დროს წარმოჩინდება. განსაკუთრებით შიმშილის დროს. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს მშიერი კაცი, ერთი ლუკა პურისთვის შეიძლება ყველაფერზე ნავიდეს. ციხე ერთგვარი კოლექციონერია, ადამიანური მანქირებების შემგროვებელი და აღმნუსხავი. და ნუ-რავინ ნურაფერს დაიქადნის. შეიძლება გონებისთვის მიუწვდომელი რამეც კი ჩაიდინო. ციხეს თავისი დაუნერელი კანონები აქვს და ყოველგვარი გადაცალმისთვის სასტიკად ისჯები. ყველა ჯურის დამნაშავე იჯდა იქ. გინდა თუ არა, ვინმეს აუცილებლად დაუახლოვდები. ერთი გამოუსწორებელი თაღლითი იჯდა ჩემ გვერდით, საოცარი იუმირის მქონე. ასე სიცილ-ხარხარში ატყუებდა ხალხს. ყველას ყველაფერს პირდებოდა და არავის არაფერს უსრულებდა. ბიჭო, იციან მატყუარა და გადამგდები რომ ვარ, მაგრამ მაინც მენდობიანო. და რასაც მე ვაკეთებ, ამას მე კი არ ვაკეთებ, ეშმაკი მაკეთებინებსო, ზურგზე მაზის და ისე მკარნახობსო. იცინე, შენ, იცინე,





სანამ თვითონ არ გამოცდი, მანამ სასაცილოდ მოგეწვებაო. მე ჯერჯერობით ვერ მოვიცილე, აქაც კი შემომყვა და უამრავ სისულელეს მაკეთებინებსო. ისე, გულახდოლად რომ გითხრა, არც მისი ბრალია ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, დიდ სიამოვნებას მანიჭებსო. მრავალ სხვადასხვა ჯურის დამნაშავესთან ერთად შინაური ფრინველების ქურდიც იჯდა ჩვენთან ერთად საკანში. ყველა სახის ფრინველს იპარავდა, რაც კი ხელში მოჰყვებოდა, ქათამი იქნებოდა, თუ ინდაური. ბატების ქურდობის დროს ჩავარდა. ისეთი გნიასი ატეხეს ბატებმა, პატრონს გაელვიძა, ეგონა, მელა თუ შევარდა საქათმეში და თოფით გამოვარდა. სახედასისხლიანებული და სკინტლში ამოგანგლული მეზობელი რომ შერჩა ხელში, სიცილისგან კინაღამ ჩაბჟირდა, თურმე ჭუჭულები ყოლია და უცხო კაცი რომ დაინახეს, დაესივნენ და სულ ერთიანად დაასისხლიანეს. არ ვიცოდი, კაცო, ბატებს თუ ასეთი კბენა შეეძლოთ. და მოდის ერთ დღეს ეს ქათმისპარია და მეუბნება: – როგორც ქათმისპარის ამრეზით მიყურებენ, ამ თალღითსა და აფერისტს კი პატივისცემით, არადა ჩემზე უარესია. არ ენდო, თუ არ მოუტყუებიხარ, ანი აუცილებლად მოგატყუებს. სიცრუისა და თაღლითობის დიდოსტატია. გასაკვირია პირდაპირ, ყველას ატყუებს, მაგრამ მაინც უცინიან. ყველანარ საქმეზეა წამსვლელი. ერთ საღამოს ქუჩაში დალაყუნობდა და მორიგ საკბილოს ექებდა. ერთმა ჯიხურის პატრონმა დაუძახა: – გეტყობა, უსაქმურად ხარ, მოინი აქეთ, საქმე უნდა მოგცეო. შენ რა საქმე უნდა მომცე, რომელი საქმოსანი შენ მყავხარო. მოინი აქეთ, მოინი და ყური მიგდეო. იმ ჯიხურს ხომ ხედავ, მოპირდაპირე მხარეს რომ დგას, გადაწვი ამაღამ და ასი დოლარი შენიაო. ბაზარი არ არისო, ოღონდ ფული წინასწარო. ჯიხურის პატრონმა მისცა ასი დოლარი. დავალება პირნათლად იქნება შესრულებულიო. ეს თაღლითი და აფერისტი ახლა მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და მეორე ჯიხურის მეპატრონეს უუბნება: – იმ ჯიხურის პატრონმა ასი დოლარი მომცა, ამაღამ შენი ჯიხური უნდა დავწვაო. ესე იგი ჩემი ჯიხური უნდა დაწვა! მაშ კარგი! ჲა, შენ ორასი დოლარი და მისი ჯიხური გადაწვიო. როგორ ფიქრობ, რას მოიმოქმედებდა ეს თაღლითი? მაინცდამაინც დიდი ყურადღებით რომ არ ვუსმენდი, შემამჩნია და მითხრა, ორივე გადაწვა, კაცო, ორივეო. მერე ამბობდა, პირნათლი ვარ ორივესთანო. ფული გადამიხადეს და დავალება შევასრულეო. გამეღიმა, პრინციპში მართალია-მეტეი. იცინე, შენ, იცინე, ეგ რა არის, ისეთი რამები აქვს ჩადენილი, ნორმალურ ჭკუათმყოფელ კაცს თავში რომ არ მოუვაო. ამას მელაპარაკება ქათმის ქურდი. გულას გადასაყოლებლად გაგმებნევე, მაინც რა ჩაიდინა-მეტეი. კაცო! საკუთარი ბიძა მოპარული კუბოთი დამარხაო. გაკვირვებისგან კინაღამ ნარიდან გადმოვვარდი. რა-მეტეი?! გაგიცვირდა ხომ? ყველას გაუკვირდებოდა, მე კი ის მიკვირს, რამ მოაფიქრებინა. მაგან არც შინაური იცის და არც გარეული, ფულის დანახვაზე გონება ეკეტება და ყველაფერზე წამსვლელი არისო. მაგას

ბიძა გარდაეცვალა და ახლობლებმა ფული მისცეს კუბოს დასამზადებლად. ეს კი, მივიდა მეკუბოვესთან და უთხრა: – აი ამ კუბოს წასაღებად მოვედიო და გამზადებულ კუბოზე მიუთითა. იმ კაცს ეგონა, შეკვეთილი კუბოს პატრონი თუ იყო. ან როგორ მოიაზრებდა, თუ ვინმე კუბოს მოსაპარად მოვიდოდა. მერე რომ ჰყითხეს, ასეთი გაუგონარი საქციელი როგორ ჩაიდინეო! არ იცი, რა უპასუხა? – ეგ კაცი მეტის ლირსიაო. მაგ არკაცმა საქმეთარი ახლობელი, ახალგაზრდა გოგო გააუბედურა და მომავალი დაუნგრიაო. ის კი არა, ეგეთი კაცი საერთოდ არ უნდა დამარხოო. ტურებს და მგლებს უნდა აძიგნინო მაგის გვამიო. ხედავ, შენ! რაღაც მორალური პრინციპები მაინც ჰქონია-მეტეი. რა პრინციპები, კაცო – ფულია მაგისთვის ყველაზე მთავარი პრინციპი. აქ რომ შემოვიდა, პირველი ის იკითხა, სეკას ვინ მეთამაშებაო! უთხრეს, ჩვენ ფული არ გვაქვსო. აბა ვის აქვს ფულიო. აი იმასაო და ქურდზე მიუთითეს. მივიდა მასთან და ეუბნება, სეკა მეთამაშეო. მე რატომ უნდა გეთამაშოო, კითხვა შეუბრუნა ქურდმა. შენ მეტს ფული აქ არავის აქვს და აბა ვის ვეთამაშოო. ყოვლისმნახველი ქურდიც კი გადარია ამის თავხედობამ. მომაშორეთ ეს „ნაგლი“ აქედან სანამ ცოცხალი არისო. ამის მერე მაგის სახელი „ნაგლიაა“. მოდის შენთან კაი კაცივით და გეჭუკ-ჭუკება. მე კუბო მაინც არ მომიპარავს საქმეთარი ბიძისთვის, ესენი კი მაგას ეტორლიალებიანო. შნო უნდა მაგას, შნო, შე ქათმის ქურდოო, და პანღური ამოპკრა წამიპარულმა ნაგლიამ. ჩემთან ერთად სხვებიც ისმენდნენ ამ საუბარს და ბევრიც იხორხოცეს.

მონათხრობმა სუფრაზე ზოგს გაოცება და ზოგს ლიმილი მოჰყვარა. ერმილემ კი გადაიხარეარა, თავისი პრინციპების ერთგული ყოფილაო, მარა კუბო მაინც რამ მოაპარინაო, და ისევ გადაიხარეარა. გადახარებამ მოულოდნელად ლუკა გაახსენა – რავა დავკარგე სიყრმის მეგობარიო, იმან იცოდა ასე გულიანი გადახარება, გულ-ნრფელი და ალალი. გაახსენდა და სევდა მოერია. მოწყდა სუფრას და გონებით სად არ იხეტიალა. მერე მომღერლის სახე აეკვიატა, უფრო მოიწყინა და გაირინდა. – სად ჯანდაბაში ვიპოვო ორეულიო, ისევ ლუკა წამოუტივტივდა და უცებ თითქოს ათასი ვარსკვლავი აფეთქდა ერთად და მისი გონების ყოველი კუთხე-კუნძული გაანათა. მომღერლის ტყუპისცალიც გამოჩნდა, ულიმოდა და მისალმების ნიშნად ხელს უწევდა. მის წინ ლუკა იდგა. თფუ, აქამდე სად იყავი, შე დებილო! ცხვირწინ გყოლია და შენ კი დასალიერში ექებდიო. არა და როგორ ჰგავს?! აღნაგობა გინდა, შეხედულება, ცოტა თმა კი აქვს შეთხელებული, არც სმენა აქვს, მაგრამ მერე რა, პარიკი და მისი ჯანი, სიმღერით კი ქუჩაში ვინ ამღერებს, თუ სიტუაციამ არ მოიტანა, საერთოდ არ ამოვალებინებ ხმასო. ისე გაუხარდა თავისი აღმოჩნდა, კინაღამ დავლური დაუარა. დიასახლისი კი სუფრას დასტრიალებდა, ყველას თვალებში შესციცინებდა, მაგრამ გულში ხანდახან გაკრავდა,





ნუთუ სამუდამოდ დამეკარგა ჩემი სამკაულები, ახლა ეს გაკოტრებული და უფულო როგორ დაიხსნის ძვირფასეულობასო. ბედს შეგუებული მაინც თავს იმშვიდებდა, — არა, მოხერხებული კაცია, რამეს იღონებსო, ამის იმედი რომ არ ჰქონდეს ან მოტყუება უნდოდეს, აյ როგორლა მოვიდოდაო.

ულალთმიანმა კატეგორიული უარი განაცხადა დარჩენაზე, ჩემს გაუბედურებულ საქმეს მიხედვა უნდა. ყველაფერი ისევ ნულიდან უნდა დავიწყო. ტაშ-ფანდურით გააცილეს სტუმარი ჭიშკამდე. კართან ერმილებ და კონიამ კიდევ ერთხელ ნაუმლერეს: „ჩემი გული შენი გული ჯაჭვით არის გადაბმული“. სტუმარიც აპყაა, მაგრამ შეუგზაზე შეწყვიტა სიმლერა, მოუპოდისა მომლერლებს, გადაკოცნა და გივის მიუბრუნდა, მკლავში ხელი გამოსდო და ყურში ჩაუჩრურულა: — ვიცი შენი მეუღლის გულსტკივილი, ქალია და ქალისთვის რამხელა მნიშვნელობა აქვს სამკაულებსო. არა ვარ უპირო კაცი, სამკაულებს აუცილებლად დავაპარუნებო.

გათენებას ბევრი აღარ აკლდა. ცისკრის ვარსველავი მომატებულად კაშკაშებდა, ტოროლამაც შეუწკრიალა ცას, მამლებმა ყივილს მოუხშირეს და ქათმებმა კრიას. ლამენათევი ძალები ძალას იკრებდნენ და მილულული თვალებით მაინც მხიარულად ეგებებიდნენ ახალი დღის დაწყებას. ულალთმიანს ერთგული მეგობარივით ადევნებოდა მისივე ჩრდილი და გამხიარულებულნი მტკიცე ნაბიჯით მიუყვებოდნენ გზას.

ამ ამბიდან არც თუ ისე ბევრი დრო იყო გასული, როდესაც გივის სახლ-კარს ახლად წვერალ-ერებული ჭაბუკი მიადგა. ჭიშკართან ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე მორიდებით დააკაუნა. პატარა პაუზის შემდეგ შიგნიდან გამოსძახეს: — კარი ღიაა, შემოდით!

ჭაბუკი ეზოში შევიდა და იქვე კართან შეჩერდა. სტუმარს გივი გამოეგება. შემოდი, კაცო, რას დამდგარხარო. ახალგაზრდას მღელვარებისგან სახე ასწითლებოდა და ნაბიჯს არ დგავდა წინ, ერთ ადგილზე მოუსვერნად წრიალებდა. როგორც იქნა ხმა ამოილო და დატუქსული ბავშვივით ერთიანად აჭარხალებულმა მონინებით მოახსენა: — გივი ბიძია, ამ რამდენიმე დღის წინ ჩვენთან რესტორანში ერთი ნარმოსადეგი და შეხედული მამაკაცი მოვიდა. გვითხრა, გივის ოჯახის ნათლია ვარო. გივის რუსეთიდან სტუმრები ეწვია, გამოვლით არიან, ბევრი დრო არ აქვთ სახელდახელოდ კარგი პურ-მარილი გაამზადეთ და მანქანაში ჩამინევეთ, რომ სათანადო პატივით ვცეთო. ჩვენც ყველაფერი მოვამზადეთ, მანქანაში ჩავუტვირთეთ და იმ კაცს გამოვატანეთ. გივის ხომ კარგად იცნობთ, თავს არ შეირცხვენს, ერთიორად გადაგიხდითო. რომ არ ეჩქარებოდეს სტუმრებს, გივის ოჯახს პურ-მარილის გაშლა არ ესწავლება და არც თქვენ შეგანუხებდათო. აგერ უკვე ამდენი დრო გავიდა, თქვენც არ გამოჩნდით და ამიტომ შეგანუხეთ.

გივი გაირინდა, სახე აუფორავდა, მერე ფურცელივით გაფითოდა, ბიჭს ამღვრეული თვალები შეა-

ნათა და მოწყვეტით დაენარცხა მიწაზე.

* * *

— აი, ასეთია ჩემი ისტორია. — ჩაათავა ამბის მოყოლა ელეფთერმა. სიჩუმე ჩამოწვა. ხმას არც ერთი არ იღებდა. მონათხრობმა ლუკა დაამუნჯა. ელეფთერიც გარინდულიყო. როდის-როდის კონიაკის ბოთლს მისწვდა, პირთამდე აავსო ჭიქა და სულმითქმელად გადაჰკრა, არც არაფერი მიუყოლებია.

— ხმას აღარ ამოიღებ, ბიჭო?! — სიჩუმე დაარღვია ელეფთერმა, — ნუთუ სათემელი არაფერი გაქვს, ან კითხვა მაინც არ დაგებადა?

ლუკა ფეხზე წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ტილოებთან გაჩერდა, კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და კრანახის „მაჭანკალზე“ შეაჩერა მზერა. დიდხანს უცქერდა დაუინებით, მაჭანკალი კი თითქოს დაცინვით ეუბნებოდა, აბა რა გეგონა შენ! ამ წუთისოფელში ყველაფერი იყდება და არც შენ იქნები გამოხანალისო. ელეფთერსს ბრაზი მოჰკვარა მისმა დუმილმა და გალიზიანებულმა ჰკითხა:

— რას მიშტერებისარ ამ სურათებს, ამოიღე ხმა!

ლუკა შემობრუნდა და ურეაქციოდ, ყასიდად ჰკითხა:

— ვისია ეს სურათები! რომელია ორიგინალი!

— ყოველ შემთხვევაში, რომელსაც შენ მიშტერებისარ, ორიგინალია.

— ერთი ამბავია ამ ტილოზე ატეხილი, მუზეუმიდან გაიტანესო უცხოეთში. მაინც ვისია?

— რაღა აზრი აქვს დამალვას, მე უკვე ყველაფერი გითხარი. ჩემი დამრიგებლისაა, აქ ერთგვარი სამალავია და არც არავის მოსდის აზრად, თუ ორიგინალებია. შესაფერის მომენტს ელოდებიან უცხოეთში გასატანად. ეს უკვე ჩემი დონე არ არის, მე ამ საქმეს ვერ შევწვდები. ასეა, ის, რაც ყურის ძირშია, დასალიერში ვექებთ ხოლმე.

— ახლა ეს მითხარი, ჩემთან რამ მოგიყვანა. ოლონდ არ მითხარა, სიყვარულმა და მონატრებამო. შენი ნამბობიდან ცხადია, რა არის შენი სიყვარული.

— არც მთლად ეგრეა საქმე, შენ რომ ფიქრობ. სიყრმე ხელშეუხებელია, უხინჯო, წმინდა. და არც ყველა ადამიანური გრძნობა დამჩლუნგებია მთლად.

— ეს ღამის თავგადასავალი რაღა საჭირო იყო?

— ერთ მნიშვნელოვან საქმეზე მჭირდები და გამოცადე. ხომ ხედავ, არცთუ ისე ადვილი ყოფილა ცდუნებისგან თავის შეკვება. ჩემთვის ყველაზე მთავარი ცდუნება ფულია, როგორც შენ აღნიშნე.

— და არა მარტო ფული, ხომ?

— არა, ყველაფერი მაინც ფულს უკავშირდება, პირველი ბარიერის გადაღახვა ყველაზე რთული, სანამ ჯერ კიდევ სინდისი განუხებს.

— მაინც რამ მოგიყვანა ჩემთან? მე სინდისი ჯერ ისევ მაწუხებს.

— რამ მომიყვანა და მეგობრობამ. ამ ერთხელ უნდა დამეხმარო, ამ ერთხელ და უკანასკნელად. შენ მეტი ამ საქმეს ვერავინ გააკეთებს. შენ ხარ ერ-





თადერთი და შეუცვლელი.

— და მაინც, რა საქმეა ასეთი, შეუცვლელი რომ ვარ?!

ელეფთერმა დაწვრილებით უამბო ლუკას ყველაფერი ორეულის შესახებ, თუ როგორ გადაატყავა მთელი საქართველო და ამდენი ძებნის შემდეგ, როგორ იპოვა შესაფერისი კანდიდატი. უტიფარმა თხოვნამ ისე შეაძრნუნა ლუკა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

— არ მეგონა, შენი ნაამბობის შემდეგ, თუ რამე გამიკვირდებოდა. ასეთის მოფიქრება ალბათ თვით ეშმაკაც კი გაუჭირდებოდა.

— და შენ ფიქრობ ეშმაკი გარე-გარე დაძრნის? ის ყველა ჩვენთაგანშია, ერთი პატარა მოდუნება და მისი ნების აღმსრულებელი ხდები. ყველა მინიერზე შეეყვარებული მისი მონაა. მე დიდი ხანია, მის ნებაზე დავდივარ და უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ მისგან.

— რა იმედით მოხვედი ჩემთან და რატომ ფიქრობდი, რომ დაგთანხმდებოდი?

— მეგობრობის იმედით, მეგობრობა ყველაზე დიდი გრძნობაა, მეგობრობა და სიყვარული ურთიერთგადაჯაჭვულია.

— ამხელა ცინიზმი... სხვას რომ მოეთხოო ეს ამბავი, არ დავიჯერებდი და გამეღმიებოდა.

— არაფერია აქ სასაცილო, მხოლოდ ერთხელ დამჭირდი. დიდ ფულთანაა დაკავშირებული და საქმის ნარმატების შემდეგ ყველაფერს შევეშვები, უცხოებაში ნავალ და თან შენც გაგიყოლებ. რამდენიმე ხნის მერე ჩამოვიდეთ და დიდი ბიზნესი გავაკეთოთ. ეს საქმე შენ უნდა გააკეთო. ჩვენი მეგობრობაა ყველაფერის სანინდარი. ათი დღე თავისუფალი ხარ. იფიქრე, დრო ბევრი გაქვს.

უღალთმიანს მეტი აღარაფერი უთქვამს, ნამოდგა, კარი გაიხურა და გავიდა.

* * *

მუდმივად ცვალებად სამყაროში კაცმა არ იცის, თუ რა სიურპრიზს უმზადებს მომდევნო დღე. სიურპრიზები შეიძლება სასიხარულოც იყოს და თავზარდამცემიც. ლუკასთან ბოლო შეხვედრის შემდეგ ელეფთერი ქეიფსა და დროს ტარებაში ატარებდა დღეებს. დარწმუნებული იყო და რატომლაც ეჭვიც არ ეპარებოდა ლუკას თანადგომაში და მხიარულობდა. ახლაც იმავე რესტორანში იღენდა. მუხლებზე ორი ნახევრად შიშველი გოგო ესვა, ხითხითებდა, ხან ერთს ულიტინებდა და ხან მეორეს და თან აიძულებდა, მისთვის რიგრიგობით ეკოცნათ. ნეტარებდა მომავალი უზრუნველი ცხოვრების განცდით. თითქოსდა საოცნებო ინსტრუმენტი ხელში სჭეროდა. დოლ-გარმონი ჰქონდათ გახურებული: „ნავალ და გაგიფრინდები“. უკანასკნელ ხმაზე გაპიოდა თავლაპლაპა ასაკოვანი მომლერალი.

— მუზიკა სტოპ! — შეაწყვეტინა დაკერა აღუღაუბულმა ელეფთერმა, — გოგოებო, თქვენ ცოტა ხნით ჩამოხტით, — ფეხზე ნამოდგა, ხელები მუსიკოსებისკენ გაიშვირა და აღგზნებულმა

დაიწყო, — რას მიქვიან, ნავალ და გაგიფრინდები, ცუდ განწყობაზე მაყენებს მე ეგ სიმღერა. ვერავინ ვერსად წავა და ვერც გაფრინდება უჩემოდ. მაგას გირჩევნიათ, ჩემი ჰიმნი დაუკრათ. ხო, ჩემი ჰიმნი არ მოგწონთ თუ რა. ხომ იცი შენ, მიდი, მიაწექი, — და თავლაპლაპას გახედა, — გოგოებო, თქვენს ადგილებზე დაბრუნდით! — მბრძანებლობდა სუფრის უფალი.

თავლაპლაპამ გარმონივით გაწელილ ტუჩებს ძლიეს მოუყარა თავი და წამოიწყო: „მასვი, მაჭამე, მალხინე“, მეგარმონის თითებმაც არ დააყოვნა და ასრიალდა კლავიშებზე, არც მედოლეს შეურცხვენია თავი, შეუნთო ცეცხლი — „მასვი, მაჭამე, მალხინე, მამხიარულე, მაძინე, თუ კიდევ რამე მოგთხოვოთ“... თავს არ ზოგადა მომლერალი, ელეფთერი კი თავისი კანტურითა და გოგონების უკანალზე ხელის ტყაბუნით ადევნებოდა დოლის რიტმს. ის იყო უნდა ჩაემთავრებინა მომლერალს შეავეთა, რომ კოჭოიამ კარი წიხლისკვრით შეაღლ და დაიღრიალა: — შეწყვიტეთ ღრეობა!

ელეფთერს გაკვირვებისგან თვალები შუბლზე აუვარდა, უნდოდა ერთი მაგრად შეეურთხებინა, მაგრამ კოჭოიამ კიდევ უფრო ხმამალლა შეჰყვირა და მაგიდაზე მუშტი ისეთი ძალით დასცხო, რომ თეფშები მაგიდას მოსწყდა, აფრინდა და იატაკას დაენარცხა.

— სასწრაფოდ გაყარე „რიუა“ ესენი აქედან! — მბრძანებლურად შეუყვირა ელეფთერს. ელეფთერს გულმა რეჩხი უყო. ასეთი კოჭოა მას თავის დღეში არ ენახა. რაღაც უბედურების მოლოდინში გაისუსა, ხმა არ ამოულია. მხოლოდ ხელით ანიშნა სუფრის ნევრებს, ოთახი დაეტოვებინათ. თანამეინახეებმა ფაცხაფუცხით დატოვეს ოთახი.

— შე მუნჯო, — დაუყვავა და დაუტკბა ერთბაშად გამოფხიზებული, — დამშვიდდი, დაჯეტი და მიამბე, რა ხდება ჩვენს თავს, ქვეყანა დაინგრა? — ლიმილის მორგებას შეეცადა ელეფთერი.

კოჭოია სკამზე მიესვენა და როდის-როდის ძლიეს ამოლერლა:

— ხო, დაინგრა. ჩვენი მამამთავარი მოკლეს.

— რაო! — ფეხზე წამოვარდა ელეფთერი, მოულოდნელი ამბით შეძრნუნებულს გონება დაებინდა და არ იცოდა, რა მოემოქმედა.

— ხო, ჩვენი მარჩენალი, დამრიგებელი და მასნავლებელი მოკლეს მოსკოვში, — თავი ჩაღუნა და ქალივით აზლუქუნდა კოჭოია. ცოტა ხანში ისევ ფეხზე წამოვარდა, მუშტებით ცრემლიანი თვალები მოისრისა და უკვე შედარებით მშვიდად განაგრძო, — მოკლეს. ჩაიფუშა, წყალში ჩაგვეყარა ყველაფერი.

ელეფთერს გონება კი სრულ ქაოსს მოეცვა: აქა-იქ ორეულები დახტოვდნენ მანჭვა-გრეხვით, ეს რამდენი ყოფილა, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიო. ლუკამაც ჩამოუქროლა და სანამ თვალს მიეფარებოდა, სიბრალურით შემოხედა, თავი გადაიქნია და შორეთში ჩაინთქა. არც ზორბას დაუხანებია, დიდების დედის გინებით და მუშტებით მოიწევდა მისკენ. შორს, ჰორიზონტს მიღმა ოსებიც გამოჩნდენ





მრისხანე სახეებით. მხოლოდ გივი, მისი მეუღლე და ნათლული შესცეკროდნენ დანანებით და თითქოს უბნებოდნენ: – ადრე თუ გვიან ყველას მოუწევს თავის საქციელზე პასუხისებაო...»

– ჰე, ბიჭო, ჩამოძი მინაზე. ანი როგორ მოვიცეთ?! – შეაჯანჯლარა კოჭიამ.

ელეფთერმა თავზე ხელი რამდენჯერმე გადაისვა, თითქოს ხელის მოსმით შეეძლო უსიამო აჩრდილების ჩამოშორება. ხო, როგორ მოვიქცეთ. ელეფთერი სკამზე ჩამოესვენა, ცოტა ხანს გარინდებული იჯდა, მერე ცნობიერება დაბრუნებულმა კოჭიას გასაკვირად მშვიდად თქვა:

– პირველ რიგში ოჯახი უნდა მივინახულოთ და მივუსამძიმროთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს. როგორ გვასწავლიდა განსვენებული! ყველა სიტუაციიდან შენთვის ყველაზე სასარგებლო გამოსავლით უნდა გამოხვიდეო. სრული ჭეშმარიტება და ჩვენც ასევე მოვიქცევით.

* * *

საკმაოდ რეზონანსული გამოდგა ცნობილი ავტორიტეტის სიკვდილი. უურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო მისი ფოტოებით. უამრავი ჭორ-მართალი ინერბოდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ერთინი ამბობდნენ, პოლიტიკაში მოსვლის მცდელობა არ აპარიტისო, მეორენი – კრიმინალურ გარჩევას შეენირაო. ბევრი კიდევ – საკუთარმა ცოდვებმა იმსხვერპლაო. ასე იყო, თუ ისე, კარგა ხანს ჰქონდა პრესას და საზოგადოებას სალაპარაკო. მერე ეს ამბავიც მივიწყეს.

წუთისოფელი თავის ცოდვა-მადლიან დღეებს მიაგორებდა. ქვეყანაში ახლის სიომ დაქტროლა და რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილებების მოლოდინში გაირინდა. უმაღლესი ხელისუფალი, რომელსაც თითქოს ხელისუფლების დაკარგვის არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდა და მისი შენარჩუნების ძალაც ჰქონდა, მოულოდნელად გადადგა. გატანჯული ხალხი, უკვე მერამდენედ, მოთმინებით ელოდა ახალი ხელისუფლებისგან ქვეყნისა და ხალხისთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს. თითქოს კარგად დაიწყეს, კრიმინალებიც შეავინროვეს...

დამრიგებლის გარდაცვალების შემდეგ ელეფთერი კარგა ხანს იყო დაბნეული და საგონებელში ჩავარდნილი. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა. ოცნება მილიონის შექნისა და გამდიდრებისა საპის ბუშტივით გაქრა. როდის-როდის გამოერვა და ინერციით ისევ ძველებურად განაგრძო თავის „მოღვაწეობა“. ახალ ცხოვრებას ალლო ვერ აუღო, უმეტყალყუროდ დარჩენილმა აიშვა, სიფხილე მოუღუნდა, დაივინება გარდაცვლილის ყველა დარიგება და მთლიანად ინსტინქტების მონა გახდა. აღარც ძველი მეთოდები ჭრიდა. სახელიც გაუფუჭდა და საასპარეზო არეალიც შეუვინროვდა. თამაშია და აგებდა. ისე გაუჭირდა, სახლიდან დაიწყო ნივთების გამოტანა და გაყიდვა. გასაცოდავებული მამამისი ამბობდა, კოვზით მოგროვილი ჩამჩით გააქვსო. ერთხელაც წააგო, ვერ მიიტა-

ნა, მერე როგორც გადამგდები ეგრეთ წოდებული „ფუმფლოვშიკი“ გახდა. თავისიანებმაც მოიძულეს და მოიკეთეს. ცემდნენ, არც პოლიცია აკლებდა ხელს. ერთ-ერთი საქმის გარჩევისას ტყვიაც დაახალეს, მუხლი გაუხვრიტეს, ძლიერს გადაურჩა სიკვდილს, მას მერე დაკოჭლდა. გამოკეთდა თუ არა, ისევ ჩვეული საქმინბა გააგრძელა. იმ უამრავ შერქმეულ სახელს „კოჭლი ნაგლიაც“ დაემატა. ნაგლიას ისედაც ეძახდნენ. მისი საქციელიდან გამომდინარე, სახელი ზუსტად ასახავდა მის შინაარს. არ ისვენებდა და კიდევ ერთხელ ამოჰყო თავი ციხეში. შენ წარმოიდგინი, გაპარვა მოახერხა. მომხდარის შესახებ მამამისმა არაფერი იცოდა. ერთხელაც მოსანახულებლად ჩასულს უთხრეს, გაიპარაო. გაგიუდა კაცი. საიცარი იუმორი ჰქონდა იმ სულგანათლებულს, გადაირია: – თქვე ბედოვლათებო და დოყლატებო, ციხიდან როგორ გაგეპარათო. ეს იყო ერთადერთი ადგილი სადაც მისი ნახვა და მასთან სუბარი შემეძლო. ციხე თუ საქათმე, ფქნს არ მოვიცვლი, სანამ არ მომიყვანთო. ეს ის ჰერიოდია, როცა ერთი ხელისუფლება მიდიოდა და მეორე მოდიოდა... შეუთვალეს, მოდი ჩაგვპარდი, ერთ თვეში ამინისტრი შეგეხებაო. მართლაც ჩაბარდა და მაღე გაათავისუფლეს. როგორც ხშირად თვითონ იტყოდა, ბოროტი ჰყავდა მართლაც შეჩენილი, საბოლოო დალუპვას ბევრი აღარ აკლდა. ტყვიამაც კი ვერ დააოკა, განწირული იყო. გასაკვირია, მაგრამ სათავის საკებილოს, მაინც შოულობდა. ისევ ჩავარდა და უკვე საბოლოოდ. სულ უბრალო საქმეზე, მეზობელი გაქურდეს, სხვათა შორის ორგანოს თანამშრომელი იყო. მივიდა და უბნება: – მომეცი სამასი დოლარი და „ვაზვრატს“ გავაკეთებო. იმანაც მისცა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდა, რისი მიმტანი იყო ელეფთერი, ან როდის მიუტანია ვინმესთან რამე. ის ფულიც, როგორც სხვა მრავალი, ქალებსა და დროს ტარებაში დახარჯა. უჩივლეს და დაიჭირეს. იქ კი მისგან გამნარებულმა ხალხმა ვიღაცები მოისყიდეს და ისე სასტიკად აცემინეს, რომ გრძნობა დაკარგა. ერთი ლამე ციხის სააგადმყოფოში იწვა გათმული, მერე წმინდა მიხეილის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჩაუტარეს საჭირო პროცედურები, გადაუდეს სურათები. მდგომარეობა უიმედო იყო – ტვინის ადგილას უზარმაზარი შავი ლაქა ჩანდა სურათზე. ექიმებმა ხელები გაასავსავეს – არ გადარჩებაო, მოემზადეთ წასასვენებლადო. ისეთი სიტუაცია იყო, სოფელში სკამებსა და მაგიდებს აგროვებდნენ ქელებისთვის. ერთი ლეთისნიერი, ლეთისმოშიში და კაცთმოყვარე ნათესავი ჰყავდა, თამაზი, – არ გამორთოთ აპარატიდან, ხარჯებს მე დავფარავო. როგორც ამბობენ, იმ ნათესავმა სამთავროს დედათა მონასტერში გადაუხადა ჯანმრთელობის პარაკლისი. სამი დღის შემდეგ ისევ გადაუდეს სურათი და ოი, საოცრებავ, ტვინი ნელ-ნელა იწმინდებოდა. არ ვიცი, უბრალო დამთხვევა იყო, თუ პარაკლისის შედეგი. გაოცებულნი იყვნენ ექიმები, ამნაირი ჩვენს პრაქტიკაში არ გვქონია. გაჩნდა იმედი, მაგრამ ამას ზედ კიდევ ერთი უბედურება





დაერთო – რეანიმაციულ განყოფილებაში რაღაც ვირუსი გაჩნდა, რომელიც პაციენტებს მუსარს ავლებდა. განყოფილების გამგემ პაციენტის ახლობელს უთხრა: – გადაიყვანეთ აქედან, არც ერთი წუთით არ დააყვინოთ, სასწრაფოდ გადაუდებელი ოპერაცია ესაჭიროება. ვერაფერს გამოვრიცხავთ, შესაძლოა გადარჩესო. მერვე სასავადმყოფოში ჩაუტარდა ოპერაცია. და კი ხედავ, ცოცხალია დღეს! მაგრამ სავალალ დიაგნოზით – ინტაკრანიალური ანევრიზმის კლიპირების შემდგომი მდგომარეობა, პოსტიშემიური ენცეფალოპათია დარბილების მრავლობითი კერებით კოგნიტურ-მნესტიური და ქცევითი დარღვევებით. გაგიკირდება ალბათ, რამ დაგამახსოვრა დიაგნოზით. მე მიმყავდა მაგის საქმე, არაერთხელ მომინია სხვადასხვა პროცესებზე დიაგნოზის წაკითხვამ და შენ წარმოიდგინე, დამამახსოვრდა კიდეც. მკურნალი ექიმი ამბობდა, თანდაყოლილი ანევრიზმა ჰქონია, როგორც ჩანს, ცემამ დააჩქარა პროცესიო. ტვინის მთლიანი მასის ერთი მეოთხედი ფუნქციონირებს, დანარჩენი მკვდარია. და კი ხედავ, რა დღეშიცაა. ციხიდან განთავისუფლებს შემდეგ დიდანს იმკურნალა, ახლაც მკურნალობს და სიცოცხლის ბოლომდე მოუწევს მკურნალობა, ბევრი სხვა დაავადებებიც ანუხებს. ყველას უკვირს, ცოცხალი რომა.

ამოუცნობია, ჩემიო ძმაო, ადამიანის ბუნება და მისი შესაძლებლობები. ეს ამბავი ლუკამ მომითხორ. ბევრი რამ საქმიდანაც შევისწავლე, სხვა უამრავი ეპიზოდებიცაა, რომლებზეც სხვა დროს გიამზობ, თუ დაგაინტერესებს. კიდევ ვიმეორებ, ამოუცნობია ადამიანის ბუნება-მეთქი. არც სიავეკაცეს აქვს საზღვარი. ნუ განიკითხავო, გვასწავლიან, არ განვიკითხავ, მაგრამ მიკვირს, საიდან მოსდის ადამიანს ასეთი, ყველა მორალურ ნორმებს აცილებული აზრები და ქმედებები, რომელიც, პავლე მოციქულს თუ დავესესხებით, თვალს არ უნახავს და ყურს არ სმენია. ლუკა და ელეფთერი ჩემი დედულეთიდან არიან. ხომ იცი, როცა კაცს გაუჭირდება, ყვავი ჩეიკვეს მამიდას გამონახავსო. მომაკითხეს ელეფთერის მშობლებმა და დახმარება მთხოვეს. სოფელშიც ვიყავი მათთან. განვახალეთ ძველი ნათესაური ურთიერთობები. ლუკა ბოლოს მთაში, ზემოთ რომ მონასტერია, იქ ვნახე. ღრმა სინანულში იყო, ფეხშიშველი ამოსულიყო ბარიდან და ფეხები სულ ერთიანად დასისხლანებული ჰქონდა... დავახლოვდით. ერთი კვირა დარჩა, განმარტოვდებოდა ხოლმე და სულ ლოცულობდა. მერე წავიდა, როგორც მითხრეს, გერმანიაში, ახლაც იქ არის, სემინარიას აღარ მიბრუნებია. ერთხელ ელეფთერს ვკითხე, შემსის გრძნობა თუ გაქვს, ცოდვების უფრო გეშინა, თუ სიკვდილის-მეთქი. დიდი ჭოჭმანის გარეშე მიპასუხა, – ერთი და იგივეა ეგო. მერე დაუმატა, სიკვდილის ცხოველსაც კი ეშინიაო. ისე, მე მაინცდა-მაინც დიდად არ განვსხვავდები ცხოველისგან,

მეც ინსტინქტების მონა ვიყავიო. საუბარი გამიბა. ხან სულელსა და ჩერჩეტს მექახდა, ხან თითქოს დაპრძენდებოდა. მერე ატირდა, ამ ბოლო დროს ხშირად ტირის და ხშირად ახსენებს ვიღაც მათხოვარს. ისე კი კარგი იქნებოდა, უფრო ადრე რომ ჩაერტყათ ჩემთვის თავშიო. შენ როგორ ფიქრობ, ღმერთს რომ ჩემი სიკვდილი სდომებოდა, საოპერაციოში არ მომელავდაო?! ერთი რამ დაიმახსოვრე, არ არსებობს გამოუგალი მდგომარეობაო. მერე ცოტა ხანს ჩაფიქრდა, თავისი უცნაური თვალები მომაბყრო და მითხრა: – ვიცი, ეკლესიას ხშირად სტუმრობ, ლოცვებს კითხულობ და ეზიარები. ხომ ამოგიკითხავს, რა ცოდვებს დასტირიან წმინდანები, მარიამ მეგვიპტელიც გემახსოვრება, ნურც კვიპრიანე კართაგენელს დაივინებუ, ბოლოს და ბოლოს დემონების მამამთავრის მოადგილე იყო მინაზე, მაგრამ მაინც ცხონდა და წმინდანიც კი გახდა. ასე რომ, იცოდე, ჩერჩეტო და სულელო, შანსი ყველას აქვს და არც მე ვარ გამონაკლისიო. ისე, შენც არ მავინწყდები, სანთლებს გინთებ ხოლმე და არც შენ დაგეზაროს, მომიხსენე ლოცვებშიო. წამოდგა, კარგა ხანს მიცემია დაუიზებით თავისი იდუმალი და გამოუცნობი მზერით – დისო, დისო, გამეორა მაშინდელივით, ჩემთვის სრულიად არაფრის მთქმელი ორი სიტყვა, გადამეხვია, გადამკოცნა, — მიყვარხარ, შე სულელო და ჩერჩეტო. მერე შებრუნდა, ისევ გამეორა დისო, დისო, გასვლისას კიდევ ერთხელ მომიბრუნდა, ელვასავით მტყორცნა მზერა, და ჩემს გასაგონად ჩაიღილია – საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნიო. უდავოდ ნიჭიერი და ამოუცნობი კაცია, ერთი ლმერთმა უწყის როდის თვალთმაცქობს და როდის არის გულწრფელი. მე მაინც მებრალება. ნიჭი საშიში რამეა, თუ დროულად არ მისცემ საჭირო მიმართულებას, შეიძლება დაგლუპოს.

დაგვთენებია კიდეც, ჩემი მეგობარო, ხუთის ნახევარია, ლამის ლანდებიც იკრიფებიან ნელ-ნელა, მზეც აღარ დააყვინებს დიდხანს ამობრძანებას. ხედავ?! ჩიტებიც გამოდიონ ასპარეზზე. აქა-იქ უკვე უდურტულებენ, ჭიკჭიკებენ და ასე ეგებებიან მისი უდიდებულესობის, დღის მობრძანებას. ჩვენც ხომ ბუნების ნანილი ვართ, გვირგვინი ბუნებისა, ავდგეთ და ტაშით შევეგებოთ ღვთის დიდ წყალობას – ნათლის მობრძანებას. სევდიანი სახე გაქვს, ჩემო გიორგი, შთაბეჭდილებებით დამძიმებულს აღბათ კარგა ხანს შეიძლება მოსვენებაც დაგეკარგოს. როგორ არის იმ ფილმში? – „ადინ უმნი ვეშ სკაუუ“ – მორიგი დღის ენერგიულად შესახვედრად და საბოლოოდ გამოსაფხიზლებლად აგერ ქვემოთ ყავხანაში შევიდეთ და თითო ფინჯანი ყავა მივირთვათ. ასე იყოს ჩემი პროკურორო. ადვოკატობა არ მაკლდა?! ახლა კიდევ პროკურორო. სახელიმილიანი მეგობრები ბაას-ბაასით თავქვე დაუყვნენ მიკლაპ-ნილ-მოკლაკნილ გზას.





ლანგ
განვიღი

თვალი რომ გაახილა, ჩვილი მოძებნა, მაგრამ ლოგიზმი
მარტო აღმოჩნდა. სანოლიფან ძლიერ ნამოლენა და წერისათვის
გავიდა. მოხუյი ულონოდ მისვენებოდა მუთაქებს.

— ბერნ!

ელორნემ ტირილი ფაინცუ. სარა მიკრობა და ხელებზე მოე-
ფიდა.

- მითხვა! რეზო! ხილდროლუ მითხვა! ჩატარებული არა მოკლეს?
- არა ასამისაყოლი ატექეთ დილოვანება! ხალხის მეტობა

შეიღოს ჩემი უკრაინული ხომ არ გავზიდოთი!.. - ნაციურაფიჩარ-
მული შემოვთქმა გრიგოლი. საათას ნერვულობისგან ჰირ-

— მისმარი! სად არის ჩემი შვილი? რევაზის შვილი!

၁၃

ლოგისტიკური აღმართი

არაფრისმთქმელ თვალებიანმა ქალმა პირველი
სართულის ბოლოში მდებარე საკუჭნაოს მსგავსი
ნესტიანი ოთახი დიდ რგოლზე ასხმული გასაღე-
ბებიდან ერთ-ერთით გააღო. შიგნით არ შესულა.
იქაურობა გარედან გულგრილად შეათვალიერა და
გვერდით მყოფ გამხდარ, სიფრიფანა ცხვირიან
დამლაგებელს ოთახის დასუფთავება დავაღალა.
მერე რგოლს საჭირო გასაღები მოაძრო და საკეტ-
ში შეარქო, უკანასკნელი მითითება გასცა და ტანის
უწნაური რჩევით მიეფარა თვალს.

საღამოს ისევ გამოჩნდა – წარუმატებელი ქან-
დაკეპასავით უშნო. უხეშად შეაბივა ამჯერად უკვე
გასუფთავებულ ოთახში, რომელსაც მცირე ზომის
საკრებული საკმარისად ვერ ანათებდა. შედარე-
ბით მშრალ კედელთან რყინის საწოლი დაედგათ,
რომელზეც პატარა, საღებავგადაცლილი ტუმბო
მიეყუდებინათ. დიახ, მიეყუდებინათ, რადგან მას მხ-
ოლოდ სამი ფეხი ჰქონდა და დაზიანებული კუთხით
საწოლის ქვეშიდან გამოჩრილ ფიცარს ეყრდნობო-
და. კარის მარჯვენი მინებამოლებული კარადა იყო
კედელზე მილურსმული. ნაჭრის გადახუნებული
აბაური ცალ მხარეს გადახრილიყო. ოთახის მორ-
თულობას აბოლოვებდა სკამი, რომელიც შედარე-
ბით თანამედროვედ გამოიყურებოდა და უფრო
საოცისეს ჰეგავდა.

2003 წლის დეკემბრის სუსტიან დღეს საწოლს მიჯაჭვული, ნახევრად გრძნობადაკარგული, ზოგჯერ უაზროდ თვალგახელილი სარა თავის ბოლო სამყოფელს უნდა ზიარებოდა. საღამოს შევიდი საათისთვის ზედამხედველი და ორი მედდა მის საწოლთან შეჩერდნენ. მოხუცს ძვლებზე გამხმარი ტყავი ჰქონდა გადაკრული. ნიკაპი და ცხვირი უზომიდ ამოშვეროდა, ხოლო ლოყუბი ისე ჩავარდნოდა, თითქოს შიგნიდან ერთმანეთს მიკრობოდნენ. დაბინდული თვალები უაზროდ მიეჩერებინა ერთი ნერტილისათვის. როდესაც მედდებმა ზენრებით ასწიეს და გორგოლაჭებიან, მონჯლრეულ საკაცებზე გადააწვინეს, მოხუცმა თვალები დახუჭა. ზემოდან გვისაზოვრებელი პლედი გადააფარეს და ისე გაიყ

ვანეს. ოთახში დარჩენილმა მოხუცებმა გულგრი-
ლი მზერა გააყოლეს მიმავალს. მხოლოდ ერთი ჩია,
კეთილი სახის მოხუცი გაჰყვა დერეფნამდე და გა-
მოსამშვიდობის დროის წელი დაუქნია.

საკაციდან გადაყვანისას კეფა შემთხვევით საწლოის რეინის რიკულზე მიარტყმევინეს. ერთმა მედდამ ფეხებში მოჰკიდა ხელი და ქვემოთ ჩასწია. ზედამხედველმა მირტყმული ადგილი მოუსინჯა და ცივი წყლით დასველებული ტილო მოითხოვა. ვიდრე მოიტანდნენ, სკამზე ჩამოჯდა და მოხუცს გაშლილი თითები თვალწინ აუთამაშა:

- მაშ ასე, ქალბატონო სარა! თქვენი ახალი ოთახი როგორ მოგწონთ?

- ახალი და აღმართ, ბოლოც! - ჩაილაპარაკა
ოთახში დაწერინილმა მეორე მეთოდმ.

ზედამხედველის გამჭოლ მზერაზე თავი ჩაღუნა და უხერხული მოძრაობით გახუნებული პლედის კუთხე გაასწორა. მოგვიანებით სასჯელის სახით სწორედ მას დაევალა სველი ტილოს დაჭრა სარას თავის დაზიანებულ ნაწილზე.

ოთახიდან გასვლისას კარი ღია დატოვეს, რათა ნესტის სუნი კოტათი მაინც გასულიყო...

* * *

თავშესაფართან ახლოს მდებარე ალავერდის მონასტრიდან ზარების ხმა მოისმა. ლვთის მსახურნი მწერის ლოკაციის გმზადებორინენ.

მოსუცი შეტოვდა. დაპინძულ თვალებში სინათლის სხივმა გაუელვა. სისხლისგან გამომშრა-ლი ძარღვები აუთორთოლდა. რამდენადაც გახევე-ბულმა კისერმა მისცა გასაჯანი ირგვლივ მიმოიხ-და. კისრის მალებმა გაიტკაცუნება. მშრალი ტკივილი მკერდთან მოუგროვდა. იქაურობას დერეფნიდან შემოსული შუქი მკრთალად ანათებდა. მისთვის უც-ნობ გარემოს თვალი ისევ მოუხეუჭა და ყური ზა-რების რეკვას მიუგდო. მკერდმა გუგუნმა შეუტო-კა ტვრინი. სარას მოდუნებულ გონქებას რაღაცების გახსენება სურდა. სუნთქვა გაუხშირდა. გარდასული დრო ტვინის უჯრედებიდან ცდილობდა გამოსვლას.



მეხსიერების დამშრალი ნაპრალები მოგონების ნაკადულებით იწყებდნენ დასველებას...

უშორესი ნარსულიდან პანია ათინათივით გამოაშუქა მისმა ბავშვობამ.

— ბებიას და პაპას თელავის ერთ ქვაფენილიან უბანში, პატარა სახლი ჰქონდათ, ორი მცირე ზომის ეზოთი. ზემოთა ეზოში — შავი თუთის, ალუბლის, ქლიავის, კომშის ხეები და პამიდვრის ჩითილები ხარობდნენ. თუთის ხესთან ფიცრული იდგა. აიღებდა პურის ნაჭერს, აძვრებოდა ფიცრულის სახურავზე და გემრიელად ატანდა ერთმანეთს თუთას და პურს. სახურავიდან ჩამოსვლაში ბებო ეხმარებოდა. გამავებულ თითებზე მკახე თუთას უსვამდა, შემდეგ კი იქვე ეზოში გულმოდგინედ ბანდა სახესა და ხელებს. საღამომდე ქვეითა ეზოშიც ჩავიდოდა. იქ — კარალიოვის, მსხლის და ვაშლის ხეების გასწვრივ ბზის ბუჩქები იყო ჩარიგებული. ალუბლის ორი ხე აქაც იდგა, ზედა ეზოს ალუბლებზე უფრო ტკბილი იყო მათი ნაყოფი. კიპარისის ხეს „ადესა“ ყურძენი შემოხვეოდა, ძირში კი თეთრი და ისფერი სუმბულები იწონებდნენ თავს მოტკბო სურნელით. ვაშლის ხის ქვეშ, ბალახებში მწიფე მარწყვი მოჩანდა. იქვე ვარდის რამდენიმე ბუჩქიც ხარობდა. გოგონა ბზის ფოთლებს კრეფდა და დედოფლებისთვის „ჩაის აყენებდა“. ბებიასგან პატარა ლეიბს და დედამისის ნაქონ ტანსაცმელს ითხოვდა. ლოგინს ბალახებზე შლიდა. „ბავშვებს“ ზედ აწვენდა. სამოსს ხეების ქვედა, შედარებით მომცრო ტოტებზე ჰკიდებდა. ყველაფერს რომ გააწყობდა „შვილებს“ მიუწვებოდა და იავანას უმდეროდა: „ნანა-ნანა-ნანა-ნა... დაიძინე პატარა... ნანა-ნანა-ნანა-ნა... დედამ ხელით გატარა... დედამ ხელით გატარა... ცხრა მთა შემოგატარა“ ნელ-ნელა თვითონაც ძილი ერეოდა, მაგრამ მყისვე წამოხტებოდა, ალუმინის პატარა ქვაბზი ბალახებს და ფოთლებს ჩანაწყობდა, ზემოდან წყალს დასახამდა და ქვის „ქურაზე“ შემოდგამდა. ეზოს ქვის გალავანი ერტყა. გალავნის ერთი კუთხე სხვებთან შედარებით დაბალი იყო, საჭმლის „მოხარშვამდე“ გალავნის ძირში დაგდებულ მოზრდილ ქვაზე აცოცდებოდა და გამვლელებს ათვალიერებდა.

ზამთრობით სიცივის გამო ეზოში ველარ თამაშობდა. იჯდა ღუმელთან და თიხისგან სხვადასხვა ცხოველებსა თუ კალათებს ძერნავდა. შემდეგ ბებოსთან ერთად ლოტოს თამაშობდა ან ალბომებს ათვალიერებდა. ერთ ფოტოს დიდხანს აკვირდებოდა. ვერაფრით იჯერებდა, რომ მშობლებთან და დამშებთან ერთად გამოსახული გოგონა — ბებიამისი ელენე იყო. ბავშვს შუბლზე სხორი თმა ჰქონდა გადმოყრილი, ტილოს კაბა ეცვა და ხელში ხელნაკეთი სათამაშო ეკავა. ფოტოში ჩატეული წარსული ძალიან, ძალიან შორეულად ეჩვენებოდა.

ცოტა ხანში ბებიას ალბომებთან მიატოვებდა, თვითონ კომოდთან მივიდოდა, მესამე უჯრას ძლივძლივობით გამოსწევდა, დიდების ნაქონ ტანსაცმელს რიგრიგობით ამოალაგებდა, რომელიც მოე-

წონებოდა, იცვამდა. ბებიას ჯერ წელზე ქამრის დამსაგრებას სთხოვდა, მერე აივნიდან დაძველებულ ზამშის მუქ მწვანე ფეხსაცმელს შემოატანინებდა, რომელსაც მოხუცი ფანერის მრგვალ ყუთში ინახავდა. მისი წვეტანი ქუსლები იატაკის ფიცრებს შორის იქვედებოდა, რაც ფრიად ამხიარულებდა. ასე მორთულ-მოკაზზემული პაპის მოლოდინში აღულუნებულ ღუმელთან ჯდებოდა. შემა ტკაცუნით იწვოდა. სიობოში ძილი ერეოდა, დიდი ზომის ნივთები აწუხებდა, კაბის ბრეტელი წარამარა მხრიდან უყარდებოდა, თავზე ჩამოფხატული ბერეტი ხედგას უშლიდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ნეტარებით ელოდა. ბოლოს პაპაც გამოჩნდებოდა: — ოჳ! უყურეთ ამ „უულიკსო“ — იტყოდა და გულზე იხუტებდა — ოქროს საყურები უნდა გიყიდოს შენმა პაპამ!

გახარებული სარა კისეისებდა, თან ფინიკით იტკპარუნებდა პირს...

* * *

წმინდა ნინოს სასწავლების დამთავრების შემდეგ ვლადიკავკაზმი ბიძასთან გაემგზავრა. ერთი თვის სტუმრობის შემდეგ, საჩუქრებით დატვირთული დაბრუნდა უკან. კონკის ხმაზე გრიგოლი აივანზე გამოსულიყო. ჭიშკარი ჯერ ზემოუბნეობმა გიგამ შეალო, შემდეგ ლოყებატკეცილი სარაც შეჰყვა. ამ უკანასკნელს ისე მონატრებოდა სახლი, ხის ძველმა რიკულებმაც კი გული აუჩვილეს. კიბე სულმოუთემელად აირბინა.

— ჩამოხვედი? — ქალიშვილის თბილ ლოყას გრიგოლის ცივი ტუჩები შეეხო.

გიგა კიბეზე არ ასულა ისე ჩაბარა და ძმას და ალექსანდრესგან გამოგზავნილი მოსაკითხიც პირადად გადასცა.

— ბებო სად არის? როგორ არის? — სარა ისევ ეზოში დაბრუნდა და ხის ყუთებს მარჯვედ დასწოდა. გრიგოლს არც უფიქრია დის დახმარება.

— ბიქმ! მაშ, შენს დას არ უნდა მიეშველო?

— ბებო! — შესახა ქალიშვილმა.

ბებია და შვილიშვილი მონატრებით ჩაეკვრნენ ერთმანეთს.

— აბა, ქა, როგორა ხარ? რაო ალექსანდრემ? როგორ დაგხვდნენ, მოგეწონა იქაურობა? — ელენემ უამრავი კითხვა დაუსვა ერთი თვის უნახავ შვილიშვილს.

— კარგად, ბებო! იცი, გასულ კვირას ფაიტონით რომ ვსეირნობდით, ფეხსაცმელმა მომიჭირა, ალექსანდრე ბიძამ გამხადა და გზაზე დამჯდარ გლახას გადაუგდო, მერე ხელში აყვანილი ჩამიყვანა და ახლები, აა, ესენი მიყიდა.

ბებია ღიმილით ათვალიერებდა შვილიშვილს:

— დაქალებულხარ, დამშვენებულხარ...

— უფფ, ბებო! — დაიმორცხვა სარამ.

სარას და გრიგოლის მშობლები დიდი ხნის გარდაცვლილები იყვნენ. ობლები ბებიამ და პაპამ გაზარდეს.





მოხუცებული და უკვე დაქვრივებული ელენე შვილიშვილებთან ერთად უმცროსი შვილის – ალექსანდრეს დახმარებით ცხოვრობდა. სწორედ იმ ალექსანდრესი, რომელთან სტუმრობიდანაც სულ ახლახან დაბრუნდა სარა. მას ვლადიკავკაზში დუქანი ჰქონდა და ცოლ-შვილით იქ იყო დასახლებული.

* * *

მოხუცს გონება განათებოდა და წარსული საოცრად ნათლად, მარაოსავით გადაშლოდა თვალინინ.

რევაზის გაცნობის დღე გაახსნდა... იმ დღეს, დეიდაშვილებთან იყო სტუმრად. მათი აივანი ლვისმშობლის ქუჩას გადმოჰყურებდა, სადაც წარამარა გარბოდნენ ნინო და თამარი. იუნკერთა სასანავლებლის კურსანტს ელოდნენ სტუმრად, რომელსაც ტფილისიდან მათი ძმის, დიმიტრის გზავნილი უნდა მოეტანა.

წარმოსადეგი ჭაბუკი ცხენიდან ჩამოხტა, აივაზზე აუკვებულ ქალშვილებს მორიდებული ლამილით ახედა და სარას თვალებს შეეფეთა...

იმ დღეს რევაზი საღამომდე „შერჩა“ მაყაშვილებთან...

* * *

მეუფე დავითმა მათი ცოლქმრობა ალავერდის ტაძარში აუკრთხა. ორგვლივ მხიარულება სუფევდა. ალექსანდრე ძიაც ჩამოვიდა რამდენიმე დღით. ცოლ-შვილი თან არ ახლდა, მის უმცროს ვაჟს ტუბერკულოზი დამართნოდა და ალპებში გაეგზავნა სამკურნალოდ.

ბებიამ მზითევში თავისი საყვარელი ვარდისუფერი ფაიფურის ფინჯნებიც გაატანა. მათ ოჯახში ვერცხლის დანა-ჩანგალთან ერთად, კიდევ სამი ძვირფასი ნივთი ინახებოდა: ფაიფურის მწვანე გველებაპი, რომელიც გრიგოლის კუთვნილებად ითვლებოდა, ულამაზესი ლამფა, ქვემოთ ფაიფურის, ხოლო ზემოდან მოხატული ვარდისფერი შუშით და ის სერვიზი, ჯერ კიდევ ვანო პაპამ რომ უსახსოვრა ბავშვობაში. ლამფაც გრიგოლმა დაიჩემა, რაზეც სარას ხმა არ ამოუღია, სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა.

* * *

ნითელმა არმიამ საზღვრები რომ გადმოლახა, რევაზი სასწრაფოდ ჯარში დაბრუნდა.

სარა, ვახვახიშვილების ციხის სიახლოეს, ქმრის მამაპაპეულ სახლში განაგრძობდა ცხოვრებას.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისი დაეცა. ქართულმა მხედრობამ, პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოებაშვილის მეთაურობით, გადაწყვიტა, პარტიზანული ბრძოლები წამოენცო რუსი დამპურობლებისა და ადგილობრივი კომუნისტების წინააღმდეგ. 1922 წლის მარტში რევაზიც შეუერთდა „საქართველოს შეფიცულებს“ და ტყეში გავიდა.

სულ ბოლოს სარამ და რევაზმა ერთმანეთი 1924

წლის აგვისტოში, ანტიბოლშევიკური აჯანყების წინა დღეებში ნახეს. საშიში იყო თელავში გამოჩენა. ნითელარმიელები სასტიკად უსწორდებოდნენ შეფიცულთა ნაცნობებსაც კი. სარა ბავშვს ელოდა. რევაზმა ვერ მოითმინა, ოჯახობის უნახავად დადგომოდა გზას, რომელიც იქნება და აღარც აბრუნებდა მათთან. ქალებს ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ თვალზე ცრემლი, ჭიშკარზე ბრახუნი რომ ატყდა. გაღება ვერც მოასწრეს, ნაწილებად ჩამოიშალა ხის კარი. რევაზს ეძებდნენ. შეშინებულმა სარამ, რომელიც მულთან და დედამითილთან ერთად ენაჩავარდნილი იდგა, ლამფის შუქზე, გვარდიელების წინ, გრიგოლი შენიშნა, მუცელზე ხელები გადაიფარა და ძმას იმედიანად მიაჩერდა...

იმ ლამით რევაზის დედა და და დაპატიმრეს, ხოლო ტირილისგან თვალებდასიებული სარა, გრიგოლის ხათრით, მამისეულ სახლში დაბრუნება.

* * *

1924 წლის აჯანყების შემდეგ ბოლშევიკები გამნარებულები დაერივნენ პარტიზანთა ოჯახებს და მათ მომხრეებს. რევაზის დედა და და, სხვა მრავალ პატიმართან ერთად გადასახლეს. გრიგოლი სახლში ტრაბახობდა, თუ როგორ შეაცვლევინა კომისარს მათი დახვრეტის გადაწყვეტილება გადასახლებით.

რევაზისგან არაფერი ისმოდა. არც მკვდრებში აღმოჩნდა და არც ტყვედ ჩავარდნილებში. კომისრის ცოლმა სარას საიდუმლოდ გაანდო, – მგონი, ქაქუცასთან ერთად ტრაბიზონში გადავიდა...

ოქტომბრის სუსტიან საღამოს ასტკივდა მუცელი. ეზოში სარეცხი გაფინა და ის იყო სამზარეულოში შეპრუნდა, მძლავრმა ტკივილმა დაუკანა. სპილენძის ვარცლი რახრახით დავარდა აგურის იატაზე. ოფლმა დაუცვარა შუბლი და სუნთქვა შეერკა. უკვე საწოლს მიჯაჭვულმა ელენემ იგრძნო შვილიშვილის გასაჭირი. ყვირილი მორთო იმ იმედით, იქნებ მეზობლებს გაეგოთ და მიხმარებოდნენ. ტკივილსა და ტკივილს შორის არსებულ შუალედში სარამ ეზოში გასვლა მოასწრო...

ბებიაქალი და გრიგოლი თითქმის ერთდროულად შევიდნენ სახლში. შემტევი ტკივილებისგან სარას გონია ებინდებოდა, ყურებში კი აკვატტულად ჩაესმოდა რევაზის ნამდერი „გაფრინდი შავო მერცხალო“. გამთენისას იმშობიარა და გრძნობაც დაკარგა...

თვალი რომ გაახილა, ჩეილი მოძებნა, მაგრამ ლოგიტში მარტო აღმოჩნდა. საწოლიდან ძლივს წამოდგა და ბებიასთან გავიდა. მოხუცი უღონოდ მისენებოდა მუთაქებს.

– ბებო!

ელენემ ტკივილი დაიწყო. სარა მივარდა და ხელებზე მოეჭიდა.

— მითხარი ბებო! სიმართლე მითხარი! ბავშვს რა მოუვიდა?

— რა აყალიბაყალი ატეხეთ დილაუთენია! ხალხის მტრის შვილს ჩერქევეშ ხომ არ გავზრდი-



დი!.. — ნახევრადჩაცმული შემოვარდა გრიგოლი. სარას წერვიულობისგან პირი გაუშრა. იგრძნო, თვალთ უბნელდებოდა. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და გრიგოლს მივარდა:

— მითხარი! სად არის ჩემი შვილი? რევაზის შვილი!

რევაზის ხსენებაზე გრიგოლმა მთელი ძალით მიანარცხა კედელზე. ელენე გოდებას მოჰყვა. სარას ტკივილი არც უგრძვნია. ცრემლები ღაპალუბით ჩასდომდა კისერში...

სმენას ისევ „გაფრინდი შავო მერცხალო“ მოსწვდა. რევაზი მღეროდა, ლალად, ამაყად, იმედიანად...

დიდიხანს იწვა დედაქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. გამოჯანმრთელების შემდეგ თელავში აღარ დაბრუნებულა, ჯერ ბათუმში, იქიდან კი თურქეთში გადავიდა. რევაზის კვალს ეძებდა. ასე დაადგა გზას საფრანგეთისკენ.

შუალამედე გემბანზე იდგა და ცრემლგამშრალი გასცეროდა გალმა ნაპირს. ღუზები ხრიალით ამოყარეს წყლიდან და მანქანებიც ამუშავდნენ. გემი შეტოკდა. ნელ-ნელა მოწყდა ადგილს და წყვდიადს შეერია...

* * *

პარიზში ჩასული ერისთავებმა შეიკედლეს. რევაზი საფრანგეთში არ აღმოჩნდა. ბოლშევიკებს თელავშივე დაუხვრიტათ, გიგოს გორაზე. სარა ისევ ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში მოხვდა. წლები მკურნალობდა. იქიდან გამოსული ლევილში დასახლდა და იქაური ემიგრანტებისთვის სამოსის კერვა დაიწყო. თავს ყოველთვის რევაზის ცოლად თვლიდა და მოგონებებით ცხოვრობდა...

საბჭოთა კავშირის დაშლამ და საზღვრების გახსნამ უცნაურად აუფორიაქა სული. 87 წლის იყო, თურქეთისკენ მომავალ დელეგაციას რომ დაემგზავრა. მიუხედავად ასაკისა, მხნედ და ჯანმრთელად იყო. უარი არ უთხრეს. თავისი ოთახი ლევილის მამულის დიასახლისს ჩააბარა.

დელეგაციას ტრაპიზონში ჩამოსცილდა და საქართველოსკენ გამოეშურა.

* * *

...როგორც იქნა, მათმა ავტობუსმა სარფის საზღვარი გადაკეთა. გული ყელში ჰქონდა მიბჯენილი. თბილისამდე მოძველებული ტრანსპორტით იმგზავრა. ისნის მეტროს სახლოვეს ჩამოსვეს. თელავისკენ მიმავალი ტაქსებიც იქვე იდგნენ. ღამდებოდა. მძღოლმა: — ითხო მგზავრი მჭირდება, თუ შევივსეთ წავალთ, არა და ხვალე. გადაღლილი სარა მანქანის გამოციებულ სალონში ჩაჯდა



შხატვარი სოფიო ჭელიძე

და ჯიუტად დაინტყო ლოდინი. ბედად გვარდიელები გამოჩნდნენ და მანქანაც კახეთისკენ დაიძრა. მთელი გზა ხარბად ისმენდა მათ ნალაპარაკეს. გული ეტკინა. ქვეყანა ისეთივე არეული დახვდა, როგორიც დატოვა. ძველი მტერი, სამაჩაბლოს შემდეგ, ამჯერად აფხაზეთს აქრიდა საქართველოს. შორიდანაც იცოდა რაღაც ამბები, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ელოდა. კარგად დაბინდებულიყო, ტაქსი ბაზართან რომ გაჩერდა. არც ერთი ლამპიონი არ ანათებდა. ზოგიერთი სახლიდან გამომავალი სინათლე აშუქებდა ქუჩას მერთალად. გენერატორების გრუნზუნი იკლებდა იქაურობას. პატარა სამგზავრო ჩანთა ჰქონდა თან. ინტუიციით აუყვა ხევის ნაპირს და სანაპიროსთან მარჯვნივ გაუხვია. ლეთისმშობლის ეკლესიასთან ტანკი იდგა. შეკრთა. გზის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და შედგა, — დეიდაშვილების ორსართულიანი, აივნიანი სახლი აღარსად ჩანდა. დაენგრიათ. მის ადგილზე კი მაღაზიის მსგავსი შენობა აუშენებინათ. აღმართს შეუყვა. დაიღალა და გზის გასაყართან შეისვენა. ზუსტად ისეთი ავბედითი გარემო იყო, როგორც ბოლშევიკების შემოსვლისას. წამოდგა, გზა განაგრძო. მათ ქუჩაზე ქვაფენილი აყრილიყო და სავალი გზა ქვა-ლორლით გადახერგილიყო. ნინოშვილის ქუჩის ასახვევს გახედა, ეს გზა სასაფლაოსთან მიდიოდა. გული აუჩქარდა. აგერ მართა ბებოს ნასახლარი, როგორ უყვარდა მის თონეში გამომცხვარი შოთები.





ნაცნობი ქვის გალავანიც გამოჩნდა. კიდევ უფრო დადაბლებულიყო. ჭიშვარი შეეცვალათ. ალარც კი-პარისი ჩანდა, მოქრათ. გალავანს შემოუარა და ჩიხში შევიდა. თავბრუ ეხვეოდა და ემოციებისგან გული მისდიოდა. ფანჯრებთან შეჩერდა. სახლი-დან ქალის მოგუდული ტირილი ისმოდა. სუნთქვა შეიკრა და მიაყურადა. კაცის ნერვული ლაპარაკი უეცარმა ყვირილმა შეცვალა:

— იცოდე! ცხვირ-პირს დაგინგრევ, კიდევ თუ გახვალ მაგათან!..

კარის ჯახუნს ქალის ისტერიული კივილი მოჰყვა. სარას სისხლი გაეყინა. ახალგაზრდა კაცს ხმა გრიგოლისას მიუგავდა...

გაშლილი ხელები ჩამოაყოლა რიყის ქვით ნაშენებ სახლის კედელს, მერე გალავანს. მთელი ტკივილი ხელისგულებზე გადაჰქონდა. პირი მაგრად მოკუმა კვინესა რომ არ ამოხდეოდა.

ის ღამე ღვთისმშობლის ეკლესიის უკან გაათია. გათენებამდე სროლა და ძალლების ყეფა ისმოდა. არ შეშინებია, მის გულს უფრო ძლიერი ტკივილი დაპეატრონებოდა...

* * *

...სარამ გამოშრალ პირში ხურმის გემო იგრძნო. იმ ხურმის, პაპამისს რომ მოჰქონდა მისთვის ბავშვობაში. სუმბულების სურნელით გაივსო ოთახი, ღრმად შეისუნთქა. ყურში პაპის ხმა მოესმა: „ელენე, ეს პატარა ქალბატონი ვინ არის? პაპას სიცოცხლე და პირის ჩასაკოლოზინებელი ხომ არაა, ერთი გემო გავუსინჯო...“

სიბნელეში ბებიის ლანდი გამოჩნდა, გაჭალ-არავებული თმა შეუბლზე შუაზე გაეყო და წნულად შემოეხვია კისერთან — „მოიცა, ქა, ბალლი არ შამიჭამო, სადაცაა ვახშამი მზად იქნება, ბებო შემო-

ევლოს, გოგლიმოგლსაც ვუკეთებ...“

უეცრად საშინელმა ტკივილმა მარწუხივით მოუჭირა. ზედ გულთან აგლეჯდნენ ჩვილს!

რკინის სანოლი ძლიერად შეირყა. სარას ფართოდ გაელო ჩასისხლიანებული თვალები და უცნუურ ხმებს გამოსცემდა, ხაოდა...

ერთბაშად გაჩუმდა... მკერდში სითბო ჩაეღვარა... ბავშვი, უსახელო ჩვილი, მის ძუძუს წოვდა... კმაყოფილი ჭყლოპინებდა და დედას ხელებს უთათუნებდა...

ლოგინში წამოჯდა, უნდოდა, მოხვეოდა. მკლავები შეაერთა, კიდევ ერთხელ სურდა ჩიგოლის დაუვინჭარი სუნი შეეგრძნო, თავი დახარა, მაგრამ..... სასონართმეული მკლავები ჩამოეკეცა საბანზე.

საცოდავად შეჰკივლა! ცრემლები უწყვეტად მოედინებოდნენ ტკივილით გადაწილებული თვალებიდან.

უცბად ხელზე შეხება იგრძნო, შეკრთა, — ხუთიოდე წლის დატალლულთმიანი გოგონა ლიმილით ეტიკტიკებოდა:

— დედა... დედიკო... წამოდი ჩემთან!...

ყურებში რევაზის ნამღერი „გაფრინდი შავო მერცხალო“ უგუგუნებდა.

ბავშვი ჩერდებოდა... მირბოდა... სარა ბედნიერებით შემსუბუქებული მისდევდა უკან... ღვთისმშობლის აღმართი აირბინა, მარცხნივ შეუხვია... ელენე ბებოს სახლი ძველებურად გამოიყურებოდა, კიპარისიც ისევ იდგა... ჭიშვარიც არ შეეცვალათ, ღია დაეტოვებინათ... ეზოში შევიდა და... კიპარისის ძირში დედაშვილობის აქამდე განუცდელი სიყვარულით ჩაეკონა თავის გოგონას...

აგონიაში მყოფი სარა ბედნიერი ტოვებდა წუთისოფელს...



მხატვარი
ლევან როსტომაშვილი



გურამ რჩეულიშვილი – 85

ცუცუ ქამუკაშვილი

49

გურამ რჩეულიშვილს



რა ფიქრი და რა ოცნება
გქონდა, გურამ, გულისა;
ცხოვრება კი მიღიოდა, –
რწმენით, სიყვარულისა.
სიყვარული მამულისა
პინას გულში იკეთებს;
გულიც, სულიც მას უძღვენი, –
მისთვის გსურდა სიკეთე.
და, წინ, შავი ზღვა გელოდა,
თავგანწირვა – უჩვევი!
შენ ხომ საძმოს, სამეგობროს
სიმართლის გზას ურჩევდი.
უკვდავება სიცოცხლისა, –
კალამს გამოჰყოლია,
უკვდავება ზეიმობს და
ფრთებს შლის ფიქრის თოლია.
სხვას სიცოცხლე აჩუქე და
მადლი ჰქენი, – უძირო;
საქართველო ვის უნახავს –
უგულოდ და უგმიროდ?!..
შენც ჭაბუკი დარჩი მარად,
როგორც – ტატო, მირზა და..
საწუთრომ კი სიყვარული
მარადისი გიმზადა.

დიდებისკენ მიიღტვოდი
გსურდა: ძმობა, ერთობა;
შენ გიგონებს რაშით, მაინც
ყველა ალავერდობა...

ოლქ, №1, 2020



თინათინ თელაველი (თინათინ მრალაშვილი)

50



ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი ს ი ლ ა ვ ე ლ ი

შიდა შუღლი სტოჩა, —
ცუქვე ქვეყნა...

განსაცდელშია ჩვენი ქვეყნა, —
ძმა-ძმას წაჲკიდა, მტრობამ, ბევრგანა,
მამული დაჭრილ არნივს ემგვანა,
მამული შველას ელის ჩვენგანა...

P.S.

შიდა შუღლი სპობს, ღუპავს ქვეყნას,
ვერ უნდა მიეხვდეთ, — ამას, ჩვენ, განა?!.

არ იმსახურებს?..

ცრემლშეუმშრალი: ეს — ტყე, ეს — ყანა,
მთა — ბუმბერაზი, — სფინქსებს, რომ ჰევანან,
ქარტეხილებმა — პირი რომ ბანა,
და... მაინც, ისევ, ლალად რომ დგანან...
ის — ცრემლსავსე, თუ, მბრწყინავი ხანა,
წარსულის ხიბლი, ანა, თუ, ბანა,
მამული, — ასე, პირმშვენი, თანაც,
არ იმსახურებს, სიყვარულს, განა?!.

კვლავ გვაჩუქოს რუსთაველი...

შოთას ჩანგმა: სიყვარულის
სიბრძნის სიმი გააჟღერა,
საქართველო, მსოფლიოში,
უკვდავყო და... აამლერა...

მისმა ლექსმა შეაჯერა:
მაღლით ზეცა, თუ, მთა-ველი,
ზენაარის, — მჯერა, მჯერა, —
კვლავ, გვაჩუქოს რუსთაველი...

თელავს...

მე, ძლიერ მიყვარს ჩემი თელავი,
და... ამ სიყვარულს საზღვარი არ აქვს, —
და... ვერ დავუთმობ, ქვეყნად, ვერავის, —
ერეკლე მეფის სატახტო ქალაქს...

როემლშეუმშრალი: ეს — ტყე, ეს — ყანა,
მთა — ბუმბერაზი, — სფინქსებს, რომ ჰევანან,
ქარტეხილებმა — პირი რომ ბანა,
და... მაინც, ისევ, ლალად რომ დგანან...

თ. თელაველი

მისალობუნე

მიალერსე, მიცისკროვნე მიზანი,
მიზნის, — მინდა, მივითვალო მისხალიც,
მიმავიწყე — მინავლული, მიმქრალი,
მისალბუნე, — მიყვარხარო, მითხარი...

მამულო!..

ჩვენო, უტკბესო მამულო, —
ქართველთა: სულო და გულო,
მტერთან, — გმირობით განთქმულო,
შინ, — შიდა შუღლით დაგულო...

ნეტავ შემეძლოს, შეგიშრო,
ცრემლი, — ტკივილით ნადენი...
მომავლის ბრწყინვით გეცისკროს,
გეკმიაროს ტანჯვა, — ამდენი...

უმღერს სიყვარულს...

გული სამშობლოს ტრფობით ნეტარებს,
მაცოცხლებელი სხივით ინთება,
უმღერს სიყვარულს, უმღერს მზედარებს,
განცდა იღვრება, ირგვლივ, ზვირთებად...

მზე — სიყვარულს გვიძლვნია...

ვჭვრეტ: შარავანდს სხივთა, —
მზის თვალთაგან ნადენს,
მზე — სიყვარულს გვიძლვნის,
სხივს გვიგზავნის რამდენს...

ეს გული, როს, შენი
გულის ნატვრას ახდენს,
მაშინ, ჩემი განცდაც —
ფრთებს მწვერვალებს აწვდენს...





გვპირფერიან...

გვიხარია, გვინატრია, გვილალია, გვირბენია...
 გვრიტუნები გვილიმიან, გვიგალობენ, გვიმღერიან,
 გვირილები გვილამაზებს, გვიფერადებს გვიმრებიანს...
 გვიცინიან გვირილები, გვილოცავენ, გვპირდებიან...

P.S.

გვირილებო, გვირგვინები – გვინარინჯეთ, გვიპიროვნეთ,
 გვიციაგეთ, გვიჩირალდნეთ, გვისხივოსნეთ, გვიცისკროვნეთ...

სხვა, რა ვქნა?..

გულს, თუ, მთხოვ, გაჩუქებ, მითხარი, სხვა, რა ვქნა?
 ქარაგმა სდევს, თუ, თან, – თოვლ-ქარბუქს, მტენარად მდნარს?
 თუ, სხივად მაშუქებ, მყლავთა ტყვედ რად არ მქნა?
 სიყვარულს მზეს ვუქებ, – ჰანგთა მზეს, ჰანგთა ქნარს...

სიყვარული ვამზეგრძელოთ...

როგორ მინდა – გიყვარდე და... როგორ მინდა – მოგეფერო,
 როგორ მინდა – ერთად ვიყოთ სიყვარულის მასპინძელო,
 გულანთებულ ფიქრთა ჭიდილს, აღარ ვიცი, რით ვუშველო?..
 ღმერთი, თუ, გწამს, ნუ გამირბი, სიცოცხლე არ გამიძნელო...

დღისით, ღამით, გზას მინათებს, – შეწზე ფიქრი, ნატვრავ, მწველო, –
 ალბათ, შენ, არც გაგონდები, სასურველო, სანატრელო...
 წუხელ – ძილში გიალერსე, დილით – ცრემლით ვნამე მდელო,
 მინდა – ცხადშიც მოგეფერო, სიყვარული ვამზეგრძელოთ...

მაიმეფერი!..

გვირილები – თავს გვიხრიან, გვირილები – გვიმღერიან,
 თითქოს, მათაც, მოსდებიათ – სიყვარულის მისტერია...

გუშინ, – როცა, თაიგული, მომართვი და მომეფერე,
 ვერ მიმიხდი, სიხარული – დავმალე, თუ, შევიფერე...

წყენას, ლხენა ენაცვლება, შენთან რომ ვარ, გიმზერ როცა,
 გული ადგილს ვერ პოულობს, მზეობს, ლალობს, იმღერს, გლოცავს...

სან, კი, ეჭვი არ მასვენებს, ფიქრს მიღელვებს, მიკრთობს ჯერაც,
 მაგრამ... შენი სიყვარული მაიმედებს, მიზმობს, მჯერა...

თუკი...

მთვარე, ოქროს ნაგს ვამსგავსე, ნატვრით ვიხმე იალენები...
 ვარსკვლავთ ციაგს ამეობს ცაზე, – ოცნებათა მინანქრები...
 იქაც მივწვდი, სადაც, თვალით, თითქოს, შორით ვერ მისწვდები,...
 დამაშვრალი არ ვიქნები, ნატვრავ, თუკი, ამიხდები...





କେବଳମୁଖୀ

בְּרִיתָנוּ בְּרִיתָנוּ בְּרִיתָנוּ בְּרִיתָנוּ

ნიგბი ნაკმლდებეს კურტულის პრამის ნერილებისა, რომელიც უმთავრესად პირადულია, მაგრამ მათში ისეთი მიღწეულობრივა, რომელიც შივლად ძერ-ნავენ ხაზჭოუნ რეალობრის - მისცვისაუ, ვინაუ, ხა-ბეჭისიერობა, ან მოსხრების მას, და მისცვისაუ, ვისაუ, ხამწყახობა, დავინუბრის წევრი რამ.

აქ გუშინდელში საკმაოდ გრძელებული იყოთხება
ნაოსულის ინერციაშენარჩუნებული ღოვენდელობა.

5. ပိုက်တရားသိန္ဓာ

„შავვის ცერილები“

ახდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მოუსვენარი სურვილი: ამ დღებში გამომცემლობა „უნივერსალი“ გამოაქვეყნებს ჩემი მათემატიკურის ძმის — აბრამ (ჭაბაზო) ბართიშვილის — წიგნს სახელწოდებით „შაშვის ნერილები (რატომ განიცადა მარცხი ამერიკულმა კოსმოსურმა (კამა?)".

ნიგოზი ნარმოადგენს კურტულს აპრამის წერილებისა, რომლებიც უმთავრესად პირადულია, მაგრამ მათში ისეთი მოცემულობებიცაა, რომლებიც შეიძლება და ქრისტიანული რეალობას — მისთვისაც, ვინაც, საბჭედინიეროდ, არ მოსწრებია მას, და მისთვისაც, ვისაც, სამწუხაროდ, დავიწყებია ბევრი რამ.

აქ გუშინდელში საკმაოდ გარკვევით იკითხება წარსულის ინერციაშენარჩუნებული დღევანდელობა(კ.

ამდენად, წარმოდგენილი ეპისტოლური მასალა
აჭარებს აბრამის საუკუნისთვის დამახასიათებელ
ლრმად სოკილურ მუხტისაც.

„კორპორაციულ“ სწავლულთა უკუღმართი გულებრივობის გარდა, ერთ-ერთი სამხილი ამ ნერილებში გაძლავთ საბჭოთა ფსიქიატრიის ხმატყპილი და მახინჯი, მჭიდრო თანამშრომლობა სამართალ-დამცავ ორგანოებთან, რის გამოც უამრავი ადამიანი ისრისებოდა ჭიათურელასეპრ ჩვენი პლანეტის 1/6-ში ლამის მოელი საუკუნის მანძილზე.

ისეთნაირად დატრიალებულა მორევისებრი ბედი ამ წერილების ავტორისა, რომ ბევრი საინ-

ტერესო ადამიანის ბედს გაჰქანებია საწუთო-სოფლო ქროლვაში და ნაპერწკლებიც ბევრჯერვე გაუყირია.

ამიტომ: აქ გადავეყურებით სახელებს ქართველ თუ სხვა მოღვაწეთაც — როგორც გამოჩენილთა, ისე არათუ იმდინარ.

ჰა!.. დღეს თითქოს აღარ უჭერენ გულის
ფიცარს საპჭოეთის იდეოლოგიური მეტასტაზე-
ბი; თითქოს უკვე თავისუფალია და ლია გონიც,
შემოქმედებაც; თითქოს ევროპელები გავმხდარ-
ვართ ჩვენაც, ბოლოს და ბოლოს... და ეგება თა-
ვის შესაქცევად მაინც ჩაიხედოს საქმეში ვინმე
თავზესელალებულმა სპეციალისტმა და მოგვახსე-
ნოს: აკეთებდა აპრამ (ჭამპო) ბართიშვილი რამეს,
თუნდაც ცალ ფულად ღირებულს, თუ მართლა...
„აფრენდა“? ეს იყოს კითხვა ფსიქიატრებისა თუ
ფსიქოლოგებისთვისაც...

ჩემგან იმაზე ბევრად მეტიც ეკუთვნის ძმას, ვიდრე ეს პანია საქმეა, რომელსაც, როგორც იქნა, თავი გავართვი. მაგრამ, ვახსხ, რა უსუსურია ადა-
მიანი!..

წიგნის რედაქტორი: არსენ ბერთლანი
რედაქტორი მათემატიკურ ნაწილში: ირაკლი
ჭიჭაშვილი

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଗଣଙ୍କୁ ମିଳିବାରୀ ଦେଖାଇଲୁବାରୁ

ვსარგებლობ ბედნიერი შემთხვევით და თანად-
გომისთვის საჯაროდ ვუხდი მაღლობას საუკეთესო
აზამიანს! ქ. თბილა ვითან — ირა კო ჭიჭიონ!

კოლეგის ფანჯარა

ერთად დავბერდით ლამის, ერთ უმაღლეს სასწავლებელში, ერთ კათედრაზე და მუდმივ მეზობლობაში. კარის მეზობლები ვიყავით მაშინაც, ვიდრე ქირით ვიდეექით მარქსტე, „კომპერატურული“ მეზობლები აომოვჩნდით მირეკა. როგორ კინჭისყრით

პინები მივიღეთ კოოპერატიულ სექტორში.

ისე რომ, კარგად ვიცნობთ ერთმანეთს...

մղ մղամ զատասղենո մաս, ռուբոր(Յ կոլղաս.

ეს წუთისოფელი ხან ასეა, ხან ისე. იმ წუთებშიც
კი, რო/კა, ღრო-ღრო, თანამდებობის უფროორაში ჩა-



ვარდნილს, ძალიანაც გავუმწარებივარ სრულიად დაუმსახურებლად (რასაც, ძალიანაც მოვინდომი, ვეროდესლა დავიცინებული), დაუღლელად ვაფასებდი და აღვნიშნავდი ხოლმე იმას, რომ არასოდეს არ კარგავდა ადამიანურ თავდაჭრას. ამ დროს მე მას ვხედავდი, როგორც ჩემდამი უსამართლო, მაგრამ მაინც ფრიად დასაფასებელ ადამიანს.

ერთობ საინტერესო მოსაუბრე იყო მუდამ, განათლებული, საუკეთესო მანერების მქონე და ნამდვილად განსაკუთრებული ადამიანი.

საერთოდაც: ეს ლირსშესანიშნაობები ყოველთვის გამოარჩევნენ მას დანარჩენი მონაცრისფრო საზოგადოებისაგან.

მუდამ ლამაზად ეჭირა-მეთქი თავი და იქნება ამიტომაც: უხდებოდა ყველაფერი, რაც არ უნდა სცმოდა, რაც არ უნდა მოემოქმედებინა.

როცა თათბირზე ოდნავი დაგვიანებით შემოვიდოდა ხოლმე, თათბირი წყვეტდა თავის მსვლელობას და ყველანი ღიმილიანი მზერით ვაცილებდით მას იმ ადგილამდე, სადაც, ბოლოს, ღუზას დაუშვებდა. იქნება ამიტომაც: ხშირად ოდნავი დაგვიანებით შემოლიოდა ხოლმე თათბირზე.

ასეთი იყო (ჩვენ ყველანი თავთავისებურები ვართ აკი)...

დადგა ჟამი და გატეხა წუთისოფელმა: ვეღა-არ გაუძლო უსამართლობასთან უთანასწორო ომს და ვითომ სიმართლისკენ მიმავალ საცალფეხო ბილიკზე დაეცა ცრუ იმედებით გულანთებული...

დღეს იმ სულიერი ომის ინვალიდია: სხეულის ცალი მხარე პარალიზებული აქვს, თუმცა მეტყველება და, მაშასადამე, აზროვნება — ძველებურად სრულებრივი და ამიტომ საინტერესო...

წლობთ უყურებენ ჩვენი უუმური კორპუსების უუმური ფანჯრები ერთმანეთს ჩუმად. ჰოდა, როგორი ბედნიერი გადმოიხედავდა ხოლმე იმ ფანჯრიდან მისი პატრონი!.. დღეს კი ათასში ერთხელ თუ

გამოჩენდება და ისიც ისეთნაირად, როცა არ გინდა დარწმუნდე, რომ გიყურებენ და თანაც გხედავენ.

ამიტომაც: მალევე მიიმალება ხოლმე მაქმანის ფრთაჩამივარდნილი ფარდის მიღმა. ფარდას კი, თქვენც ხედავთ ალბათ, ისევ ძველებურად არხევს ცივის მთიდან წამოსული ნიავი — ნაზად და ლამაზად...

შერს ვარ ნათელმხილველობისგან. მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, უთუოდ მიეზღვება თითოეულ მის თანამშრომელს, ვისაც კი ხელი ან სიტყვა აქვს გარეული ამ ფანჯრის მიღმა სამუდამო პატიმრობაში ჩაგრიდნილი მისი პატრონის გაუბედურებაში...

მე დღესვე ვაპატიიებდი იმასაც, რაც უწყენინებია ჩემთვის, იმასაც, რაც წყენინებად მომჩენებია, და საჯაროდ მოვუხდიდი ბოდიშს ყველაფერზე, რაც კი რამ მე მიწყენინებია ოდესმე, თუკი ვირწმუნებდი, რომ ეს ნამდვილად წაადგებოდა მის კარგად ყოფნას...

ხშირად ვდგავარ ჩემს ფანჯარასთან, მაქმანის ფარდას ამოფარებული და სევდით დამძიმებული ვუყურებ ჩემი კოლეგისა ან უკვე დალვრემილ ფანჯარას, რამდენჯერ ქარიშხალთან ნაომარს, რომლის ფრთაჩამივარდნილ ფარდასაც კვლავინდებურად არხევს ცივის მალალი მთიდან წამოსული გრილი ნიავი — ნაზად და ლამაზად...

* * *

მინდოდა გაგსაუბრებოდით ჩემს ძველ კოლეგაზე,

ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორზე, პროფესორზე... ადამიანზე...

ფიქრიას ყვავილებო!

ეს ის ციცქა რებუციაა, ფიქრო, მაშინ სხვა მაჯლავუნები რომ წაასხი, ეს კი აქ დაგრჩა — გამოგრჩა...

ჭეშმარიტად ვერტარებ ხოლმე შენი ბინადრების ხილვით (ხილვებით!) და ვითიქრე, მეც ვასიამოვნო-მეთქი ეგება მცირე რამით.

ჩემი ციცქა რებუცია!..

მორეული კონტინენტის საოცრება სამყაროს უშორესი წარსულიდან...

შეხედე, როგორ ცეტობს, ქვეყანა თავისი ჰერინი!..

ერთმა ღმერთმა იცის, როგორ ვუვლიდი ადრე ჩემს კოლექციას. ჩემი ის აფეთქებაც სწორედ იმას მოჰყვა, რომ დროდრო ადგილი ჰქონდა ჩემი იმ თა-

ვდადების იგნორირებას...

ახლა კი რაღას მოვუვლი, ვეღარ ვუვლი, ვეღარც მოვუვლი. ამიტომა, თუ რამ გამაჩინა — ყველა ჩემგვარად დაჩამანაკებული...

ეს კი — ჩემი ცეტი რებუცია — მიუხედავად ყველაფრისა, ნელინადს არ გაუშვებს არ აკიაფდეს, არ გამახაროს, არ გამახსენოს ალაზნის დინებით წალეკილი ბედნიერი დრონი!..

აღარ გადაგლო ლაპარაკით, ფიქრო, ერთსაღამოვიკვნესებ:

რა სამაგალითო მეგობრობა გვქონდა და რა სამაგალითოდვე გაიყარა ის ლამაზი გზები!...

ტიალ, კნათი!..



სანოლად ანთეპული სახელები...

54



ზოგჯერ, ცოტამ თუ, იცის სახელოვანი ქართველები, როგორი პატრიოტული გულანთებით მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობდნენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული, ეროვნული სულის სიდიადის გასაცნობად და გასატანად. გავიხსენოთ, თუნდაც, შორეული წარსული, – ათონელი და მთანმინდელი მამების მონაშეობრივი ცხოვრება და საქმიანობა. თითქოს, ტრადიცია, დღესაც, ისეთივე ელვარებით გრძელდება. არ შეიძლება, უდიდესი მადლიერებით არ აღვნიშნოთ ფასძაუდებელი ღვაწლი ნინო ყაუხჩიშვილისა – ორი ქვეყნის, – იტალიისა და საქართველოს ურთიერთობის საქმეში, რომელმაც, გასულ საუკუნეში, იტალიის ქალაქ მილანში სათავე დაუდვა იტალიურ-ქართულ საზოგადოებას: „სამშობლო გულით სატარებელი“... 2010 წლიდან კი ამ საზოგადოებას უძღვება, ისევ, ჩვენი თანამემამულე, ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ნუნუ გელაძე. იგიც უდიდეს, სასახელო საქმიანობას ეწევა, იტალიისა და საქართველოს შემოქმედებითი მეგობრობისა და კულტურული ცხოვრების საქმეში.

გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ნუნუ გელაძესთან, რომელიც გამოქვეყნდა ელექტრონულ ჟურნალ „დიასპორულ ჟურნალში“.

ფარნა რაინა

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე

ქალბატონი ნუნუ გელაძე ამჟამად იტალიაში ცხოვრობს, იტალიელ მეულლესთან. განათლებით ფილოლოგი, ჟურნალისტთა კავშირის წევრი 1986 წლიდან. არის მილანის იტალიურ-ქართული საზოგადოების „სამშობლო გულით სატარებელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

2006 წელს შვეიცარიის ქალაქ ლუგანში მიღებული აქეს ევროპის საერთაშორისო პრემია „წლის საუკეთესო ქალი – იტალიური კულტურის დივულგაციისა და პედაგოგიურ და სოციალურ სფეროში დაუღალვის შრომისათვის, ხალხთა შორის მეგობრობასა და ძმურ ურთიერთობაზე მუდმივი ზრუნვისთვის“.

2013 წელს შვეიცარიის „მშვიდობის უნივერსიტეტისა“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „უნივერსუმ ზეოცერლადის“ მიერ მიენიჭა მშვიდობის ელჩის წოდება.

2016 წელს საქართველოში მიენიჭა ჯილდო „წარმატებული ქართველი ქალი საზღვარგარეთ“.

იტალიურიდან და რუსულიდან თარგმნილი აქეს: ფრანციის ასიზელის, ჯოვანი პაოლო II-ის, ალბერტო მორავიას, ალდო პალაცესკის, იტალო კალვინოს, სალვატორე კუაზიმოდიოს, ტონინო გუერას, უმბერტო ეკოს, ლეონარდო შაშას, დინო ბერცატის, ჯოვანი პაპინის, ჩეზარე პავეზეს, ვინჩენცო კარდარელის, ელზა მორანტეს, ალესანდრო ბარიკოს, მარიო ლუკის, დავიდე რონდონის, ჯულიანო ლადოლფის, დონატელა ბიზუტის, კლაუდიო პოკანის, იური ნაგიბინის, კარინა ზურაბოვას, ანა ახმატოვას, მილო დე ანჯელისის, დომენიკო ბრანკალეს, ფრანჩესკო იანონეს, ანტონელა ანედას, როზარია ლო რუსოს, რიტა პაჩილიოს, მარია პია

კუინტავალას, ანიტა პისკაცის, ფრანჩესკა სერანიოლის, ნოემი დე ლიზის ნანარმოებები.

ქართულიდან იტალიურ ენაზე თარგმნა და გამოსცა დავით მალრაძის ხუთი პოეტური კრებული; თარგმნა ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, ვახტანგ ჯავახაძის, იზა ორჯონიკიძის, ჯანსულ ჩარკვანის, ბესიკ ხარანაულის, ლია სტურუას, გივი ალხაზიშვილის, ბორქნა ჯაჭვლიანის, თამაზ ბაძალუას, გიგი სულაკაურის, ელა გოჩიაშვილის, მარიამ წიკლაურის, ზეიად რატინის, რეზო გეთიაშვილის, ლელა სამინიაშვილის, მანანა ჩიტიშვილის, მაყბალა გონაშვილის, კობა არაბულის, ბალათერ არაბულის, ნუციკო დეკანოზიშვილის, კატო ჯავახიშვილის, ლია ლიქოკელის, გიორგი ლობჭანიძის, შოთა იათაშვილის, ნიკა ჯორჯანელის, ეკა ქევანიშვილის, მაია სარიშვილის, ეთერ თათარაძის ლექსები და ბექა ქურხულის მოთხოვებების კრებული „ქალაქი თოვლში“.

– ქალბატონო ნუნუ, გვიამბეთ საქართველოში თქვენი ცხოვრების პერიოდზე, სად დაიბადეთ, სად სწავლობდით?

– უნინარეს ყოვლისა, მოგესალმებით და უღრმეს მაღლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. დავიბადე ქალაქ ახალციხეში, აგრონომისა და მასწავლებლის ოჯახში, სადაც პოეზიისა და მუსიკის კულტი სუფევდა. ახალციხის პირველმა სამუალო სკოლამ და არაჩვეულებრივა პედაგოგებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩემს სულიერ ჩამოყალიბებაში; არანაკლები დამსახურება მიუძღვის თავად ქალებაც, ვინაიდან იმსანად (სამოციან წლებში), მიკერძოების გარეშე ვიტყვი, იქ კულტურა ყვაოდა, სხვათა შორის, მრავალეროვნული: არსებობდა





ნუნუ გელაძე

მესხეთის სახელმწიფო თეატრი, რომელიც არა-ფრით ჩამოუვარდებოდა თბილისის წამყვან თეატრებს, არსებობდა, ასევე, ოფიციერთა კულტურის სახლი (მოგეხსენებათ, ახალციხე სამხედრო ქალაქი იყო), სადაც მთელი საბჭოთა კავშირიდან ჩამოდიოდნენ დრამატული თუ პერის თეატრები; ჩშირად სტუმრობდნენ ქალაქს ჩვენი სახელმოვანი მწერლები, პოეტები, სახელმოვნებო წრის წარმომადგენლები, წარმომადგინეთ, საბჭოთა კავშირის გმირებიც კი და მე მუდამ მევალებოდა სტუმრებისადმი მიძღვნილი ლექსების სცენაზე დეკლამირება. თექსშეტი წლისამ დავტოვე მშობლიური ქალაქი და აღარა-სოდეს დავბრუნებულვარ; თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა და ორმოცდაექს წლამდე დედაქალაქში დავრჩი. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე ჟურნალ „დროშაში“ დავიწყე მუშაობა და მრავალი წლის განმავლობაში დიდი მწერლების გვერდით ყოფნა უნივერსიტეტზე არანაკლები სკოლა აღმოჩნდა ჩემთვის. იტალიაში წამოსვლამდე თუ მოგეხსენების დაწყებისთანავე უნივერსიტეტზე არანაკლები სკოლა აღმოჩნდა ჩემთვის. იტალიაში წამოსვლამდე თუ მოგეხსენების დაწყებისთანავე უნივერსიტეტზე არანაკლები სკოლა აღმოჩნდა ჩემთვის.

მანამდე მრავალი წლის განმავლობაში ქართულს ვასწავლიდი, მე თავადაც ვსწავლობდი, ვწერდი და ვთარგმნიდი...

— როდის და რატომ წახვედით ემიგრაციაში?

— წახვედი თხუთმეტი წლის წინ, თუ რატომ, ამაზე ზუსტი პასუხი გამიჭირდება, უფრო სწორად, მეუხერსულება: ასაკოვან კაცს რომ ასაკოვანი ქალი „გარდარული სიყვარულით“ შეუყვარდება, არ მოასვენებს, შინ მიაკითხავს (მიაკითხავს სამი ათას კილომეტრზე), თავს დაავინებს და ყველაფერს მიატოვებინებს, ბედისწერის ხელი ურევია, ალბათ. თუმცა ბედს არ ვმდური, ჩემი მეუღლე ძალიან მეხმარება ქართულ საქმეებში, ძალიან უყვარს საქართველო და ქართველები.

— ქალბატონო ნუნუ, თქვენ ხართ მთარგმნელი, არაერთი ქართველი პოეტი თარგმნეთ იტალიურ ენაზე, გვესაუბრეთ ამის თაობაზე.

— როგორც უკვე გითხარით, ვიდრე იტალიაში წამოვიდოდი, მანამდე უკვე თარგმნილი და გამოკვეყნებული მქონდა არაერთი რუსი და იტალიელი ავტორის წარმოებები. იტალიაში ჩამოსვლისთანავე შევუდექი ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე ზრუნვას: ვატარებდი ქართული კულტურისადმი მიძღვნილ კონფერენციებს სკოლებსა და ბიბლიოთეკებში, კულტურის ფონდებში; „ავკიდებდი“ ხურჯინით ჩემს მეუღლეს თუკი რამ წიგნი, სუვენირი და ფილმი გამარინდა, გავშლიდი და ვყვებოდი საქართველოზე, ვკითხულობდი ლექსებს. მალევე დავიწყე მოხანილეობის მიღება ლიტერატურულ ფესტივალებში, რომლებსაც ზოგჯერ თავად ქართველი ავტორებიც ესწრებოდნენ. ბედნიერი ვარ იმით, რომ ქართულ პოეზიას ბევრი დამფუსებელი გაუჩნდა იტალიაში. იმაზე მეტი სიხარული რა უნდა იყოს, როცა საერთაშორისო ფესტივალებზე მრავალრიცხოვანი აუდიტორია შენს თანამემამულე პოეტს ტაშით აჯილდოვებს და შენი სამშობლოს ისტორიითა და კულტურით ინტერესდება. ამის დასტურად უამრავი მაგალითის მოტანა შემიძლია: გენუის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე, მაგალითად, დათო მაღლაძეს ერთმა ებრაელმა პოეტმა მისი ლექსების ივრითზე თარგმნის ნებართვა სთხოვა; ორტას საერთაშორისო ფესტივალზე ლიასტურუას ლექსის წაკითხვის შემდეგ ერთმა ცნობილმა იტალიელმა პოეტმა ეს შედევრი მაჩუქეთო, მთხოვა; მიღანის პოეზიის სახლში გამართული ჩემ მიერ თარგმნილი თანამედროვე ქართველ პოეტთა მცირე ანთოლოგის „ვაზი და კალამის“ პრეზენტაციისა და, ასევე, ცნობილი იტალიელი დოკუმენტაციისტის მაურიციო ფანტონი მინელას მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ქართული პოეზიის ხებების“ ჩვენების შემდეგ მომიახლოვდა ასაკოვანი მამაკაცი და მეუბნება: „ფილმში რომ პოეტი კითხულობს – „სად არიან შვილები“... თან კრებულს ფურცლავს და დამარცვლით კითხულობს მის გვარს კა-რა-ნაული, ხომ ვერ დამაკავშირებდით“. ეს ბატონი ცნობილი უნგრელ-იტალიელი





პოეტი ტომაზო კემენი, მთარგმნელი, დრამატურგი, ესეისტი, და ლიტერატურის პროფესორი გახლავთ. მან თავისი ინიციატივით ბესიკ ხარანაული პოეზიის საერთაშორისო პრემიაზე წარადგინა და სულ ახლანას შემატყობინა, რომ ბატონი ბესიკ მსოფლიოს საუკეთესო პოეტთა ათეულში მოხვდა. კიდევ ბევრის გახსენება შემიძლია, თუმცა ამით შემოვიფარგლები და ერთს დავსძენ მხოლოდ, რომ ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრების გამართლებად მიმაჩნია.

— ქალბატონო ნუნუ, თქვენ პრანდებით ორგანიზაცია „სამშობლო გულით სატარებელის“ ხელმძღვანელი. უამბეთ ჩვენს მკითხველს, როდის და ვინ დაარსა ეს ორგანიზაცია და რა არის მისი საქმიანობის სფერო?

— ნინო ყაუხჩიშვილის შესახებ მოგონებით დავიწყებ: ქალბატონი ნინო, ფაქტიურად, ორჯერ გავიცანი, თითქმის, ოცი წლის შუალედით. პირველად 1983 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული კულტურის საერთაშორისო სიმპოზიუმზე და უზარმაზარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მას შემდეგ აღარც მინახავს. იტალიაში ჩამოსულისთანავე, 2001 წელს, ქალაქ ორტას პოეზიის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მოვაწყე ქართული კულტურისადმი მიძღვნილი საღამო – ვკითხულობ მოხსენებას, ქართველი პოეტების ლექსებს და დაბაზის პირველი რიგიდან, ვხედავ, ჭალარა ქალბატონი გამამხნევებელი ღიმილით შემომცეკრის; დამთავრებისთანავე მომიახლოვდა, თბილად გამესაუბრა და მითხრა, თქვენ იცნობთ ნინა კაუჩიშვილს? როგორ, ცოცხალია-მეთქი? – ემოციურად შევძახე. მალევე ქალბატონმა ნინომ შინ მიგვინვა მე და ჩემი მეუღლე, ცხადია, არ ვახსოვდი, მაგრამ დიდი ხნის უნახავი ოჯახის წევრით მიმილო. სულ ათი წელი გაგრძელდა ჩემი ინტენსიური ურთიერთობა და თანამშრომლობა, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მან დიდი კვალი დაამჩნია ჩემს დღევანდელ ცხოვრებას და საქმიანობას. სამწუხაროა, რომ დღეს ერთი-ორი ინტელექტუალის გარდა, არავინ იცნობს ამ დიდებულ მამულშვილს, რომლის ცხოვრებაც ქართული ემიგრაციის ერთი უსანინტერესოესი ფურცელია. ქალბატონი ნინო იყო ნოუ ჟორდანის მთავრობასთან ერთად უცხოეთში გადახვენილი მიხეილ ყაუხჩიშვილის ქალიშვილი, ბერლინში დაბადებული, შემდეგ, ოჯახთან ერთად, მილანში დაკვიდრებული და ევროპაში ცნობილი სლავისტი. იგი, პირველად, 1963 წელს ეწვია საქართველოს და მას შემდეგ, სიკვდილამდე, არ შეუწყვეტია სამშობლოზე ზრუნვა. მისი მონადინებითა და უშუალო მონანილებით საქართველოში სისტემატურად ჩამოდიოდნენ ხელოვნებათმცოდნები, არქიტექტორები, ქართველოლოგები და არა მხოლოდ იტალიელები, — ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ვინაიდან, მას მეგობრული ურთიერთობა პქონდა ევროპის, თითქმის, ყველა სამეცნიერო წრესთან. მისი ინიციატივით (ვახტანგ ბერიძესთან ერთად) საქართველოსა და

იტალიაში გაიმართა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი რამდენიმე საერთაშორისო სიმპოზიუმი: ბერგამოში — 1974 წელს, ბარისა და ლეჩეში — 1980 წელს, პავიაში — 1986 წელს. 1979 წელს მისივე თაოსნობით ბერგამოში გაიმართა კავკასიოლოგთა სიმპოზიუმი. პარალელურად აქტიურად მონაბილებდა საქართველოში გამართულ ქართული ხელოვნების სიმპოზიუმებში (1977, 1983, 1989 წწ.). გარდა ამისა, იგი მატერიალურად ეხმარებოდა იტალიაში სასანავლებლად წარგზავნილ მეცნიერება და სტუდენტებს, ეკონომიურად შეჭირვებულ ქართველ ბავშვებს, ბევრ მათგანს მფარველებიც მოუქებნა იტალიაში, რითიც უზრუნველყო მათი მურნალობა და სწავლა. ხანძრით განადგურებული 6. ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტისთვის მატერიალური დახმარების გაწევის გარდა, მან შეაგროვა ის მასალები, რომლებიც ევროპის ქვეყნებში იყო დაცული; იტალიის ბევრ უნივერსიტეტში ნინო ყაუხჩიშვილმა სლავისტიკის კათედრა დააარსა. თითქმის ვერ ნახავთ მეტ-ნაკლებად ცნობილ სლავისტს იტალიაში, მისი მონაცემები კრიტიკული იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ბერგამოს უნივერსიტეტისა 1968 წელს, ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტის დეკანი და პრორექტორი. აღარას ვიტყვი მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე და აქ საგულასხმოა ერთი რამ: იგი ისეთ რეს ავტორებს ირჩევდა ნაშრომებისთვის, რომელნაც ან საქართველოში იყვნენ დაბადებული (მაგალითად: ფლორენსი, ერნი, ელჩანინოვი), ან ღრმა კავშირი პქონდათ საქართველოსთან (გრიბოედოვი, ანდრე ბელი). საინტერესოა, რომ ნინო ყაუხჩიშვილი იყო იტალიაში სკაუტების მოძრაობის პიონერი, ჯერ კიდევ, მეორე მსოფლიო ომის წლებიდან. წარმოიდგინეთ, პენსიაზე გასვლის შემდეგ, გარდაცალებამდე, იგი ციხეში პატიმრებს წერის ხელოვნებას ასწავლიდა.

როგორც გითხარით, ქალბატონ ნინოსთან, მილანში სტუმრობის შემდეგ, დავმეგობრდით და დროთა განმავლობაში დავსახეთ მომავალი გეგმები. როგორც თავად ამბობდა, სიცოცხლის ბოლო წლებში არქეოლოგად იქცა, რათა იტალიაში მცხოვრები ქართველები მოქებნა და ასეც მოხდა, — შემოიკრიბა გულანთებული ქართველები, საქართველოზე შევარებული იტალიელები და 2005 წელს მიღანში, პირველად, აღვნიშნეთ ნინობა. ამ დღეს, თითქმის, მთელ იტალიაში გაფანტულმა ქართველებმა მოიყარეს თავი. მახსოვს, ქალბატონი ნინო სიტყვით რომ გამოიდა, თვალცრუმლიანმა თქვა: ჩემი ცხოვრების გამართლებად მიმაჩნია ქართულ-იტალიური საზოგადოების დაარსებაო. და, მართლაც, მოგვიანებით, დავაფუძნეთ „სამშობლო გულით სატარებელი“, რომლის უმთავრესი მიზანი გახლავთ ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ორ ხალხს შორის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის გაღმრავება, ქართული ენის შემნავლელი უფასო კურსების გახსნა მოზარდი ემი-





გრანტებისა და დაინტერესებულ პირთათვის, ასევე იტალიური ენის სწავლება ემიგრანტი ქართველებისთვის. ამ ხნის განმავლობაში, ასამდე მნიშვნელოვანი ღონისძიება, კონცერტი თუ კონფერენცია ჩავატარეთ იტალიის სხვადასხვა ქალაქში; მილანის სალიტერატურო უურნალ „ა ორიენტესთან“, ერთობლივად, გამოვეცით ამავე სახელწოდების ასგვერდიანი ილუსტრირებული ორენოვანი უურნალი „ა ორიენტე“, რომელიც მთლანად ქართულ კულტურას, ისტორიას და ლიტერატურას მიეძღვნა. რაც შეეხება ჩვენს კულტუროლოგიურ საქმიანობას, ამგარად ხორციელდება: ღონისძიებებზე ვიწვევთ ცნობილ იტალიელ მეცნიერებს, მწერლებს, დოკუმენტალისტებს, ფოტოხელოვანებს, მოგზაურებს, მთარგმნელებს, რომელთაც რაიმე წვლილი მიუძღვით ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში, და ამას ძალზე დიდ დატვირთვას ვანიქებთ, ვინაიდან, ერთია, როცა ჩვენ ვაქებთ ჩვენსავე კულტურას, მეორეა, როცა ამას საქართველოზე შეყვარებული იტალიელები აკეთებენ. თუმცა, მხოლოდ, ამით არ შემოიფარგლება ჩვენი საზოგადოების საქმიანობა. შეძლებისდაგვარად, ვეხმარებით საავადმყოფოებსა თუ საპყრობილები მყოფ თანამე-მამულებს; სამწუხაროდ, გვერნია შემთხვევები, როცა გარდაცვლილი თანამემამულის გადასვენების ხარჯიც შეგვიკრება. ხშირად მიწევს, მე, პირადად (რადგან კულტურათაშორის მედიატორად და ნაფიც მთარგმნელად ვმუშაობ), კონსულტაციის გაწევა ემიგრანტის უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, სხვადასხვა სახის საბუთისა თუ ბლანკის შევსება, თარგმნა, დამოწმება და ა.შ.

– თუ გრძელდება ამ ორგანიზაციის პერიოდული ორგანოს გამოცემა და რა არის მისი თემატიკა? მისი დაფინანსება შემონირულობებით ხდება, თუ არსებობს რაიმე ოფიციალური წყარო?

– სამწუხაროდ, უსახსრობის გამო პერიოდული გამოცემა არა გვაქვს. უურნალი „ა ორიენტე“, როგორც უკვე გითხარით, 2011 წელს გამოვიდა, მას შემდეგ, ოთხჯერ გამოიცა, მაგრამ ეს იყო საზოგადოების მიერ სრულიად უსასყიდლოდ გაწეული შრომა. „სამშობლო გულით სატარებელი“ არავის არასოდეს არ დაუფინანსებია (საზოგასასმელად განზრას, ვუშვებ ტავტოლოგიას) და რასაც ვაკეთებთ, მხოლოდ ჩვენი საკუთარი ხარჯით და თვისტომელთა მნირი შემონირულობებით. სხვათა შორის, დიდი ხანია, ვაგროვებ მასალებს ნინო ყაუხებიშვილის შესახებ და ძალიან მინდა, რომ გამოვცეთ პატარა ბროშურა, რათა ქართულმა საზოგადოებამ, ახალგაზრდებმა და ემიგრანტებმა, რაც მთავარია, გაიცნონ, როგორი თავმდაბლობით, უშმაუროდ, რუდუნებით და უანგაროდ ზრუნავდა თავის სამშობლოზე ეს, მართლაც, დიდებული ქართველი. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ვერც ამას ვახერხებთ.

– რა ურთიერთობა გაქვთ იტალიის ქართულ საზოგადომოსთან და საერთოდ იტალიაში არსებულ დისპორალ თრგანიზაციებთან?

– იტალიაში ერთიანი, უფრო სწორად, გაერთიანებული სათვისტომო არ არსებობს, არსებობენ სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველების ერთობები, კულტურული საზოგადოებები, რომლებთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, ჩვენს ღონისძიებებზე, ყოველთვის, ჩამოდიან მანტოვის, ფლორენციის, რეჯო ემილიის, ემპოლის, ბოლონიის და სხვა ქალაქების სათვისტომოებიდან. მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს ფლორენციის საზოგადოება „ჟალეთთან“ და ერთობლივადაც ვაწყობთ ღონისძიებებს. ასე, რომ, გადაუჭარბებლად შემოძლია ვთქა, არ ვდალატობთ ჩვენი პირველი თავმჯდომარის ნინო ყაუხებიშვილის ნაანდერძევს და ვცდილობთ, მთელ იტალიაში დაქაქსული ქართველები ერთი იდეითა და სულისკვეთებით გავაერთიანოთ, ცხადია, ფიზიკურად ეს შეუძლებელია, მაგრამ, მე ხშირი სატელეფონო კონტაქტი მაქეს თანამემამულებთან და რაღაცნაირად ვცდილობ თანამოაზრები და ქვეყნის სასიკეთოდ, უანგარო, საქმისთვის განწყობილი ადამიანები გავაერთიანო.

– ხომ არა გაქვთ შენიშვნები ან რაიმე რჩევას ხომ არ მოგვცემდით?

– შენიშვნას არა, მაგრამ სურვილი უკვე გამოვთქვი. კარგია ჩატარებულ ღონისძიებებზე ინფორმაციას რომ გვაწვდით, წარმატებულ ემიგრანტებს რომ აცნობთ მკითხველს. ვიმეორებ, ეს ყველაფერი შესანიშნავია, მაგრამ საქართველო არ დგას მათ მხრებზე, საქართველოს არჩენენ ქართველი ემიგრანტი ქალები, რომელთა უმრავლესობა მძიმე სამუშაოს ასრულებს და იმათ უნდა მოვეფეროთ, ისინი არ უნდა დავეარგოთ და ვაგრძნობინოთ, რომ ქვეყნის სრულყოფილი მოქალაქეები არიან. ამიტომ, შემოვიტანდი რუბრიკას, ერთგვარი უურნალისტური გამოძიების მაგვარს და დავონტერესდებოდი ჩვენი ემიგრანტი ქალების ბედით, ხშირად, ტრაგიკულითაც. არ ვიცი, რამდენად ცნობილია თქვენთვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ, იმ დამსაქმებელი ქართველი ქალების შესახებ, ვინც, ადგილობრივ მამაკაცებთან ერთად, რაიმე კულტურული საზოგადოების სახელს ამოფარებული, სამსახურში დასაქმების სანაცვლოდ პირველ ხელფასს იღებენ, მერე, ერთ კვირაში, დასაქმებულს „აგდებინებენ“, რომ მეორისგან, იმავე სახით, ფული აიღონ; ან ბანკიდან სესხის გამოტანის დახმარების სანაცვლოდ პროცენტებს იღებენ, ანდა, სულ ერთი, უბრალო ბლანკის შევსებისათვის უამრავ თანხას ითხოვენ (რასაც მე, ხშირად, სრულიად უსასყიდლოდ ვაკეთებ); გამენიათ? – ოდესმე, რომ სამუშაოდ წაყვანილ ქალებს, ბევრს ერთად, ოთახში კეტავენ, საჭმელს ამადლიან და ნებლის ხარჯვას უკონტროლებენ? ამ ყველაფრის გამოსავლენად შემოვიდებდ წერილების თუ საფოსტო რუბრიკას, რომ თავად, ემიგრანტებმაც, მოგანწილონ ინფორმაცია, ასე ხომ უფრო დაგვაახლოვებთ საშორის. ბევრი ისეთი საკითხია ქვეყანაში, ემიგრანტის აზრის გაუთვალისწინებლად არ უნდა გადაწყდეს, აი, მაგ-





ალითად, მოქალაქეობის საკითხზე, ხომ შეიძლება, ჩავრთოთ ემიგრანტებიც? მაპატიეთ, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის, ჩვენი ემიგრანტების გულისტ-კივილია და ამიტომ ვაბობ ასე თამამად.

— **თქენ უმასპინძლეთ იტალიაში პროექტის „ცოცხალი წიგნები ემიგრანტებს“ ხელმძღვანელს ქეთი დუმბაძეს და პროექტში მონაწილე პოეტებს. რას გვეტყვით ამ პროექტზე, რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია ამგვარი კონტაქტები ქართველ ემიგრანტებთან?**

— შორიდან დავიწყებ: დღეს, საბედნიეროდ, სოციალური ქსელის საშუალებით ემიგრანტებს საშუალება გვეძლევა თვალი ვადევნოთ სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს. ლამის, მთელი ერთი წელი, ინტერნეტით „ფეხდაფეხ დაგყვებოდით“ „ცოცხალ წიგნებს“, მერე, ტელეფონით ვუკითხავდით ერთმანეთს ჩვენი საყვარელი პოეტების ლექსებს და თავისთავად, გაჩნდა დიდი სურვილი, იტალიაშიც გვეხილა ისინი. მრავალრიცხოვანი ემიგრანტის მოთხოვნის საფუძველზე წერილით მივმართეთ კულტურის სამინისტროს მრჩეველს ქეთი დუმბაძეს, რომელიც ჩვეული გულითადობით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და ასე დააფინანსა კულტურის სამინისტრომ ეს პროექტი, დახმარების ხელი გა-

მოგვიწოდეს, ასევე, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატშია, ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა და მათი თანადაფინანსების მეშვეობით გვეწვია ქალბატონი ქეთი დუმბაძე და რვა პოეტი. მოვანყეთ შეხვედრები ბარის, რომისა და ფლორენციის სათვისტომოებში. სამწუხაროდ, სხვა ქალაქებში ეს ვერ მოხერხდა და ნაწყენებიც კი დაგვრჩნენ ჩვენი თანამემამულე ემიგრანტები. უკვე მოგახსენეთ, რომ დიასპორასთან ნებსმიერ კონტაქტს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს თავად ემიგრანტებისთვის და სახელმწიფოსთვისაც. მით უფრო, როცა საქმე პოეზიას ეხება, ვინაიდან, საბედნიეროდ, ქართული პოეზიისადმი სიყვარული, მძიმე ყოფის მიუხედავად, ჯერ ისევ იგრძნობა ემიგრაციაში და შეიძლება გადაჭარბებულ სენტიმენტალიზმად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვისაც თავისი თვალით არ უახავს, ვერც წარმოიდგენს, რა ხდებოდა ამ შეხვედრებზე: ერთმანეთში ირეოდა ცრემლი, სიხარული, ალფროვანება, ტაში, მოფერება, ლექსი, სიმღერა, საყვედური – აქამდე სად იყავითო, მადლობა – სამშობლო ჩამოგვიტანეთო... ასე, რომ, თავად განსაჯეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პროექტი ჩვენთვის, ყველასთვის.



რომი. 2019 წლის 12 ნოემბერი, ქართულ-იტალიური პოეზიის ანთოლოგიის პრეზენტაცია



ნელი ზუროვალი

ఆఁ శొఫిల్డ ర్బోవర్గేర్స్‌కించి మంగుల్ను గోడ అందాలుణి, ప్రశ్నలు వ్యాపించి గట్టిల్ని: గ్యాల్సి కొవాలెంజోల్స ప్రశ్నలునీ, ప్రశ్నలు వ్యాపించి కొవాల్స్‌కించి తిథ్యాపించినా. మాం అభిమించేమి ర్బోవర్గేర్స్ టాఫిల్స్‌కుప్రశ్నత గ్రాయుల్లాపించింది: శ్యామిల్లికి గోట్టిల్లార్చిల్చే ర్బోవర్గేర్స్ దాఖిల్పులుని బ్యాగ్‌కి వ్యోపించి కొబ్బర్చి అభ్యోగించుటకు నింపిన లుంగులుణి పిక్రించాడ, బ్యాంగ్లమ్పుర్ టైప్‌ల్స్ – నింపిన శ్వేచ్ఛ అందించినించి ప్రాంగణించి గాకింద.

6. የሆነዎችንና



ნახატებში აგეტუველებული მშვენიერება

„პატარა უფლისსწელი“ – ასე ვეძახდი მეზობლის პატარა ბიჭს ნიკუშა ვახვახიშვილს.¹ სწორედ მისნაირი გარეგნობის ნარმომედგინა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის პატარა პრინცი – ქერა, კულულებიანი, მომღიმარი სახით, ხან ანცი, ხან ჩაფიქრებული, არისტოკრატული ორის საყვარელი ბიჭი.

ნიკუშა, ჩემი შვილები, მეზობლის ბავშვები ხშირად იყრიბებოდნენ ჩვენს ოჯახებში. იყო ერთი ამბავი: ბურთაობა, დაჭ-ერობანა. გაზაფხულზე – ჭაკოკონაზე ხტომიალი; სააღდგომოდ წითლად შედებილი კვერცხების ჭახაჭუხი. ზაფხულში – გამაგრილებელი წუნაობა, სიმღერები გიტარის თანხ-ლებით, „ამის პატრონმა რა ქნას“, ეზოებში ჯოკერ-ის თამაში გამურვაზე. შემოდგომაც სავსე იყო მათი ურიანელით. ზამთარში – შობა-ახალ წელს კი „ალი-ლოს“ სიმღერით ოჯახების ჩამოვლა და დღესასწაულის მიღოცვა. „ალილოს“ ისე ლამაზად მღეროდნენ – ოჯახებშიაც შეჰყავდათ და 90-იანი წლების გაჭირვების მიუხედავად მაინც უმასპინძლდებოდე-



ნიკოლა გახვახიშვილი

(თიბილისი ჭავაშვილ კაპი-
ძემ მაშინვე ჩარიცხა ბიჭუნათა გუნდში), ცეკვავდა.

სიყმანვილები ცხენზე ჯირითმა და მანქანის ტარებამ გაიტაცა. ჰელნდა ხატვის თანდაყოლილი ნიჭი: ხატვდა ფლორასა და ფაუნას, ნატურ-მორტებს, უანურულ სცენებს, აკეთებდა გამოჩენილი მხატვრების ასლებს; საიცარ ფერებში წარმოაჩენდა და თავის ნააზრევს, შთაბეჭდილებებს. მისი ხატვის მასწავლებელი უბადლო ტალანტიად თვლიდა: „ეს ბავშვი ისე და იძდებს ხატვას, ზოგიერთ 60 წლის მხატვარს რომ არ უხატია“.

ნიკუშას ჰერონდა მოვლენის არსში ღრმად წვდომის უნარი – პატარა უფლისწულივთ „ძალუ-ძალა დანახა დახაზულ ყუთში დამწყვილული ბატ-

1 უზადონ ნახატების ავტორი – ნიკუშა გახვახელშვილი 1993 წლის
16 იანვარს თელავში დაიბადა. თელავის | საქუალო სკოლის
მოსწავლეებში | კლასის სანაცვლა თბილისის სკოლა-ლიცეუმ „თამ-
როვნების“ ასარჩევა.

ფამილიურა. ნარმოდეგენილი ლექსების ავტორია ნიკუშას ბებია - ქალბატონი გიორგი ჩიხიაშვილი-ვახაცახიშვილია





კანი". საოცარია 13 წლის ასაკში დახატულ „ვეფხვის სურათში“ ამაყი მტაცებლის გამოხედვა და უძირო თვალები! ასევე განსაცვიფრებელია მხატვარი იან ვერმეერის შედევრის – „გოგონა მარგალიტის საყურით“ ოსტატურად გაკეთებული ასლი.

როგორც აღვნიშნე: ადამიანებში აუცილებლად გამოარჩევდით სიცოცხლით სავსეს, ჭკვიანს. თავისზე ბევრად უფროსი დების მფარველად მოჰქონდა თავი. წებისმიერი ასაკის ადამიანთან შეეძლო მეგობრობა.

ღმერთსაც თავისთან, ალბათ, რჩეულის წაყვანა უნდა...


ნიკუშას სიკედილი მეხის დაცემას ჰეგდა! სიცარიელემ დაისადგურა ოჯახში. მის ლამაზ სახლში, მშვენიერ ეზოში სიცოცხლე აღარ ზეობდა:

აპრილი მოსულა ფარჩით და მარმაშით,
ყოველი მოურთავს როგორც ნატვრის ხეო,
უშენოდ მოსულა, ეზოში მიმოდის,
როგორ ავიტახო, ჩემო სიცოცხლეო.

სახლში სიცივეა და სიცარიელე,
დღეები მიღიან, უკეთოდ ქრებიან;
აქ შენ ნატერფალებს დავეძებ და გნატრობ,
თვალები ცრემლების უძირო ტბებია.

სიცოცხლე – მწუხარე გოლგოთას გზებია,
მარტმა გაიყოლა შენი გაზაფხული,
თვრმეტი წელი და ლოცვა დედისაო,
გზები მიანიშნე წმინდა ქალწულისა,
ჯვარო უფლისაო, ჯვარო უფლისაო.

წარსულს ჩაპხარდა ბენიერი დღეები. სევ-
დად და ტკივილად დგას ნიკუშას სახლი. ყვავილები



გაუფერულდნენ, მოწყენილი ვარდებიც შეთხელდ-ნენ, თუმც თავისებური ხიბლი შემორჩათ:

მზებ ბალის ყვავილებს თაყვანი მიაგო,
დილა ლამაზი, ოცნებისნაირი,
თითქოს თიბათვეა, მზე ისე მწველია,
სულში სიცივეა დეკემპრისნაირი.

სიცარიელემ დაისადგურა ჩვენს უბანში...
ბავშვებს თვალებში სევდა ჩაუდგათ, დიდებს –
ცრემლი...

ნიკუშა აბიტურიენტობას ვერ მოესწრო, ვერც
სტუდენტობას (არადა, როგორ დამშვენდებოდა),
ღმერთმა თავის საუფლოში კეთილ ანგელოზად
წაიყვანა.

ელდანაცემი მშობლები, ოჯახის წევრები, თავ-
ზარდაცემული ახლობლები, მეზობლები, მეგობრე-
ბი, მასნავლებლები, მისი მოძღვარი შეძრულები
იყვნენ ნიკუშას დაკარგვით.

თანაკლასელი გოგონა დიდი გულისტკივილით
წერდა:

სადა ხარ? სევდა მომერია, როგორ მენატრები,
ვით მწყურვალს წყალი უდაბნოში, ისე მენა-
ტრები...

ლრმად დამშუხრებული კლასის დამრიგებე-
ლი უკვე ზეცაში მყოფ ნიკუშას მიმართავდა: „ჩემო
სატკივარო, სანამ ვიარსებებ, სანამ მემახსოვრება,
რომ მე მასნავლებლი ვიყავი, შენ არ მოშორდები
ჩემს ხსოვნას... სულ თვალწინ მიდგას შენი თვალე-
ბი, წამნამთა ბოლოებზე ვარსკვლავები გიკიაფებდა.
ეს გაძლევდა განსაკუთრებულ იერს. შენი მზერაც
არამექეყნიური იყო, ანგელოზისებრი. ხშირად
ვფიქრობ, რომ ამქეყნად გარკვეული მისით იყავი
მოვლენილი, რათა სიყვარული გესწავლა და მერე
შენთვის ძვირფასი ადამიანების მფარველის ადგი-



ლი დაგემკვიდრებინა ზეცაში. მახსენდება, მიხსნიდი, თუ როგორი შენობების აგებას აპირებდი, მე კი შემოგიტევდი ხოლმე – გაჩერდი, შე ფუტურისტო-მეთქი. თურმე მართალი იყავი: ამქვეყნიურ სახლებზე კი არა, იმქვეყნიურ ნაგებობებზე მიმანიშნებდი. მაშინ არც შენ ხვდებოდი, რას ლაპარაკობდი. ახლა მჯერა, რომ ღვთიური სასუფევლის აშენებაში დებულობ მონაწილეობას.

ღმერთს კიდევ ერთხელ შევავედრებ შენს თავს. ვმადლობ უფალს, რომ ასეთი საყვარელი იყავი და რომ ვარსკვლავბიჭუნა გამაცნო. მჯერა, რომ მარადისობაში გარდასახული წმინდა სული ხარ!“

ამ ბიჭმა ცხოვრების მოკლე გზა ალალად, უშეცდომოდ განვლო: გული არავისთვის უტკენია, უკადრებელი არაფერი ჩაუდენია. მან ადამიანებს ცხოვრება თავისებურად გაულამაზა: შუამთის გზა-ტკეცილზე ცადაზიდული ხეების ქვეშ ცხენზე ამხედრებული როგორ ლალად მიქროდა, წყალბურთელს – როგორ შვენდა ალაზნის ტალღების გაპიბა.

მრავალი ოჯახის კედლებს ამშვენებენ მისი ნახატები, ის იყო ყველასთვის სასურველი და სრულიად ამართლებდა თავის არსებობას.

ღრუბლების ფთილები, თოთო ფთილები
ცას შეფენიან მწვერვალებს მაღლით,
მდუმარებაში აზიდულ ტაძრებს
დაედინება ღვთიური მადლი.

ზარები ცისკრის, ზარები მწუხრის
განა გოდებენ, ლოცვად მიხმობენ,
ისმის გალობა ტაძართა შინა
ჯვარცმულ უფალთან, ღვთისმშობლის წინა.
ლოცვად ვდეგვარ და ცრემლი მრავლდება,
წმინდა სანთლები და კელაპტრები,
ინვიან მძიმედ, ინვიან ერთად,



დედავ ღვთისაო, წმინდა მარიამ,
მიახლოვე ეს ბიჭი შენთან...

ნიკუშამ დიდი სიყვარული დატოვა. ლამაზს, მოუწყენლად სამზერს ყველა სულში ისვამდა.

ფერუში გადმოლვარა თავისი მისწრაფებები, იცნებები, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინი ლამაზად, ისტატურად, ფაქიზად.

ნიკუშას ცხოვრების გზა იყო შინაარსიანი, საინტერესო... ფილმის კადრებივით სწრაფად გაირბინა ამ საოცარი ბიჭის ცხოვრებამ.

მუხლმოდრეკილი მეოხად სულისა,
ლოცვად დაცემულვარ, დედაო ღვთისაო,
დედაო ნეტარო, სნეულთა მკურნალო,
დიდო სამკაულო სულის და ცისაო,
მე რომ მიმატოვა, შენთან წამოვიდა,
შენს ახლოს ამყოფე, დედაო ღვთისაო...

ეზოში გვიდგას შუამთიდან ნიკუშას ჩამოტანილი ველური მცენარე, რომელსაც ჰქვია „ნიკუშას დიდფოთოლა ყვავილი“.

P.S. დამწუხრებულ უბანს საგლოვიც არ დაელია: ჯერ საბრალო თინიკო, მერე გიორგი; ნიკუშას მიჰყვნენ პატარა ლუკა, დათა, წესიერი და ალალი ბიჭები გოგა და მამუკა, უსაყვარლესი რობა... ნათელში იყოს მათი სულები.

ზოგჯერ ვფიქრობ, ღვთის რისხვა ხომ არ დაატყდა ჩვენს ქალაქს. დიდების ცოდვებს ხომ არ ემსხვერპლნენ პატარები და ახალგაზრდები?

უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის პატივის-ცემა, მხარში დგომა საჭირო. რაც მთავარია, ქართველებმა სამობლოს განუზომელი სიყვარული დავგარგეთ; კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი თითქოს სადღაც გაუჩინარდა.



ეთერ ხომიზურაშვილის წიგნი „ნინაპარნი“

ჩვენ წინ არის ეთერ ხომიზურაშვილის წიგნი: „ნინაპარნი“.

ამ წიგნს დიდი დატვირთვა და მისია აქეს. ეს არის წინაპართა არდავიწყების, მათი გარჯვა-შრომის, მათი სიკეთის, მათი მამულის სიყვარულის დემონ-სატრირება.

„მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველ ერს თავისი ეროვნულობა, თავისი არსებობა და თავისი ვინაობა“ (ილია ჭავჭავაძე).

ქალბატონი ეთერი იგ-ონებს თავისი წინაპრების ცხოვრების ისტორიას, – თავიდან კი კერძოდ, მიხა პაპას და სოფიო ბებოს.

პაპის ბიოგრაფიის მოყვლისას საგულისხმო ცნობას წავანებდით.

„წამოიზარდა თუ არა მიხა, მეავეჯე-დურგლის პროფესიის დასაუფლებლად ცნობილი სახალხო მგოსნის ოსებ დავითაშვილის სახელოსნო სკოლაში მიაბარეს.

იოსებ დავითაშვილმა განუმტკიცა მიხა პაპას შრომისუნარიანობა და ხელობასთან ერთად აზიარა

სწავლა-განათლებასაც. საქმესთან ერთად, წახშირით ხელში ასწავლიდა შეგირდებს წერა-კითხვას. მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, შეგირდებისათვის ყიდულობდა ჩვენი სულმნათი მწერლების: შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, რაფიელ ერისთავისა და სხვათა წიგნებს. თან, გამორჩეულ ადგილებს ზეპირად ამახსოვრებინებდა. ხშირად უკითხავდა საკუთარ პიესებსაც, რომლის გამოცემათა სრული კრებული ყველას ჰქონდა.

პაპას მთელი სიცოცხლის მანძილზე, „ქართული ლიტერატურის – პოეზიის ანთოლოგია“ ედო საწერ მაგიდაზე, კედელზე კი, თავისი ხელით მოჩუქურთმებულ ჩარჩოში – ილიას, აკაკის და ვაჟას პორტრეტები ეკიდა“.

და კიდევ... „როგორც კი წამოიზარდა მიხა, დამოუკიდებლად შეძლო ხელობის ხელოვნების

რანგში აყვანა. მთელ თელავსა და მის რაიონში, თითქმის, ყველგან მისი ოქროს ხელებით შექმნილი ავევი იდგა“.

გვერდს ვერ ავუვლით ქალბატონ ეთერის მონაყოლს თელავში ქართული სკოლის გახსნის შესახებ.

„1911 წლის სექტემბერში, წერა-კითხვის გამარცელებელმა საზოგადოებამ თელავში ქართული სკოლა გახსნა. ამავე საზოგადოების განყოფილების გამგეს, ქალბატონ თამარ აბაშიძეს და განყოფილების წევრს ნიკიფორე მიმინოშვილს სკოლის ხელმძღვანელად დაუსახელებიათ წინო შიუკაშვილი-გოგნიაშვილისა. ქართული სკოლა შეიქმნა იმავე სახლში, იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, სადაც ქალბატონ წინოს კერძო სკოლა ჰქონდა და დაარსებული. თავიდან, ქალბატონი წინო მარტო უძღვებოდა სკოლას, შემდეგ კი, მას ეხმარებოდნენ ცნობილი მასწავლებლები: ანა ნიკოლოზის ასული ჯავანიძე-ზურაბიშვილისა და წინო ლაშაური.

სკოლის შესანახად, ამავე შენობაში, იმართებოდა საღამოები, საქველმოქმედო კონცერტები. სკოლას დიდ დახმარებას უწევდა ცნობილი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის გუნდი, მაგრამ, მანც, ძლიერ უჭირდა „წერა-კითხვის გამარცელებელ საზოგადოებას“, – არავითარი სახსარი არ გააჩნდა სკოლის შესანახად და, ეს საქმე თელავის საზოგადოებამ ითავა.

ივანე ჯავახიშვილის დედამ – სოფიო ჯავახიშვილმა სკოლას 400 მანეთი შესწირა. ამ ფულით დურგალმა მიხა ხომიზურაშვილმა მასალა იყიდა და სკოლას უსასყიდლოდ დაუმზადა ინვენტარი.

„პაპა ძალიან მშვიდი, დინჯი, დაკვირვებული, ტკბილი და თბილი ადამიანი იყო. მას არ უყვარდა ზედმეტსიტყვაობა, დაუფიქრებელი და ხმაბალი ლაპარაკი. უამრავი ზღაპარი იცოდა, ხშირად გვიყვებოდა. განსაკუთრებით ოქროსდეზებიანი მამლის ზღაპარი მიყვარდა. სონა ბებო დიდებული კულინარი ყოფილა. ჩემი მშობლების ნიშნობის





ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი

დღეს ისეთი ლამაზი და გემრიელი ნუშის ტორტი გამოუცხვია, რომ სტუმრები ალფროვანებას ვერ მალავდნენ", – ჰყვება ქალაჭონი ეთერი.

მათ ექვსი ქალ-ვაჟი შესძნიათ.

ერთ-ერთი, მისი მამა, ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი ყოფილა.

იგი ასე იხსენებს მამას:

„ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი იყო საზოგადო მოღვაწე, დიდი, გამოჩენილი მეცნიერი, ბიოლოგი, გენეტიკოსი და სელექციონერი, საქართველოს მეცნიერული მეცნიერების ფუძემდებელი, მრავალი სპეციალისტის აღმზრდელი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე, ნიჭიერი ორგანიზატორი, აკადემიკოსი, პროფესორი, სოციალისტური შრომის გმირი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე".

იგი დაბადებულა 1900 წელს, ქალაქ თელავში და თელავის გიმნაზია 1919 წელს ოქროს დიპლომზე დაუმთავრებია, შემდეგ კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი.

1926 წელს ნიკოლოზი ცოდნის გასაღრმავებლად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გაუგზავნია გერმანიაში, ხოლო 1928 წელს – საფრანგეთში.

ამას მოსდევს მეცნიერული შრომების გამოქვეყნება, უნევს მუშაობა სხვადასხვა თანამდებობებზე, კითხულობს ლექციებს, იცავს დისერტაციებს. 1932 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „მებაღეობის საფუძვლები“. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. მონაწილეობდა მეღვინეთა მსოფლიო კონგრესზე.

1932 წელს ირჩევენ პროფესორად.

აი, რას წერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი და მოღვაწე ნიკოლოზ მუსხელიშვილი: „ლრმად პატივცემულო ამხანაგო ნიკოლოზ, პატივი მაქვს, მოგილოცოთ, რომ საქართველოს სარმატივებათა აკადემიამ, მიიღო რა მხედველობაში თქვენი დამსახურება მეცნიერების წინაშე, აგრძიათ თქვენ წევრ-კორესპონდენტად, გისურვებთ წარმატებას შემდგომ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში.

ლრმა პატივისცემით,
ნიკო მუსხელიშვილი“.

„სულ მალე 1957 წელს საქართველოში დაარსდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი აირჩიეს მრავალნლიანი ნარგაობების განყოფილებაში აკადემიკოს-მდივნად, ხოლო 1960 წელს ვიცე-პრეზიდენტად.

1961 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის გაუქმების შემდეგ, პროფესორი ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი დაინიშნა მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორად...“

„...გამოჩენილმა მეცნიერებმა, ინსტიტუტის მთელმა კოლექტივმა, კიდევ უფრო მეტი ავტორიტეტი მოუტანეს საქართველოს მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის დარგებს მსოფლიო მასტებით. 1962 წელს, როდესაც მეღვინეთა და მევენახეთა მსოფლიო კონგრესი ჩატარდა, ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი ყურძნისა და ღვინის მსოფლიო კონგრესის საორგანიზაციის კომისიის წევრად აირჩიეს. ამ დროს კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, მისი დიდი ერუდიცია.

ცოტა ხანში ნიკოლოზ ხომიაზურაშვილი აირჩიეს საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, მიწვეული იქნა მსოფლიო გენეტიკოსთა და სელექციონერთა მე-5 ყრილობაზე, ხოლო 1965 წელს – მეღვინეობის მსოფლიო დეგუსტაციის საორგანიზაციის კომისიის წევრად, სადაც მიღებული აქვს ოქროს მედალი“.

ნიკოლოზს ჰქონია გატაცება, – მეფუტკრეობა. იგი გულისყურით უვლიდა ფუტკარს.

ნიკოლოზი შესულია პოეტ ფარნაოზ რაინაულის ლექსი, „ფუტკრის საგალობელი“. მოვიყვან ერთ სტროფს:

„ცა შრომის ნათელს ლოცავს,
ჩვენც ნათელს ვლოცავთ კვლავ ცის
რა ღვთის მაღლია, როცა,
როცა ფუტკარს ჰგავს კაცი“.

შემდეგ, არის მოგონებები – მისი აღზრდილების: აკადემიკოს ნოდარ ჩხარტეშვილის, აკადემიკოს გივი ბადრიშვილის, აკადემიკოს სოსო გიგაურის, სოფლის მეურნეობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლექციებისარეისვილის, მებილეობის აგროტექნიკის განყოფილების გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ჯომარდიძის, პროფესორ აკაკი სირბილაძისა და სხვების.

დიდი მეცნიერი გარდაიცვალა 1971 წლის 1





თებერვალს. აკადემიკოსმა გივი ბადრიშვილმა ნიკოლოზ ხომიზურაშვილის 90 წლის იუბილეს მიუძღვნა წიგნი „მთელი მისი ცხოვრება“.

ქალბატონი ეთერი ასევე დიდი სიყვარულით იგონებს თავის დედას – ქალბატონ ნინო ჯაოშვილ და მის მამას ეპიფანე ჯაოშვილს.

„ნინო თბილისში, ქალთა პირველ გიმნაზიაში სწავლობდა და მამამისის – დეკანოზ ეპიფანე ჯაოშვილს მიერ აშენებულ სასულიერო სემინარის შენობაში ცხოვრობდა.“

ეპიფანე ჯაოშვილი – სემინარის ეკონომი (პრორექტორი) და ამასთან ერთად პედაგოგი იყო (საღმრთო სჯულს ასწავლიდა). მასთან ერთად სემინარის შენობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ვასილ ბარნოვი და იპოლიტე ვართაგავა“.

დედამ სწავლა თელავში განაგრძო და, იქვე დამთავრა. შემდეგ, განათლების სისტემაში მუშაობდა, შესანიშნავ გარემოცვაში. ნიკოლოზს და ნინოს ოთხი შვილი შეეძინათ, ორი მცირეწლოვანი გარდაეცვალათ – გაზარდეს ეთერი და მისი და.


წიგნში „ნინაპარნი“ ეთერი იხსენებს თავის ღირსეულ მეუღლეს – ვაჟა ჭიპაშვილს, სიყვარულით ჰყვება მასთან გატარებულ წლებზე.

ვაჟა ჭიპაშვილი მუშაობდა მეხილეობის კათედრის დოცენტად, ხოლო 1961 წლიდან კათედრის გამგედ (გარდაიცვალა 71 წლისა).

და, როგორც ქალბატონი ეთერი წიგნის „ნინაპარნი“ წინასიტყვაობაში წერს: „ნინაპარი? დიახ, მე უკვე წინაპარი ვარ“.

იგი იხსენებს საინტერესო ეპიზოდებს თავის ცხოვრებიდან.

მას თბილისის მე-13 სკოლა აქვს დამთავრებული ვერცხლის მედალზე, 1953 წელს კი სტალინის სახელობის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი.




„სკოლის დამთავრებისთანავე გაეთხოვდი ვაჟა ჭიპაშვილზე. შევქმენი ოჯახი. გავზარდე ოთხი შვილი, მყავს ექვსი შვილიშვილი და თხუთმეტი შვილთაშვილი. ჩემი პირადი ცხოვრება მათ მივუძლვენი“. წიგნი „ნინაპარნი“ მდიდარია ფოტომასალით.

ნუნუ ძამუკაშვილი



ნიკოლოზ ხომიზურაშვილი სტუდენტებთან





მხატვარი ლევან როსტომაშვილი

